

ქვეყნის გზები



საქართველოს
მხარეთა
კავშირის
გაზეთი
№4 (294)

15 ივლისი -
15 აპრილი 2022

ფასი 150 ლარი

გაეწიოს
თვეში ერთხელ



ომარ მარგველაშვილი

10 წელია „ოცნებამ“ მყარად დააყენა ქვეყანა მშვიდობის, სტაბილურობის და განვითარების გზაზე. საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერს მას. ამიტომაც ყველა არჩევნებში სტაბილურად იმარჯვებს. ნაციონალები და მასთან მიტმასნილი, გაუგებარი წარმომავლობის, უავტორიტეტო, არაფრის გამკეთებელი (ქვეყნის მტრობის გარდა) ჯუჯა ოპოზიციონერი პარტიები სამარცხვინოდ სისტემატიურად მარცხდებიან.

სამაგიეროდ ქალბატონი კელი დეგნანი აქტიურად უჭერს მხარს უმცირესობაში მყოფ საქართველოს ამ ბნელ და ბოროტ ძალებს. ის არაკეთილსინდისიერად და არაობიექტურად ექცევა ჩვენ სამშობლოს. ეს აშკარად და ნათლად ჩანს მის მოქმედებაში და უმოქმედობაშიც.

ეს აშშ-ს მოჩვენებითი „სტრატეგიული პარტნიორის“ მტკიცე პოზიციაა. თუ ასე გაგრძელდა, აშშ მალე დაკარგავს საღად მოაზროვნე საქართველოს უდიდესი ნაწილის ნდობას და მხარდაჭერას.

ქალბატონო ელჩო, თქვენი უსამართლობა და არაობიექტურობა ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველია.

ევროპარლამენტის შეურაცხყოფელი რეზოლუცია, სხვებთან ერთად, თქვენი შემოქმედებაა. იქ ჩაბუდეული საქართველოს მტრები სრულიად დაუმსახურებლად და მწვავედ გვაკრიტიკებენ. არავითარ გონივრულ ანალიზს არ აკეთებენ უბოროტესი და საქართველოს დამანგრეველი, ჭკუასუსტი სააკაშვილის 9-წლიან მმართველობაზე, თქვენს მიერ „დემოკრატიის შუქურად“ შერქმეულზე, ჩვენი ტერიტორიების დაკარგვაზე, მის მიერ საბიუჯეტო სახსრების განიავება-მითვისებაზე, გადავსებულ საპატიმროებზე, პა-

ტიმრების მასიურ ჩახოცვებზე, მათ წამებაზე, გაუპატიურებაზე, სიკვდილით დასჯაზე, უდანაშაულო პიროვნებების დახვრეტაზე, ხალხის საკუთრების და ქონების ყაჩაღურად ნაგლეჯაზე, იარაღით ვაჭრობაზე, სხვა მრავალი სიბინძურე და უბედურება... ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია.

ამ საშინელების შემოქმედს თქვენ

ამით საქართველოს შეურაცხყოფთ

იცავთ, ექომაგებით, ამართლებთ, აქვთ კიდეც, ნუთუ არ გრცხვენიათ? მაკკეინი სპეციალურად ახალ წელს - 1 იანვარს ჩამოფრინდა თბილისში და სახელმწიფო სახსრების ქურდი გიგი უგულავა პატიმრობიდან გაათავისუფლებინა იმ დღესვე. პოლიტიკისგან შორს მყოფი რურუა პოლიტპატიმრად შერაცხეთ და გაგვანთავისუფლებინეთ. აი, თქვენი სამართალი.

ზემოთჩამოთვლილ უმძიმეს დანაშაულში ბრალდებულებს - კეზერაშვილს, მეღიასს, ადეიშვილს, მერაბიშვილს, ლორთქიფანიძეს, ბოკერიას, ბარამიძეს და სხვებს კბილებით იცავთ, სააკაშვილის უცხოეთში სამკურნალოდ გაგზავნას და გვარამიას, 7 მილიონის გამფლანგველის გათავისუფლებას გვავალდებულებთ.

რისთვის, აგვისხენით. რატომ ასე უპრაგონოდ ერევით ჩვენ საშინაო საქმეებში. რომელ ძალადობაზეა ლაპარაკი, არ გრცხვენიათ? ძალადობა და არაადამიანური მოპყრობა თქვენსკენ მოიკითხეთ.

მიეჩვიეთ თქვენს მიერ ნებისმიერი უკანონო და ჩვენი დამაზიანებელი მოთხოვნების ჩვენი მხრიდან უსიტყვოდ შესრულებას. აი, ამაში მართლაც ცოდავთ. ხალხს აინტერესებს, როდის შეწყვეტთ სისხლის სამართლის დამნაშავეების მფარველობას. დიპლომატს არ უნდა გესწავლებოდეთ, რომ ეს არ არის თქვენი საქმე.

მე ათეული წლების მანძილზე მქონდა ძალიან მჭიდრო ურთიერთობა და საქმიანი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ემბლონებთან. არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ ისე უხეშად ჩარეულიყვნენ ისინი საქართველოს საშინაო საქმეებში, როგორც ევროკავშირი, ევროპარლამენტი, ევროსაბჭო და

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი.

ამდენი ტყუილი და შეურაცხყოფა ჩემი სამშობლოს მიმართ არასდროს წამიკითხავს, არც მომისმენია, რაც ევროპარლამენტის რეზოლუციაშია. გრცხვენოდეთ, ევროპელი პარლამენტარებო. თქვენ ამცირებთ და აკნინებთ ჩვენ კანონიერ უფლებებს და მოვალეობებს.

საბჭოთა კავშირის შესაბამისი

სტრუქტურები საკავშირო ბიუჯეტიდან აფინანსდნენ ძირითად (უმრავლეს) კაპიტალურ დაბანდებებს. ვალუტასაც გვიყოფდნენ. ყველანაირ ტექნიკას, ტექნოლოგიას, მასალებს, პროდუქციას უსასყიდლოდ გვაძლევდნენ. ეს თქვენთვის წარმოუდგენელია. მაშინ უმუშევრობა არ იყო. დემოგრაფიული მდგომარეობა იყო საუცხოო, მოსახლეობა 5,5 მილიონი იყო, ნაგვის ურნებში არავინ იქექებოდა და არც ერთი ხელგანვდილი ითხოვდა შემწეობას.

30 წელია თქვენ ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორი“ ხართ და ეკონომიკაში არც ერთი ნაბიჯით წინ ვერ წავინიეთ, პირიქით - სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, სახალხო მეურნეობის ეს უმნიშვნელოვანესი დარგები განადგურდა, ჯართად გაიყიდა წარმოებები, სოფელი დაიცალა, უცხოეთში შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ სამუშაოებზე გარბის შრომისუნარიანი ხალხი, 2 მილიონით შემცირდა მოსახლეობა.

დარწმუნდა საქართველოს მოსახლეობა, რომ თქვენ იოტისოდენადაც არ გაინტერესებთ ჩვენი ბედ-ითბალი, ჩვენი ყოფნა-არყოფნა და უბრალოდ ჩვენი ცხოვრება.

რაც ყველაზე საწყენი და დამაფიქრებელია, თქვენ არ იცით ჩვენი მდიდარი წარსული და საამაყო ისტორია. უნდა შეიგნოთ, რომ ჩვენ უძველესი კულტურული ერი ვართ, ჩვენი დამწერლობით, ჩვენ დავით აღმაშენებელიც გვყავდა, თამარ მეფეც და ერეკლე მეორე, ჩვენ ილია ჭავჭავაძეც გვყავდა და იოსებ სტალინიც და საამაყო და სასიქადულო ილია მეორე, უწმინდესი და უნეტარესი. დაფიქრდით, ევროსტრუქტურებო, ფიქრისთვის არის ადამიანი მოვლე-

ნილი და არა ცრუპენტელობისთვის და ნიშნის მოგებით ლაცობისთვის.

სანქციები გინდათ დაუნესოთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ადამიანს, რომელმაც 3 მილიარდ დოლარზე მეტი ქველმოქმედება გაიღო თავისი ქვეყნისათვის. არც კი გაინტერესებთ, რა სიკეთეები და რამდენ ადამიანს დაეხმარა ფინანსურად. ის ხალხს უსაზღვროდ უყვარს, იმიტომ, რომ ხალხზე დღენიდაგ ზრუნავს.

ქალბატონო კელი, თქვენ და ზელენსკი ყველანაირად ცდილობთ ჩაგვითრიოთ საქართველოს დამანგრეველ ომში. ამასვე ცდილობენ ოპოზიციაში მომრავლებული პოლიტიკური პრასტიტუტები და ზელენსკის ახლო გარემოცვაში მყოფი იდიოტები და ნაბიჭვარი არახამია, რომელმაც თავისი წარმომავლობაც კი არ იცის.

მეტი რალა გინდათ, საქართველოს შინაური და გარეშე მტრების მხარდაჭერით ხომ მიაღწიეთ მიზანს, ხომ გეზიმიებათ გულში, რომ ევროკავშირმა მსოფლიოს თვალწინ პანდური ამოგვკრა და ევროკავშირის ასოცირებული წევრი საქართველო, რომელიც ევროკავშირის თითქმის ყველა სტრუქტურაშია გაერთიანებული, ერთბაშად უკან დაგვინა, უბადრუკი, არაფრისმთქმელი, მოჩვენებითი კანდიდატობის ღირსიც არ გაგვხადა. რა უტიფრად დაგვცინიან „დიდი ევროპელი პოლიტიკოსები“, რა წინ წახვედით, უკვე პერსპექტივასაც გამოკარით ხელი.

საზოგადოება გაოცებულია საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ოლიმპიური სიმშვიდით. წარმოუდგენელია, სამი ათეული წლის განმავლობაში შენი ქვეყანა ასეთ უმძიმეს მდგომარეობაში იყოს და აკადემია, რომელიც ყოველთვის ითვლებოდა ქვეყნის ტვინად, ხმას არ იღებდეს, პირში წყალჩაგუბებულ პოზაში ყინჩად იდგეს, განთავსებული იყოს დედაქალაქის ცენტრში, ყველაზე პრესტიჟულ შენობაში, ჰქონდეს უზარმაზარი შტატი, მაღალი ხელფასებით და არაფერს სასიკეთოს ქვეყნისთვის არ ქმნიდეს. ქვეყნისათვის, რომელიც ჩაფლულია უმძიმეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებში, განა ეს სირცხვილი არ არის.

აკადემიის ხელმძღვანელობას თავის ქვეყნის ამ უმძიმეს მდგომარეობაზე ნუთუ გული არ შესტკივა?

მურმან თავდიშვილი

გონიერი ტურისტი, უწინარეს ყოვლისა, იმ ადგილის ისტორიას ეცნობა, სადაც სამოგზაუროდ მიემართება.

ბუნებრივია, მეც ასე მოვიქეცი. დიდებულად ჟღერს სიტყვა „კაპადოკია“. მისი ტერიტორია თოვლის გუნდასავით ხან იზრდებოდა, ხან ცოტავდებოდა. პროტონეტების სამშობლო ხეთების (ხათების) ძირითად ტერიტორიას წარმოადგენდა. ოდესღაც ჰყვავდა დედაქალაქი მისი ხათუსა. მხარე ხელიდან ხელში გადადიოდა: ხან მიდიელები ფლობდნენ, ხან – სპარსელები, ხანაც – რომაელები. მე-11 საუკუნეში კი თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს.

როგორც ისტორიული საბუთებიდან და ასევე აქ აღმოჩენილი ასურულად შედგენილი ლურსმული ტექსტების - „კაპადოკიური ფირფიტების“ - მიხედვით ჩანს, აქაური კულტურა ძირითადად მაინც ბერძნულია, რაკილა ამ ტერიტორიაზე ყველას მოსული ბერძნები სჭარბობდნენ. მხარე ემეზობლებოდა სომხებსა და ქართველურ ტომებს (მოსხებს). ამიტომ ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ აქ ბერძნულ, ქართულ, სომხურ დიასპორასა და ქრისტიანულ კულტურას ფართო ავალა მისცემია. შემთხვევითი არც ისაა, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებზე აღმოჩენილია როგორც კაპადოკიური მონეტები, ისე „კაპადოკიური ფირფიტები“ (მ. გიორგაძე, ნ. ხაზარაძე).

აი, ავტობუსი შეუდგა კილომეტრების კეცვას. ავტობუსები ხელისგულივით სწორია. 80 კილომეტრის სიჩქარით მიმავალი მანქანა თითქმის არ ირწევა. თვით წინილა გზებიც კი განკარგავს. გამასმასებულა. თურქეთის ტერიტორიაზე 1200 კმ იქით, 1200 კი აქეთ გავჭიმეთ, ოღონდ საოცარი ის არის, ქუჩებში ერთობ ცოტა მანქანა მოძრაობს.

უწინარეს ყოვლისა, თვალში გვხვდება ორი რამ: სახლებზე ბრტყელი წითელი გამომწვარი კრამიტია. ნამდვიდაც კი არსად ჩანს შიფერი. გიჩნდება ეჭვი: ეს მაგნიტური თურქეთში აკრძალული უნდა იყოს.

მეორე, რამაც აღტაცება მომგვარა, ერთი შეხედვით, უბრალო რამეა: უკლებლივ ყოველი სატვირთო მანქანის ძარა ტენჯით საიმედოდ არის შეხვეული-შეხურული, თითქოსდა თათრის ქალი ყოფილიყო და ჩადრი საგულდაგულოდ მოეხვიოს, მოემარზოს.

მიჭირს ავტო და რელიეფი ქართლის სანახებს გვაგონებს, არა გურჯისტან!

გურჯისტანის ხსენებაზე ესეცა ვთქვათ: სიტყვა „ალაგ“ (ლობზე გადასასვლელი ადგილი, ყელი) გურჯისტანის შემოქმედება მეგონა, ვიდრე მიმქროლი ტრანსპორტის ფანჯრიდან არ ამოვიკითხე ერთი დაბის სახელი ალაგე.

მაშ, ალაგე თურქეთთან უსესხებია გადღეტილ გურჯულს ისე, როგორც ბევრი სხვა სიტყვა. ამან პოლიგლოტ ზეზევა მედულაშვილთან დაკავშირებული ამბავი გამახსენა:

ყველანი (მათ შორის მეც) მუდამ გავყვიროდით: ზეზევა მრავალენა კაცია, განსაკუთრებით კარგად კი თურქული ენები იცისო: ჰაი, აზერბაიჯანული, ჰაი, თურქული, ჰაი, თურქმენული, ჰაი და ჰაი... მაგრამ, როცა თავის სოფელ არაშენდაზე დასჭირდა მსჯელობა, გაჰყვა ხალხურ ეტიმოლოგიას: ეს სოფელი დიხანს ვერ აშენდა, ბოლოს, როგორც იქნა, აშენდა და ამიტომ ეწოდება არაშენდაო.

მას ამ დროს სულაც არ გახსენებია ორი რამ: I. ყველა ხალხური ეტიმოლოგია რომ ბლეფია და II. რასა ნიშნავს თურქულ-სელჩუკური სიტყვა არაშენდა.

მეც კი, თურქულია რომ არაფერი გამეგება (ორი ღერი აზერბაიჯანული ვიცო და იმის შემნებობით ძლივს ვაგებინებდი შემხვედრ თურქს რაიმეს), კარგად ვიცო: თურქეთში არსებობს ქალაქი არაშენდა.

ვფიქრობ, თურქული ენების მცოდნეს ეს გაგონილი უნდა ჰქონოდა!

დღითა და ღამით ნამგზავნი მშვენიერ სასტუმროში დაგვაბინავეს.

მოლა დილის 4 საათზე ახმინდა. სასიამოვნო ჰანგი მოეფინა ირგლივ ყოველივეს. ახლა მას მინარეთზე აძრომა და წრიულ ბაქანაივანზე მინარეთი და ყვირილი აღარ უწევს. ყოველ მინარეთზე დამავრებელია ხმაშალ-ლამოლაპარაკე და მუქინის გალობა იქიდან ისმის. საჭიროა მხოლოდ თითის დაჭერა ლილაკზე და რადიო ახმინდება. ნაზალურ-სასიამოვნო ხმაც, ეტყობა, საგანგებოდ აურჩევით და მაგნიტოფონზე ჩაუწერიათ.

მშვენიერი დილა გათენდა.

არ ცხელა, რადგან მეგალითური ეპოქის ზეგანზე ვიმყოფებით. ქალაქში ხე-მცენარე ცოტაა, ოღონდ ეზოების გასწვრივ ვარდების მწკრივებსა ვხვდებით. ეტყობა, ასეთი წესი აქეთ.



შორს მოჩანს მეგალითური ეპოქის შემოქმედება: ვულკანური ქანები, ნაქცივი ხეები, მთები და კონუსისებური სვეტები...

შორიდანაც კარგადა ჩანს: ყოველ მთასა თუ სვეტში შეუხვერტიათ კელა-ოთახები. არ უნდა ვიფიქროთ, რომ მათ მხოლოდ რელიგიურ-რიტუალური დანიშნულება ჰქონდათ. ამ მეგალითურ სამყაროში ხე იშვიათია და საცხ-

ამოთი დაგვემართა: 5 ბოთლ ლუდსა და 5 „კოკა-კოლაში“ მერესტორატორებმა 1020 ლირა (220 ლარი) წაგვართვეს.

ერთი სიტყვით, ტურისტებს ტყავს აძრობენ და ამ მხრივ ქართველებს მთლად ტოლს ვერ უდებენ, ოღონდ არც ბევრად ჩამორჩებიან. თუმცა ეგ დღიდან არ გვანალვლებდა, რაკილა მწერალ სოსო სიგუას დაბადების დღე ეს-

სამი დღე კაპადოკიაში

ოვრებლად ხის სახლს ვერ აიშენებ. ამიტომაც ამ კელია-სადგომებს უბრალო ხალხი საცხოვრებელ ბინებადაც იყენებდა.

გასაოცარია: ქუჩებში მანქანები თითქმის არ მოძრაობენ. ხალხსაც ვერ ვხვდებით, სადა დაიკარგნენ?! ხანდახან ეჭვიც კი შემიპყრობს ხოლმე: საიდან კრებს ეს ქვეყანა ჩვენს დასაპყრობ ხალხს?

აქაური ქუჩები სუფთაა, მტერის ცახესაც ვერსად დინახავ და ეს მაშინ, როცა თბილისი სანაგვე ურნას დამგავსებია. ეტყობა, აქ სისუფთავის შენარჩუნებაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე გზების დაცოცხვა-დასუფთავებაზე...



ინტერესით ჩავიარეთ ქუჩებში იმ ქალაქისა, რომელსაც ეწოდება ურგუბი. სანთლით ვეძებთ, ოღონდ წამლად ერთი აფთიაქიც ვერ ვიპოვეთ და ეს მაშინ, როცა ჩვენს ნებისმიერ უზადრუკ ქალაქში, ვთქვათ, ჩოხატაურში, ყოველ ას მეტრში ორი მაინცაა გამოჩრილი.

გაჩერებებზე ორი-სამი კაცი თუ დგას, ესეც ბევრია.

უსაქმოდ არავინ დაყალიბს. არ ისმის მოტოციკლეტების ტკაცატკუცი და მანქანების მუხრუჭების ღრჭიალი. ერთი ჯიპიც არსად შეგხვდება. ქვემეცნულად გრძობ, რომ ქვეყანას მტკიცე ხელი მართავს.

გიდი წინ მიგვიძღვის და ვათვალისწინებთ ქვაში ჩასმულ ქალაქსა და მღვიმეებს.

ყოველი ღირსშესანიშნაობის ახლოვეს სავაჭრობია. იყიდება სამშენისები, სუვენირები, „ფინტიკულუკები“... დიდი მაზანდაა და გასამტერებელია ფასები, მით უმეტეს, რომ ამ ბოლოს თურქული ლირა პლინტუსზე დაბლა დაეშვა.

ერთგან „საცდელად“ ჩალასავით გამოიმხმარი ორი „ბუბლიკი“ ავიღეთ და 40 ლირა აგვადლიტეს – დაახლოებით 8 ლარი. მაგრამ ეგ რა სათქმელია იმასთან შედარებით, რაც სალ-

ოდენ „ძვირფასად“ გადავიხადეთ. უფრო საინტერესო გამოდგა მომდევნო დღე. ვნახეთ ზელე — ბერთა ხეობა.

კანიონები ვარდისფერი ტუფით არის შეფერადებული. თუ რეჟისორს მარსის ხედების გადაღება სწადია, სწორედ აქ უნდა გადაიღოს. აგერ ცნობილი ფაშა-ბალი. სადაც აქვეა სვიმონ მესხეთის სამყოფელიც. აგერ მისი საცხოვრისი. მეგალითური ვულკანის ამონახეთი მთად გამყარებულია, მერმე დროს, მზეს, ქარსა და წვიმას, თაკარებასა და ყინვას ისე უმოქმედია, მთები ჩამოუწვრილებია, ზოგი წვერწათილი ფანქრისთვის, ზოგიც ქუდიანი, ზოგიც ცილინდრიანი სვეტისათვის დაუმგვანებია. სწორედ ასეთია სვიმონ უფროსის სვეტიც. ისე არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს იგი ზედ სვეტის წვერსა და თავზე იჯდა და ისე უცდიდა სიკვდილს. არა, ამ სვეტის ქვედა (ზემოდან მეორე) მასივში რბილი ქანებია. მასში კელიის გამოჭრა არც ისე რთული საქმეა (ამ მხრივ ვარძიის მასალა უფრო მავარია). აი, ერთი სვეტის სწორედ ასეთი კელიაში ცხოვრობდა სვიმონ მესხეთე. დროდადრო იგი, რო-



გორცა ჩანს, ქვემოთ ჩამოდიოდა და იქვე გამუნებულ ზვარში საქმიანობდა. ეგ ვენახი დღე-

საც მოსდებია ირგვლივ ყველაფერს; უმცროსი სვიმონ მესხეთე საქართველოში, რკონში, ჩამოსულა და იქ დაუდგია ბინა. ეტყობა, ამიტომაცაა აქ მისი სახელობის ეკლესია. საგულისხმოა, რომ კაცის სვეტიც მესხეთების ტრადიციას უკავშირდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ვარძიის კომპლექსი და კაცის სვეტიც კაპადოკიური კულტურის ერთგვარი გაგრძელება და გამოძახილია ჩვენში, რაც მოწმობს კულტის ქართველ მოღვაწეთა კავშირს კაპადოკიასთან. ამიტომ არც ისაა მოულოდნელი, რომ სწორედ წინო კაპადოკიელმა ჩამოაკითხა საქართველოს და დააყენა იგი ქრისტიანობის გზაზე; არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ წინოს ნათესავი წმინდა გიორგი კაპადოკიელი ისე ძლიერ შეიყვარეს ქართველებმა, რომ მათ გიორგიელები (გეორგია) უწოდეს.

დავავთვალერეთ ავანოსი – ხელოსანთა ქალაქი.

ვნახეთ მომაკვდავი სოკო – კაპადოკიური ტიპური სვეტი, რომელსაც ისევ ისე მედიდურად ახურავს ქუდი (მტკიცე ვულკანური ბოლო ამონაფრქვევი), ოღონდ ქვედა რბილი ფენა (არამტკიცე, ვულკანური ბოლოსწინა ამონაფრქვევი) თანდათან გამოსცლია ხელიდან; გარემოს ზემოქმედებას იგი დაუსუსტებია, ჩამოუფხვნია, ჩამოურცხავს და ახლა, დღეს თუ ხვალ, შეიძლება ყელიც კი მოსტყდეს და „ქუდი“ ძირს ჩამოვარდეს.

ერთი კიდევ ვიხუმრე: მავან ტურისტს ვუთხარი, ასე ხმაშალდა ნუ აცხინკებ, თორემ იმ სვეტს თავი მოსწყდება და შეიძლება დაგეცეს – მეთქი!

ქალი შეშინდა და პირზე ხელი მიიფარა.

ვნახეთ სიმბოლო კაპადოკიისა — სამი ლამაზმანი. ეგ გახლავთ სამი მეგალითური მთიდან შემორჩენილი სამი სვეტიც.

აგერ მთავარი სანახავიც: ციხესიმაგრე ორთაპისარი, წმ. ნინოს დაბადების ადგილი.

ქალაქის მერი არა ჩვენი სიყვარულისათვის, არამედ კომერციული მოსაზრებით გაისარჯა და ნინოს ეკლესიაში კანკელი დაგვიდგა; იქვე ყველაფერი მოაპირკეთა, მოალამაზა. იცის, რომ აქ ძირითადად ქართველი მოდიან. სამლოცველოში სანთლები ავანთეთ; ჩვენმა მაგალობელთა გუნდმა სათანადოდ იგალობა. ეტყობა, ქალბატონებს წინდანიშნ უვარჯიშობა და საეკლესიო საგალობლები მშვენივრად შეუსწავლიათ.

ჩვენ, გიორგიელებს, არ შეგვეგნის, გვერდი აუქციოთ სოფელს, რომელსაც ეწოდება ჩაუშინი. აქ ხომ სადაც ქვის ის სახლია, რომელშიც გიორგი კაპადოკიელი დაიბადა. ჩვენი თვალები მიეფერნენ ამ სანახებს, იქვე ნათლისმცემლის სახელობის ქვაში ნაკვეთ ეკლესიას...

გზადაგზა ვათვალისწინებთ ქვაქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობებს. ზოგმა ჰაერბურთის საშუალებით (ვიეთნი მის გამოგონებას ფრანგ ძმებ მონგოლფიერს მიანერენ, ზოგნიც – რუს დიაკ კრიაკუტინის) ზემოდან დაათვალიერა კაპადოკიის ამ ნაწილის რელიეფი და ხედები...

ახლა თურქების დედაენისადმი ერთგულეზაც გავსინჯოთ.

ჩვენ, ქართველები, მკერდზე მჯილს ვიბაგუნებდით და სასტიკად ვებრძოდით რუსულ ფორმას – „ბუტკა“. ნავიდა რუსი და მოვიდა ფრანგული „ბუტიკი“.

ყალბი გამოდგა ჩვენი ენობრივი პატრიოტიზმი და მკერდზე ხელის ბაგუნი!

კაცო, თუ შედარასტული „ბუტიკი“ „გველოდა“, მაშინ რაღას ვერჩოდით ვაჟკაცურ „ბუტკას“?!

მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე 2400 კმ გავიარეთ და ვერსად ვნახეთ ერთი ფირნიშც კი, სადაც ინგლისური სიტყვა ეწერა. ყველგან თურქული წარწერებია. ინგლისური თურქულის ქვემოთაც კი არ ჭაჭანებს.

აი, ენობრივი პატრიოტიზმი!

კიდევ მეტი: საყოველთაოდ მიღებულია და საერთაშორისო ნიშანია „STOP!“ თურქეთში ისიც უარუყვიათ და ყველგან წერია თურქული DUR.

არსად და არასოდეს რაიმე გამოწკარისი!

შევეურებდი ამ წარწერას და მეჩვენებოდა:

ეგ DUR თითქოსდა ქართველებს მალვალაკურად დაგვეცინოდა, DUR-აკები ხართ, რომ მშობლიურ ენას პატივს არა სცემთო!

და მე კიდევ სათქმელი აღარაფერი დამჩვენოდა.

ერთი დამეული მგზავრობაც და სარფში შემოვედით. გადმოვლახეთ საზღვარი და ისევ ის ნაცნობი ხალხმრავლობა, ქუჩებში ავტომანქანების ჭედვა, მოტოციკლეტების ტკაცატკუცი, ჯიპების სამუხრუჭეთა ღრჭიალი, ფირნიშებზე მხოლოდ ინგლისური წარწერები, ქუჩაში მტვერი, კუთხეებში ნაგავი და ნამდაუნემ შემოფეთებული საერთაშორისო შუქნიშანი – STOP, STOP, STOP...



რევაზ მიშველაძე

(დასაწყისი „მწერლის გაზეთი“ 2021 №3,4,5,6; 2022 №1,2,3)

24/III 90 — 9/IV 90

თურქეთში ვიმოგზაურეთ (7 დღით) ნათელამ, აჩიკომ და მე. თურქეთი ნახევრად ხროიკი ქვეყანაა. გასაგებია, რატომ ილტვოდნენ ჩვენსკენ. მითხრეს, რომ თურქეთში 15 მილიონ-ამდე ქართველი ცხოვრობს.

მართლაც, სტამბოლში, სამსუნში და ტრაპიზონში ყოველ ნაბიჯზე შეხვედებით ქართველს.

ქართულს ძლივს ღერღვენი, თურქულ პასპორტში ეროვნება ყველას თურქი უწერია. აკრძალულია ქართული ენა, ქართულ სკოლებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ამანსინათ ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თურქეთს ნოტა გამოუგზავნა, ქართულს რატომ ზღუდავთო, თურქეთმა უპასუხა, ჩვენთან ერთი ქართველიც კი არ ცხოვრობსო.

შეხვედით ქართველებს — ოთარ იმედაშვილს, ილია ხიმშიაშვილს, გურამ ხიმშიაშვილს, ჩელეხაძეს...

მე ვფიქრობ, თქვენი მუშაობა ასე აჯობებს-მეთქი: თავდაპირველად საქიროა ეროვნული გამოღვიძება. უნდა გაახსენოთ ყველას ქართველობა-მეთქი. მერე გზა თვითონ გამოჩნდება-მეთქი.

ჩამოვედი თბილისში. სასიხარულო ამბები დამხვდა. „ახკომს“ (27/III) დაუბეჭდავს ჩემი წერილი „ერთი სევდიანი ისტორია“. რომელშიც ბ. ბერულავას ვაკრიტიკებ.

„ლიტ. საქართველოს“ დაუბეჭდავს ჩემი 50 წლისთავისადმი მილოცვები. 9/IV 90

წუხელის მთავრობის სახლთან გავათენეთ დაახლოებით 10 ათასმა ქართველმა.

რა თეატრალური გლოვა ვიცი. რა ფეიერვერკი იყო. დანევს როდინოვის ფიტული.

დილის 7 საათზე დავბრუნდით შინ. 10/IV 90

2 საათზე მწერლები მარნეულს, თამარისს ვენციეთ.

გაიხსნა 9 აპრილის მემორიალი. სიტყვა ვთქვი.

მერე ნიკო ბარტყულაშვილის ოჯახს ვენციეთ (ლამარა, მაია, გია, დათო).

მშვენიერი ქართული სოფელია თამარისი. რა მაღლიერებას გამოთქვამენ ჩვენს მიმართ.

თქვენაო, მწერლებმა, მიწის ნაკვეთები დაგვირიგეთო.

შინ დაბრუნებისას ერთხელ კიდევ ჩავუარეთ მიხაკების ზღვას.

ერთი საოცარი საქმე აღსრულდა; აზერბაიჯანელები შეგვირიგდნენ. მიხვდნენ, რომ რუსები ჩვენი საერთო მტრებია.

მოდოდნენ და მოდიოდნენ დელეგაციებად.

11/IV 90

დღეს, როგორც იქნა, რექტორს ხელი მოვანერინე სოსო ბუხაიძისთვის შტატის გამოყოფაზე.

გახარებული ვარ. 55 წლის გახდა სოსო და ახლა, ამ სიბერეში ძლივს აღირსეს შტატი.

გამოვიდა პროფკავშირის გაზეთი „კაბადონი“. პირველ ნომერს არა უშავს. ვნახოთ, იქცევა თუ არა მებრძოლ ორგანოდ.

მწერალთა კავშირში წესდებაზე დიდი კამათი გვქონდა.

მე მხარი დაუჭირე მწერალთა კავშირში „პარტიული წყობის“ რღვევის წინადადებას.

12,13,14/IV 90

„თვისტომის“ ყრილობა ჩატარდა. აკაკი ძიძიგური თავმჯდომარეობდა. ერთხმად ამირჩიეს პრეზიდენტად.

ვიცე პრეზიდენტებად — ანდრო გოგოლაძე და სევარიონ ნადირაძე.

უნდა დავეხმაროთ საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველებს. დიდი ტვირთია, მაგრამ უნდა გავწიო.

აკაკი ძიძიგურმა ბიბლიოთეკის შენობაში ერთი ოთახი თავაზიანად დაგვითმო. ხვალ აღდგომაა.

15/IV 90

ქრისტე აღდგა! რა მშვენიერი, რა ძლიერი და რა წმიდაა ქრისტე.

მართლა შეიძლება მტრების დამარცხება სიყვარულით.

16/IV 90

მთელი დღე ვიცე-პრეზიდენტებთან — ანდრო გოგოლაძესთან და სევარიონ ნადირაძესთან გავატარე.

ჯერ რედაქციები ჩამოვიარეთ; პროგრამის დაბეჭდვას ვერავინ ბედავს — ძალიან გაბედულიაო.

შევადგინეთ გეგმა. წესრიგში მოვიყვანეთ ოქმები და რეზოლუციები.

17/IV 90

მთელი დღე „პირველი სხივის“ მასალებს ვასწორებდი.

ახალგაზრდებს ვერ ვულალატებ. არა და წელში გამტებს ამდენი საქმე. ჯერ მარტო „თვისტომის“ ფეხზე დაყენება, მისი პრეზიდენტობა პატარა საქმეა? აქ კათედრა, იქ ცოდნის კლუბი, ჩემი მთავარი საქმე — ნოველა, საქართველოს პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობა. ღმერთო, შემენიე!

18/IV 90

სამი საათი ასწორა კარლო ბუხნიკაშვილმა (მინისტრთა საბჭო) ჩვენი „თვისტომის“ წესდება. როგორც იქნა, დაიყვანა საბჭოურ კონდიციამდე.

რა ჩემი ბრალიაო, ბოლოს გვითხრა, გვინდა თუ არა, ჯერ კიდევ არსებობს წყეული საბჭოთა ხელისუფლებაო.

19/IV 90

დილის 5 საათზე გულის ბრაგუნმა გამომალვია. წნევა 160-115, ნათელა შეშინდა.

დავურტყი წნევის ნამლები. გაბურბუსალეული ნავედი სამსახურში.

20/IV 90

გუშინ საღამოს „კრიტიკიდან“ ა. გაბელიამ დამირეკა, ხვალ რედაქციის თათბირი გვაქვს და დავგვსწარიო.

მივედი. რედაქციის თანამშრომლების გარდა იქ იყვნენ სახალხო ფრონტის, დემოკრაფიული საზოგადოების, მერაბ კოსტავას საზოგადოების, საზოგადოება „თვისტომის“ და პრესკლუბის, აგრეთვე სხვადასხვა ლიტერატურული ორგანოების წარმომადგენლები.

მწერალ ალექო გაბელიას მიერ ნაკითხულ იქნა რედაქციის ღია წერილი, რომელსაც ხელს აწერს „კრიტიკის“ ლიტერატურულ თანამშრომელთა უმეტესობა. ღია წერილში საუბარია იმის შესახებ, რომ მკვეთრად გამოკვეთილი ეროვნული პოზიციის გამო ორი თვის წინათ „კრიტიკის“ რედაქცია დარბეულ იქნა. უკანონოდ გაათავისუფლეს რედაქტორი რ. მიშველაძე და მალე რედაქციის სამი წამყვანი თანამშრომელი — გ. ჯულუხიძე, ნ. გრიგალაშვილი, ს. ნადირაძე აიძულეს წასულიყვნენ რედაქციიდან.

სიტყვები წარმოთქვეს: ს. სიგუამ, გ. ჯულუხიძემ, ს. ნადირაძემ, რ. მიშველაძემ, ჯ. ჯიქიამ, თ. ჩალაბაშვილმა, თ. ვეშაპელმა, ა. ჩხაიძემ, თ. დოიაშვილმა, ლ. ბრეგაძემ და სხვებმა.

თათბირმა რედაქციის თანამშრომელთა სურვილისა და საქ. სსრ პროკუ-

რატურის, რესპუბლიკის პროფკავშირის და რესპუბლიკის სახალხო კონტროლის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დაადგინა: აღდგენილ იქნან სამსახურში რ. მიშველაძე (მთავარი რედაქტორი), გრ. ჯულუხიძე (რედაქტორის მოადგილე), ნ. გრიგალაშვილი (განყოფილების გამგე), ს. ნადირაძე (ლიტმუშაკი).

„კრიტიკას“ დაუბრუნდეს სახელწოდება და „ქართული მწერლობის“ ნაცვლად ეწოდოს „კრიტიკა“.

ამის შემდეგ თათბირის მონაწილენი ეწვევნენ მწერალთა კავშირს, აჭედეს მწერალთა კავშირის მდივნის, „კრიტიკის“ კურატორის — ბ. ბერულავას კარები და მწერალთა კავშირის მდივნის გ. ფანჯიკიძის და სხვა თანამშრომელთა თან-

მაშუარაზი

როგორ ირწეოდა სომალდი

დასწრებით ერთხელ კიდევ წაიკითხეს რედაქციის ღია წერილი. „კრიტიკის“ თანამშრომლები აცხადებენ, რომ თუ მათი კანონიერი მოთხოვნები არ დაკმაყოფილება, იძულებული გახდებიან მიმართონ უკიდურეს ზომას — გამოაცხადონ შიმშილობა მწერალთა კავშირის შენობაში, მუხრან მაჭავარიანის კაბინეტის წინ.

21/IV 90

დილიდან უქეიფოდ ვარ. ფანჯიკიძემ დამირეკა, ხუტას ფიცრები ჩამოუგლეჯია და უსირცხვილოდ შესულა თავის კაბინეტში.

თავმოყვარეობა არ ჰქონია. რომ მცოდნოდა, რა საკითხზე მეძახდნენ, არამც და არამც არ მოვიდოდი „კრიტიკაში“.

უსიამოვნოა ჩემთვის ყოველივე „კრიტიკაში“ დაბრუნებას ფიქრშიც არ გავივლებდი, რომ დამენახა, ჩემს ადგილზე ეროვნული ბიჭები, თანამაზრენი მოვიდნენ-მეთქი.

ჩემს გარდა სამი უდანაშაულო, ნიჭიერი კაცი გააგდეს. ჟურნალს სახელი შეუცვალეს. ანგარიშსწორების ტრიბუნად გამოიყენეს.

ვემუდარე რედაქციის ბიჭებს, ჩემი გულისთვის ცხოვრებას ნუ გაერთულებთ, შიმშილობას ნუ გამოაცხადებთ-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერენ. გადანყვეტილებაზე მტკიცედ დგანან.

ნუთუ, დაუშვებს მუხრან მაჭავარიანი მწერლების შიმშილობას?

ნუთუ, არაფერს ეუბნება მას ბ. ბერულავას კარების აჭედვა?

22/III 90

დღეს გაზეთ „კაბადონში“ ფოტოები და ინფორმაცია დაბეჭდილი — „რამ ამდღერა წყალი“, ნათქვამია, რომ მიშველაძის უსამართლოდ გათავისუფლების გამო რედაქცია და არაფორმალური საზოგადოებები პროტესტს გამოთქვამენო.

პრესაშიც გაჟონა. ახლა უკან დახევა აღარ შეიძლება.

მე რედაქციის გვერდით უნდა ვიყო. 23/IV 90

დღეს „კრიტიკის“ რედაქციის თანამშრომლებმა და ქალაქის ახალგაზრდებმა რედაქციის წინ მიტინგი მოაწყვეს.

მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად დაადგინეს რ. მიშველაძის დაბრუნება „კრიტიკაში“.

როგორც საღამოს თამაზ ნიწვიანიც დამირეკა, მუხრანს განუცხადებია; უნდა დაეაბრუნო მიშველაძე, სხვა გზა არა მაქვსო.

24/IV 90

ვწევარ. სურდო შემეყარა. კვლავ „ვეფხისტყაოსანს“ ვუკირკიტებ. 25/IV 90

დღეს დამირეკეს მწერალთა კავშირიდან: თქვენი გულისთვის 5-მა ახალგაზრდა მწერალმა შიმშილობა გამოაცხადაო.

თურმე, 12 საათზე „კრიტიკის“ თანამშრომლები მისულან მუხრანთან. მუხრანს ჩემს დაბრუნებაზე კატეგორიული უარი უთქვამს.

ახალგაზრდა მწერლები (ა. ჩხაიძე, ა. გაბელია, ს. ნადირაძე, თ. ვეშაპელი, გ. კიკოლაშვილი) გამოსულან და იქვე სამიშლოდ დამსხდარან.

მივეარდი მწერალთა კავშირში. ნუ იზამთ ამას-მეთქი. არ დაიშალეს.

რა საშინელებაა. ჩემი გულისთვის ეს კარგი ბიჭები ნუხდებიან. 26/IV 90

მთელი დღე საშინლად აფორიაქებული ვარ. ადგილს ვერ ვპოულობ.

შუალამისას მივედი მოშიშვილებთან. „ნუ შვრებით-მეთქი ამას, ბიჭებო, გთხოვთ, გვედრებით, შეწყვიტოთ-მეთქი, შიმშილობა“.

27/IV 90

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა. საგანგებოდ, შიმშილობასთან დაკავშირებით.

მუხრან მაჭავარიანმა საოცარი სიმშვიდით განაცხადა: მთელმა მწერალთა კავშირმა რომ გამოაცხადოს შიმშილობა, „კრიტიკის“ რედაქტორად მიშველაძეს მაინც ვერ დავაბრუნებ, ვინაიდან, როგორც ცეკადან მაცნობეს, იგი ანტისაბჭოთა მწერალიაო.

ავდექი ბოლოს და განვაცხადე: რაკი მაჭავარიანს არ ჰყოფნის ვაჟკაცობა, რომ აღიაროს თავისი შეცდომა, სამაგიეროდ, მე მყოფნის ვაჟკაცობა უარი განვაცხადო „კრიტიკის“ რედაქტორობაზე, რათა ჩემი გულისთვის მოშიშვილე ახალგაზრდებს ზიანი არ მიადგეთ-მეთქი.

პრეზიდიუმის სხდომა ხვალისთვის გადაიტანეს.

28/IV 90

დღეს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე მურმან ლებანიძის წინადადებით, როგორც უკანონოდ გათავისუფლებული, აღმადგინეს „კრიტიკის“ რედაქტორის თანამდებობაზე.

არავის ეგონოს, რომ „კრიტიკის“ რედაქტორის თანამდებობა ისევ „მოვიპოვე“-მეთქი, გავიფიქრე და იმ ნუთუზე, იქვე დავწერე განცხადება „კრიტიკის“ რედაქტორობიდან გათავისუფლების შესახებ.

პრეზიდიუმს სხვა არა ჰქონდა; „კრიტიკის“ რედაქტორად ჩემივე წინადადებით არჩეულ იქნა ჯანსუღ ლვინჯილია ნიჭიერი, მებრძოლი კაცია, რაც მთავარია, განწინასწორებული და პატიოსანი.

29/IV 90

მე და აჩიკო ვიყავით ახალგაზრდა პოეტ სევარიონ ნადირაძის ქორწილში.

მეგრელი გოგონა შეურთავს. იქ სხვა ახალგაზრდა პოეტებიც იყვნენ: თ. ფირცხალაიშვილი, მ. ლანიშავილი, კახა ლორია (კრიტიკოსი, ჩემი ასპირანტი), ა. ჩხაიძე, გ. კიკოლაშვილი და სხვები.

თინა ვეშაპელმა დამირეკა: „კრიტიკის“ რედაქტორობაზე უარი არ უნდა გეთქვათო.

30/IV 90

ცულდ ხასიათზე გავიღვიძე. ყურში უსიამოდ ჩამესმის მუხრან მაჭავარიანის მიერ დასმული შეკითხვა პრეზიდიუმზე: „კრიტიკაში“ ორი მონინალმდე მიშველაძესაც ჰყავს, ახლა იმათ რომ გამოაცხადონ შიმშილობა, რალა ვქნათო.

როგორ გაეხადრა სახე, როგორ გაეხარდა, როცა რედაქტორობაზე უარი განვაცხადე.

რა დაუშუავე, ვერასვლით ვერ მიხვდი. მე და აჩიკო საღამოს მერი ვაშაკიძესთან ვიყავით სტუმრად. იქ იყვნენ სოსო, გედეონ ხელაია, მზია მიქაძე, ულამაზესი დალი თუშიშვილი და სხვები.

ვითამადე. 1/IV 90

ქვეყანა მოწყენილია. თბილისში პარადი არ ჩატარდა.

კომუნისტების ზეიმები მოდიდან გადის. სულ სხვა საქართველოში ვცხოვრობთ.

2/IV 90

მილიციამ გამოგვიძახა მცხეთაში. მე და აჩიკო წავედით.

დაუჭირათ ქურდები, ვინც 4 სახლი გატეხა მუხათყაროში და მათ შორის ჩვენიც.

ჩვენგან მარტო ტელევიზორი იქნა ნაღებული. წარმოგვიდგინეს ქურდები: 23 წლის გოგო - გიორგი და მისი საყვარელი 27 წლის ვაჟი. შემეცოდნენ. ორივემ იტირა, ბატონო რევაზ, რა ვიცოდით, თუ თქვენს სახლსაც ვტეხავდითო.

აპატიეთ-მეთქი, ვუთხარი მილიციის უფროსს. თურმე რას აპატიებენ, ჩემს გარდა 14 სახლს ჰქონიათ სხვადასხვა დროს გატეხილი.

3/V 90
ლიტვის კვალდაკვალ ლატვიაც აპირებს სსრკ-დან გასვლას!

„ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში“.

4/V 90
დავამთავრე „პირველი სხივის“ რედაქტირება. ნიჭიერი ბავშვები კვლავ არიან. ახალბედისთვის, დებიუტანტისთვის ხელის განვდენა ჩემი სასიამოვნო მოვალეობაა.

დამირეკა ფანჯიკიძემ. მუხრანი, თურმე, კატეგორიული წინააღმდეგი იყო, გამოეცხადებინა გაზეთში პრეზიდენტის დადგენილება ჩემი აღდგენისა და ჩემივე განცხადებით გათავისუფლების თაობაზე. სალამოს მე და აჩიკო მცხეთაში ჩავედით. ჩვენი ტელევიზორი არც ახლა გამოგვატანეს. ჯერ ბოლომდე „ამოცნობილი“ არ არისო.

5/V 90
პაატამ (ჩემმა დისწულმა) ცოლის შერთვა გადაწყვიტა. დღეს ნიშნობა ჰქონდა. სამივე ძმე ვახლდით. მშვენიერი ოჯახია, არქიტექტორ დავით ქავთარაძის ქალიშვილი — ნინო მოწყავს. იქ შევხვდით ლევან სალარაძის (სირია) დებს და ძმას.

საწყალი ლევანი, როგორ სტკიოდა საქართველო.

მთელი ქვეყანა სსრკ-დან ლატვიის გამოსვლაზე ლაპარაკობს.

იმლება იმპერია!

6/V 90
კვირაა.
„თვისტომის“ პრეზიდენტის მიმართვა დავწერე ყველა ქართველისადმი; რათა დაგვეხმაროს ქართველობა ქართველთა ჩამოსახლების რუკის შედგენაში.

7/V 90
ასანა ნადირაძე მელაპარაკა, მუხრანი გრძობს, რომ შენს წინაშე დამნაშავეა, მაგრამ ყველაფერს მას ნუ დააბრალებ, მთავრობამ აიძულაო.

მე ვუპასუხე, მუხრანის პოეზიას პატივს ვცემ და მასზე აუგს არასოდეს ვიტყვი-მეთქი.

8/V 90
ტელევიზიაში დიდი ალღუმი. გამოდიან 80-ს მიტანებული მოხუცი ვეტერანები და გორბაჩოვს მოუწოდებენ რეპრესიებისაკენ.

ხომ არ არის ეს დადგმული?

10/V 90
ჩვეულებრივი, მშვიდი დღე იყო. ყველანი გუშინდელ მიტინგზე ლაპარაკობენ.

„ინტერფრონტი“ ჩაიშალა.

11/V 90
მწერალთა კავშირში წლიური პრემიების მიწოდების კომისიის სხდომა გვექონდა.

12/V 90
ვიყავით მე და სოსო ბუხაიძე ენვერ გიორგენიძის ოჯახში სტუმრად. იქ იყო ედუარდ შევარდნაძის სიძე — ზვიად მოსაშვილი. ავადმყოფია საწყალი, ფერი არა აქვს. ლაპარაკი ედუარდზე ჩამოვარდა. მე ვუთხარი; გადაეცი-მეთქი ჩემგან, როგორმე მიაღწიოს ჩვენი მღრღნელი ავტონომიების გაუქმებას, მერე დანეროს განცხადება და გამოერიდოს გორბაჩოვს, თორემ რუსები „პერესტროიკის“ მთელ მარცხს მაგას დააბრალებენ-მეთქი.

13/V 90
კვირაა.
„ტელევიზიაში“ ჩამწერეს „თვისტომში“. გადასცეს „მომამბეში“.

შემხვდა ნიჭიერი ტელეჟურნალისტი ნანა ნითელაშვილი. ბატონო რეზო, შოთა ნიშნინაძეზე გადაცემას ვამზადებთ და თქვენი იმედი გვაქვსო.

სამოგონებო-მეთქი.

14/V 90
„ცოდნაში“ თათბირი — შეჯახება იყო. ასეთი რამ ახლა ყოველ დანესებულებაშია. ნუგზარ წერეთელს აუხირდა თანამშრომელთა ჯგუფი; გადადექიო.

სიტყვით გამოვედით მე და გურამ შარაძე. ვცადეთ შერიგება — დამომინებდა მოქიშპეთა. განსაკუთრებით ღია ლაზაშვილი აქტიურობდა: ნ. წერეთელი

ლი პარტიის წევრია (კომუნისტი) და მოგვმორდესო, არ შეიძლება-მეთქი ერთი ჯოხით გავდენოთ ყველა პარტიის წევრი. მათ შორისაც ბევრია-მეთქი პატრიოტი.

სალამოს ტელევიზიით „დილოგი“ გადაიცა.

ზვიად გამსახურდია სამხედროებს ებაახებოდა.

ტყაყი გააძრო ოკუპანტებს. კარგ ხასიათზე დავდექი. ზვიადი, მართლაც, ნათელი გონებაა.

15/V 90
მამაჩემის ბიძაშვილი, ნინო მიშველაძე, გარდაიცვალა.

ლეთისნიერი, სათნო, ტკბილი ნინიკო. მწერალ ბორის კანდელაკის მეუღლე. უნიჭიერესი ფეხბურთელის — ჯუმბერის დედა. ძალიან მენყინა.

ადგილს ვერ ვპოულობ.

16/V 90
„თვისტომის“ კანტორაში (კეცხოველის 7) მიღება მქონდა. ათამდე მთხოვენილი მოვიდა. ბაქოში მცხოვრებ ბექაურს სამშობლოში დაბრუნება სურს. არ მივცხმარო?

ცხინვალელი ქართველი ქალი იყო. ჩემს ოჯახს ოსები გადაწვით ემუქრებიანო. აიბარგე ჩვენი მინიდანო.

ბედის ირონია... შუა ქართლში ქართველს ოსი ემუქრება — აიბარგეო.

ვინ დაგვწყევლა, რა დავაშავეთ ასეთი.

17/V 90
კათედრის წევრებმა საიუბილეო ვახშამი გამიმართეს.

ყველა ყველა და ამათ, მე მგონი, გულწრფელად ვუყვარვარ.

არ თქმულა არც ერთი ყალბი სიტყვა, არც ერთი ნაძალადევი სადღეგრძელო.

18/V 90
დღეს „ლიტერატურულ საქართველოში“ როგორც იქნა, დაბეჭდეს ჩემი ნოველა „მავზოლეუმი“.

მილოცავენ, მირეკავენ, მოსწონთ.

გავიგე შემადრწუნებელი ამბავი. ემზარ კვიტიანიშვილის ბიჭს — დათოს, თავი მოუკლავს, მეხუთე სართულიდან გადაიშხტარა.

სამინელებაა. რა დღეში იქნება ემზარი.

დათო ჩემი სტუდენტი იყო. ნიჭიერი, თავმდაბალი ბიჭი.

რით ვანუგემო ჩემი ემზარი. კიდევ კარგი, რომ სოფიკო ვერ მოესწრო ამ დღეს.

19/V 90
შაბათია.

ეროვნული ფორუმზე მოწვევა მივიღე. დავურეკე ზვიად გამსახურდიას.

არ პასუხობს.

თუ ზვიადი არ შეირიგეს, იქ მისვლა არ ღირს.

20/V 90
დეიდა ნინიკო გავასვენეთ.

„კომუნისტში“ ჩემი ნოველა „იაპონელი“.

21/V 90
მწერალთა კავშირში მუხრან მაჭავარიანმა თავისთან მიხმო, ფანჯიკიძეს ველოდებოდი, არ მინდოდა მუხრანთან მარტო შესვლა.

უბედური კაცი ვარო, თავმჯდომარეობა ჩამიფლავდაო, უნდა წავიდე აქედანო.

შენი თავიც მომამდურესო.

მდუმარედ ვუსმენდი. არც ჰო მითქვამს, არც არა.

22/V 90
დღეს უნივერსიტეტში პირველკურსელებთან ჩათვლა მქონდა.

ოვასამდე სტუდენტს გავესაუბრე. ზოგი მათგანი დაბადებულია ლიტერატორად. ზოგი „ტყემალზე ზის“.

ხვალ ეროვნული ფორუმი.

ვნახოთ, რა გამოვა. თუ სსრკ-დან გავლაზე დადგა საკითხი, მე მხარს დავუჭერ.

23/V 90
10 საათზე დაიწყო ეროვნული ყრილობა.

დაახლოებით 6000 კაცი ვესწრებოდი.

გახსნა ირაკლი წერეთელი. კარგი სიტყვა თქვა. მერე გამოვიდნენ გია ჭანტურია, სუმბათაშვილი, ხაინდრავა, ჯ. ჩარკვიანი, მაჭავარიანი, ირაკლი კაკაბაძე, ისევ ირაკლი წერეთელი.

მე პირადად გული მწყებოდა, რომ ყრილობას არ ესწრებოდნენ ზ. გამსახურ-

დია, ა. ბაქრაძე და ნოდარ ნათაძე. მაგრამ ყრილობა იმპერიისადმი ზიზღის ნიშნით მიმდინარეობს და მე სულითა და გულით მხარს ვუჭერ.

რეზო ჭეიშვილი, თამაზ ნივნივაძე, იორამ ქემერტელიძე, ვაჟა აზარაშვილი და მე ერთად ვიჯექით.

ეტყობა, ეს ყრილობა მხოლოდ ეროვნული კონგრესის არჩევის პრინციპებს გამოიმუშავებს. მეტს არაფერს იზამს.

24/V 90
ეროვნულ ფორუმზე კონგრესის არჩევნების წესზე დიდი კამათი გაიმართა.

ირაკლი წერეთელი უკვე ჩამოყალიბდა ერთ-ერთ ლიდერად.

შუადღისას ემზარის დათოს დაკრძალვაზე ვიყავი. სალამოს — გოგი შალამბერიძის წლისთავზე.

საწყალი ემზარი, საბრალო გოგი.

25/V 90
სადილომ შრომების დაცვა მქონდა უნივერსიტეტში და ფორუმის ბოლო დღეს ვერ დავესწარი.

მითხრეს, რომ მაინცდამაინც სახარბიელოდ ვერ დამთავრებულა.

ადგილებიდან წამოშხტარან დეღეგატები და წერეთელ-ჭანტურიასთვის დაუძახიათ — ვინ ხართ თქვენ, ბელადობას რომ იჩემებთ, სად არის გამსახურდიაო.

ამასობაში გამსახურდია თავის მიტინგებს ატარებს, ხან რუსთაველზე, ხან მაჩაბელზე. უკანონოდ იქნას ცნობილი ფორუმი, გაჰყვიროს.

ეს არ ვარგა.

რა დროს კინკლაობის და განხეთქილების დროა.

სალამოს ელგუჯა მალრაძემ დამირეკა; დამითმე „კრიტიკის“ რედაქტორობაო.

დათობილი არა გაქვს-მეთქი? თურმე ორშაბათს ახალი რედაქტორის არჩევნება, რაკი ჯ. ლვინჯილიას უარი უთქვამს.

26/V 90
დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულია.

12 საათზე ვესწრებოდი მთავრობის სახლთან მიტინგს, — წერეთელი-ჭანტურიას ბრიგადა ხელმძღვანელობდა.

6 საათზე ვაკის ეროვნულ სტადიონზე მიტინგი გაიმართა. გახსნა თემურ ქორიძემ. პირველი სიტყვა ზვიადმა თქვა. შინაარსი ასეთი იყო. გვებრძვის ანტიქრისტი, ავაზაკი ბარაბა! — ქართველო ერო, გააკეთე სწორი არჩევანი. მერე ქორიძემ წააკითხა ვილაცის (!) წერილი. ზვიადი გმირად გამოვაცხადოთ სიცოცხლეშიო. ტაში, ბრბო! ზვიადი ხელში აყვანილი შემოატარეს სტადიონს.

სამარცხვინო პროვინციალიზმად მეჩვენა ეს ხელში აყვანა.

27/V 90
კვირაა.

მთელი დღე აგარაკზე ვმუშაობთ მე და აჩიკო.

ჩემი შვილი 17 წლის ხდება. სკოლა დამთავრა. სხვანაირი გახდა. ჩუმი, გულჩახვეული, ძველებურად აღარ მეგულგახსნილება.

28/V 90
მწერალთა კავშირში პრეზიდენტი ჩატარდა.

ნესდების საკითხი იდგა.

მუხრანი ცოტა ხანს კიდევ უნდა იყოს თავმჯდომარის პოსტზე და ამიტომ უარს ამბობს ნესდების შეცვლაზე.

სალამოს ნივნივაძემ დამირეკა და დანერობით ვუამბე პრეზიდენტის ამბები.

29/V 90
დღეს ზურაბ ლლონტს გავყვივე „გამარჯვებაში“. იქ მეურნეობის დირექტორ ჯოხაძეს დავეღრიჯე, რატომ აწვალა ამ კაცს, თავისი მკვდარი მამის დანატოვარ სახლს რატომ არ უფორმებთ-მეთქი.

კიდევ კარგი, მიცნო. დავგპირდა, გავაკეთებო, გამეხარდა.

უნივერსიტეტში დიპლომების დაცვა გავაგრძელებ. დათო ტურაშვილმა დაცვა. დიპლომი, რასაკვირველია, სუსტი იყო, მაგრამ თვით დათო კარგი ბიჭია.

ბევრი ტკბილი სიტყვა ვუთხარი.

6 საათზე დოცენტი გრიშა პაჭკორია (72 წლის) მოვანათლეთ მე და სოსო ბუხ-

აიძემ დიდუბის ეკლესიაში. საოცარი სურათი იყო.

9 საათზე მომღერალი ქალის, ლამარა გორდაშვილის, სალამოზე გახლდით, მსახიობის სახლში.

30/V 90
„მერანის“ წიგნის კორექტურას ვკითხულობ.

მშვენიერი წერილი დაუნერია შოთა ნიშნინაძეს ჩემზე.

ზუგდიდიდან რეჟისორი მერაბ ჯაფარიძე ჩამოვიდა და თქვა, რომ ზუგდიდის თეატრში დგამს ჩემს პიესას.

ცოტა ხომ არ მოძველდა-მეთქი, ვკითხე. არ მიხარია თეატრებთან ურთიერთობა ჩემი შარშანდელი კონფლიქტის შემდეგ.

ნათელა (სვეტა) ავად გამოხდა. მაღალი სიცხე აქვს. ჩანს, გაცივდა.

31/V 90
დღეს უნივერსიტეტში ილია ჭავჭავაძის კაბინეტი გაიხსნა.

დავესწარი გახსნას. ძალიან მიხარია. კაბინეტის გამგედ ჩემი მეგობარი ლადო მინაშვილი დანიშნეს.

1/VI 90
დღეს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, საშინელი ამბავი მოხდა. თბილისში ჩამოვარდა ფუნქიულიორის საბაგრო გზის ორი ვაგონი. ოცდაათი ბავშვი დაიღუპა.

მაშინვე გავვარდი შემთხვევის ადგილზე. სამინელებაა.

შვილო, ბავშვები, ალბათ, გოცუბასაც ვერ მოასწრებდნენ.

ყველაფერი მოშლილია ამ საზიზღარ სახელმწიფოში.

2/VI 90
შაბათია.

გავარკვიე ავარიის მიზეზი. ოცდაათორმეტი წელია საბაგრო მუშაობს და თურმე ერთხელაც არ გაურემონტებიათ.

3/VI 90
დავწერე სტატია — „ნუ ვაყვინებთ“. მოვიტხოვ, სასწრაფოდ გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობა.

სახელმწიფოებრიობა რომ აღდგება, თავისუფლების მოვლის სურვილი გავავართიანებს, ერთ მუშტად შეგვეკრავს.

4/VI 90
უნივერსიტეტში ვინახულე მოშიშილენი.

დღეს შიმშილობის V დღეა.

მათი მოთხოვნა ეროვნული ფრონტის გამთლიანება და დამოუკიდებელი საქართველოს გამოცხადება.

მე მხარს ვუჭერ-მეთქი, ბიჭებო, თქვენს აქციას.

ვატყობ, ძალიან უჭირთ შიმშილობა.

ღმერთმა ნუ ქნას, რაიმე მოუვიდეთ. ორ საათზე უნივერსიტეტში მოვიდნენ გამსახურდია და წერეთელი (რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე).

ვცადე შერიგება, მაგრამ არ გამოდის. თუნდაც ფიქტიურად მაინც უნდა შერიგდეთ-მეთქი, ხალხის შესახედად. ეს საქართველოს სჭირდება-მეთქი.

ვინ დაგიჯერა.

5/VI 90
ვკითხულობ ჩემი წიგნის კორექტურას. თბილისში ასიცხდა.

6/VI 90
მედეა კახიძე, ნოდარ გურემიძე, გრიგოლ ჯულუხიძე და მე ყვარელში გახლდით.

იქაურმა მდივანმა, თემურ ოსეფაშვილმა, ბევრი ვაჟკაცური საქმე გააკეთა. განსაკუთრებით ლეკების გასახლება ცდილობს.

სოფლებში — თივი, ახალსოფელში და თბილწაროში ლეკები ცოტანილა დარჩნენ.

კარგია.

7/VI 90
უნივერსიტეტში შიმშილობა კვლავ გრძელდება.

დღეს 4 საათის განმავლობაში გუმბარიძე შეხვდა უნივერსიტეტის თანამშრომლებს და ერთგულად იცავდა თავის გადაწყვეტილებას (კრემლისაგან ჩაგონებულს); სესიას 15 ივლისამდე არ მოვიწვევო.

მემუარები

ავდექი და ვუთხარი; რაშია საქმე, ამ სტუდენტების სიცოცხლე ფეხზე რატომ გკიდია-მეთქი. ამ მოშიშვლებების პირით მოინვიოთ სესია და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადოთ-მეთქი.

მოვლენებს ნუ დავაჩქარებთ, ბატონო რეზოვო, თავის დროზე გავაკეთებთ ყველაფერსო.

კი, მაგრამ, რამდენ ხანს იცოცხლებენ მოშიშვლები-მეთქი.

არ ვიციო.

არ იცის და არც აინტერესებს.

ბოლოს დავრჩი მოშიშვლებებთან და ასეთი გამოსავალი ვიპოვეთ. დავანყებინოთ სესია და ამათ შეწყვიტონ შიშობა, მერე კი სესია რომ დაიწყება, ახალი მოშიშვლები დასხდნენ. სწორედ იმ ახალმა მოშიშვლებებმა აიძულონ სესია გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

8/VI 90

მარტვილში 50 წლისთავის იუბილე გადამიხადეს.

გახსნა ვაჟა აბაკელიამ.

მომესალმნენ გივი ელიავა და მურმან სულავა.

აგრეთვე ახალგაზრდები — ფორმალეები თუ არაფორმალეები.

უამრავ შეკითხვას ვუპასუხე.

ადრესები, მილოცვები... ჭეშმარიტად ზემო იყო.

ნაბადი და ყანები მაჩუქეს.

ჩემთვის ძნელი იყო ქება-სიყვარულის მოსმენა, მაგრამ რომ იცოდეთ, როგორ გავიმართე წელში.

თითქმის ყველა ორატორი ამბობდა, თქვენს ლიტერატურულ მტრებს ყურადღება არ მიაქციოთ, იმათ თავიანთივე ბოღმა დააღრჩობსო.

საბოლოო სიტყვაში ვთქვი: ჩვენს ხალხს, აღარც კი მეგონა ახლა მწერლისთვის და მისი იუბილესთვის თუ ეცალა-მეთქი. დიდი მადლობა, ვეცდები არც მომავალში შეგარცხვინოთ-მეთქი. მერე მოვდიქი კომუნისტურ პარტიას, ვერც გუმბარდიე-გორბაჩოვს ავუარე გვერდი, ამათგან სიკეთე არაა-მეთქი მოსალოდნელი.

9/VI 90

დღეს გივი ელიავამ (ეთნოგრაფი, ენათმეცნიერი, სამეგრელოს ენციკლოპედია, გულმხურვალე ქართველი) მიმინვია მუზეუმში.

თითქმის სამი საათი დავყავი მარტვილის მუზეუმში.

დავავალიერე უნიკალური კოლექცია. ხელი შევახე 300 მილიონი წლის წინანდელ ქვებსა და ძელებს.

ეს ყველაფერი გივი ელიავამ მოიპოვა და დააღაგა. ვაჟა აბაკელიას ვთხოვე, გივი ელიავას 70 წლისთავი სექტემბერში უნდა აღვნიშნოთ-მეთქი.

სიამოვნებით დამეთანხმა.

მერე ზღაპრულ მარტვილის ტაძარს ვეწვიე. მცირე სამლოცველო მე-7 საუკუნის — ულამაზესია, თვით ტაძრის ერთი მხარე მე-7 საუკუნისაა, მეორე მე-10 საუკუნისაა. ფანტასტიკური ფრესკა ლეთისმშობლისა.

ვაჟა აბაკელიამ მითხრა აქ მინდა გიორგი ჭოყნდიდელის ძეგლი დავდგაო. ადგილის შერჩევაში მომეხმარეო. აღვუთქვი დახმარება. უნდა შევუთანხმდე კარგ მოქანდაკეს.

10/VI 90

გივი სომხიშვილმა შინ მიმიპატიჟა. ეს ის გივია, უდანაშაულოდ რომ ჩასვეს ციხეში, სადაც ხუთი წელი გაატარა. იყვნენ თ. ჩალაბაშვილი, ე. მაღრაძე, გ. ხარაძე.

სალამოს გრიშა ჯულუხიძესთან გახლდით. ბევრი ვისაუბრეთ.

11/VI 90

მორის ფოცხიშვილს 60 შეუსრულდა. ფილარმონიაში მშვენიერი საღამო გაუმართეს.

მისი სურვილით მხოლოდ მუსიკოსები მიესალმნენ, არც ერთი მწერალი არ მისალმნებია (?!).

სიამოვნებით მივესალმებოდი, რომ ეთხოვა.

მორისი ჭეშმარიტად ეროვნული, დიდებული პოეტი.

12/VI 90

დღეს ინტერვიუ მივეცი „ამერიკის ხმის“, „საკდესის“ და „აპნ“-ის კორესპონდენტებს „თვისტომის“ გამო.

„თვისტომში“ მივიღე 4 ფერგანიდან ჩამოსული ე.წ. „თურქი მესხი“. ოთხივეს ქართული გვარი აქვს. ოთხივე ქართულად ლაპარაკობს. ოთხივე ამბობს: ჩავინერეთ პასპორტში ქართველს, მოვინათლებით ქრისტიანად, ბავშვებს შევიყვანოთ ქართულ სკოლაში, ოღონდ ჩამოგვიშვით საცხოვრებლადო.

რაშია საქმე?

შეიცვალეს ტაქტიკა? იქნებ, ეს ფანდია, იქნებ ტყუილს ამბობენ?

რა ვიცი... რა ვიცი...

თუ მართალს ამბობენ, ცოდოა, ხელი ჰკრა. თუ ცრუობენ — სამინელება.

13/VI 90

დღეს მწერალთა კავშირში პრეზიდენტის სხდომა ჩატარდა.

სხდომაზე ორი საკითხი იდგა: 1. დავით მჭედლურის განცხადების განხილვა, 2. ლიტფონდის დირექტორის არჩევა.

მუხრან მაჭავარიანმა წაიკითხა დ. მჭედლურის განცხადება — გავდივარ მწერალთა კავშირიდან, რადგან მუხრან მაჭავარიანის ხელმძღვანელობის სტილი ჩემს პრინციპებს არ შეესაბამება. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში უზენოობა და უპრინციპობაა გამეფებულიო.

სათითაოდ თითქმის ყველამ (ტ. ჭანტურია, ე. ჯაველიძე, მ. ლებანიძე, რ. მიმინოშვილი, ო. ჭილაძე, გ. მერკვილაძე, ა. სულაკაური) მოითხოვა დ. მჭედლურის გარიცხვა, თუ იგი ბოდიშს არ მოუხდინა მ. მაჭავარიანს.

ბოლოს მე ვთქვი: საიდან მოვიდა თქვენში ეს ფეოდალიზმი, თქვენ დაგავინყდათ ის, რომ დავით მჭედლური მწერალთა კავშირიდან გადის. მწერლის მწერალთა კავშირიდან გასვლის მიზეზს არ კითხულობთ და რა ბოდიშზეა ლაპარაკი. ვიმსჯელოთ და ვნახოთ, იქნებ, ბოდიში თვით მ. მაჭავარიანს აქვს მოსახდელო-მეთქი. რაშია საქმე, რამ გაგავლქვავათ ასე, ნუთუ კაცის ბედი არაფრად გიღირთ-მეთქი.

სიჩუმე ჩამოხვია.

ფანჯრიკიძემ თქვა; სწორს ამბობს მიშველაძე, ნუ გამოვიტანთ ნაჩქარევ დასკვნას, გადავდეთ ეს საკითხიო.

სალამოს „თვისტომის“ პრეზიდენტის სხდომა მქონდა. ანდრო გოგოლაძის გარდა ყველა ესწრებოდა.

14/VI 90

უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსელებმა სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებაზე უარი თქვეს.

რა მიზეზით? არ გვაქვს სურვილიო.

საიდან მოვიდა ეს გაიოლება ცხოვრების? თავისუფალ საქართველოს სწორედ რომ კარგი სპეციალისტები სჭირდება.

არა მგონია მართებული იყოს ეს ნაბიჯი.

15/VI 90

სუმბათაშვილმა დღეს „თბილისში“ გამოაქვეყნა ამბოზური სტატია, რომელშიც გაამასხარავა 5 მოშიშვლილ სტუდენტს.

როგორ შეიძლება უმრწამსმა მათა განწირული კვეთება მასხრად აიგდოს „პოლიტიკოსმა“.

ჯერ რედაქცია გავლანძღვე, მოშიშვლებებთან მივედი; ნუ გეშინიათ-მეთქი, ბიჭებო, თქვენ ნამდვილი გმირები ხართ, სუმბათაშვილი შემცდარია-მეთქი.

დღეს უნივერსიტეტში პარიზელ ვიქტორ ხომერიკს შევხვდით. ვკითხე, რა აზრისა ხართ-მეთქი ჩვენს ეროვნულ მოძრაობაზე. ყველაფერი კარგია, რომ არ ჭამდეთ ერთმანეთსო.

16/VI 90

მსოფლიო ჩემპიონატს ინტერესით ვადევნებ თვალს.

ბრაზილიის გულშემატკივარი ვარ.

ბრაზილია, მართლაც რომ ბრწყინვალე გუნდია.

დღეს კოსტა-რიკას მოუგო.

გურამ გვერდნიელის ბიჭის — მამუკას ქორნილში გახლდით.

შოთა ნიშნიანიძემ თამადად დამასახელა ჩვენს სუფრაზე. სხვადასხვა დარბაზში სამ ადგილას იყო სუფრა გაშლილი.

ვითამადე, მიუხედავად იმისა, რომ გურამმა ამ ზამთარს საკმაოდ მანყენინა; კაცმა თავისი ხელითვე ჩასწორებული განცხადება უარჰყო, არ წამიკითხავსო.

წყენა, რომ იტყვიან, ჭიშკრამდე არ მიმყვება.

17/VI 90

გუშინდელ „თბილისში“ ჩემი სტატია „ნუ დავაყოვნებთ“.

ვაცხადებ: დაუყოვნებლივ უნდა გამოვაცხადოთ რუსეთისგან გამოყოფა და საქართველოს დამოუკიდებლობა-მეთქი.

რაც დრო გავა სიტუაცია შეიცვლება და უფრო დავმორღებთ-მეთქი საწუკვარ მიზანს.

ალბათ, მიპასუხებენ ჩვენი პოლიტიკური ლიდერები.

არაუშავს, მიპასუხონ, ოღონდ საქმე გაკეთდეს.

18/VI 90

ვნახე რუსთაველის თეატრში დათო ტურამიშვილის პიესა, ქუთაისის თეატრის დადგმა.

რა თქმა უნდა, პიესა არ არის, არც ხასიათებია და არც სიუჟეტი, მაგრამ დათო კარგი ბიჭია და ვენაცვალე მის გაბედულებას, რომ პირდაპირ პიესას დაეჭიდა.

სწორედ მას სჭირდება სულის ბერვა, დახმარება, გამხნევება. მადლობა მოვახსენე თეატრის მთავარ რეჟისორს სვანაძეს პიესის დადგმისთვის მის თეატრში (დადგმა ვიღაც უცნობ გოგონას ეკუთვნის, გვარი არ მახსოვს).

19/VI 90

ზუგდიდიდან დეპუტა მივიღე 20-ში პრემიერააო.

ხვალ დილით 6 საათზე უნდა წავიდე.

20-21/VI 90

ზუგდიდში ჩემი პიესის პრემიერა შედგა. გადაკეთებულ პიესას („სპექტაკლი ფეხით მოსიარულეთათვის“) „ნგრევა“ ვუნოდე.

ახალგაზრდა, გაბედულმა რეჟისორმა მერაბ ჯაფარიძემ დადგა.

კარგი სპექტაკლი გამოვიდა. ხალხმაც კარგად მიიღო.

მე მგონი, კიდევ ერთი ყუმბარა ვესროლე საძულველ საბჭოთა წყობილებას.

22/VI 90

დავწერე მიმართვა ქართველი საზოგადოებისადმი სათაურით „ყურადღება“. ნუ გავუფუჭებთ-მეთქი ხასიათს საქართველოში დაბრუნების მსურველ ქართველებს, ნუ აღვმართავთ-მეთქი მათ წინაშე ათასგვარ ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკურ ბარიერს.

მე-როგორც „თვისტომის“ პრეზიდენტი, საქვეყნოდ ვაცხადებ-მეთქი, რომ საქართველოს მთავარი საქმე დღეს მისი დარღვეული ეთნიკური სხეულის გაძლიერებაა.

23/VI 90

აკაკი წერეთელზე (150) წერილი მთხოვა „ცისკარმა“.

მინდა დავწერო ის, სხვას რომ არ დაუწერია.

კლასიკოსზე კი არა, კაცზე, ვალებით განამებულ, საჩხერის მტკრიან გზაზე გაბმულ კაცზე, რომელმაც საქართველოს შესწირა გვარიშვილობაც, მამამისის სიმდიდრეც, ოჯახიც...

სინო მიშველაძის ორმოცი იყო.

ნათი ციხრაძე, როგორ ეგუება სიკვდილს ადამიანის ბუნებას. სასაფლაოზე რომ ვნახე, მეგონა მისი ადგილი სწორედ იქ იყო, თითქოს სულ იქ იყო და აქ არასოდეს ყოფილა.

24/VI 90

დღეს კვირაა.

ბრაზილიამ არგენტინასთან საფეხბურთო ჭიდილში წააგო 0:1. ორი ტაიმის განმავლობაში ბრაზილიელთა უპირატესობა აშკარა იყო და მაინც წააგეს. ასე უსამართლოა ფეხბურთი.

ჩემთვის მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა.

ხომ უნდა იყოს რაღაც წესი და კანონი. ერთი თამაშის დროს სამჯერ რომ ბურთი ძელს მოხვდება, არაფერს უნდა ნიშნავდეს?

25/VI 90

დავინყე ნოველის წერა იმის შესახებ, თუ როგორ მართავს კგბ (სუკი) და ცკ ჯერ კიდევ გამოუცდელ სახალხო მოძრაობას. ვნახოთ, რა გამოვა.

თბილისში ძალიან ცხელა.

აჩიკო ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩააბარებეს.

ასე გადავწყვიტეთ.

სპორტი ჩემი სიყვარულის ოცნება იყო. ჯანმრთელი, სუფთა ხალხის სარბიელი.

სხვა რა უნდა ისწავლოს დღეს კაცმა.

ფილოლოგი? — ამისთვის განსაკუთრებული ნიჭია საჭირო, რაც აჩიკოს არა აქვს.

აინტერესებს ფიზკულტურა. ჰოდა, გამოვიდეს სპორტსმენი, რითია ცუდი, თუ კაცი იქნება, თავს აქაც გამოიჩენს.

26/VI 90

მთელი დღე მწერალთა კავშირის პრეზიდენტის სხდომაზე ვიჯექი ყვეყნივით.

მუხრან მაჭავარიანმა ბრძანა: ოთარ ნოდია რაკი სამდივნოს ბრძანებას მისი მოხსნის შესახებ არ ემორჩილება, პროკურატურას უნდა გადავცეთო.

ასეთივე აზრის იყვნენ მურმანიც, ტარიელიც, მიმინოშვილიც, ო. ჭელიძეც, გ. ნატროშვილიც, ელგუჯა მაღრაძეც...

ავდექი და ვთქვი: როგორ შეიძლება, მწერლებმა მწერალი პასხუისგებაში მივცეთ-მეთქი. ნუთუ მთლად გაცოფდით, ნუთუ სირცხვილი და სიბრაზული ყველამ დაკარგეთ-მეთქი.

გაჭრა ჩემმა სიტყვამ. გადანყვიტეს სამთავრობო კომისიას გადაეცეს საკითხი. ეს კი ო. ნოდიას გადარჩენას ნიშნავს — ამ ეტაპზე მაინც.

27/VI 90

დღეს დავამთავრე ნოველა „თოჯინების თეატრი“.

გახარებული ვარ.

ეროვნული მოძრაობის გათიშვაზე დავწერე.

28/VI 90

„თვისტომის“ ბინის სამათხოვროდ ჩამოვიარე დაწესებულებები.

ჰეიდარ ფალავანიშვილმა უარი მითხრა.

ჯერჯერობით საიმედო არაფერი ჩანს. ერთი პატარა ოთახი გვინდა, მეტი არაფერი.

29/VI 90

ყვარელში შეხვედრა მომიწყვეს.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ინიციატივით.

რაიკომ-აღმასკომს გვერდი ავუარე (საერთოდ არ მსიამოვნებს გაკოტრებულ ხელისუფლებასთან ურთიერთობა), პირდაპირ დარბაზში შევედი და მე თვით გავხსენი შეხვედრა.

სამი საათი ფეხზე ვიდექი.

შეკითხვები... შეკითხვები. მშვენიერი შეხვედრა გამოვიდა.

თბილისიდან მახლდნენ გურამ ბუხნიკაშვილი და ლეილა ბარაბაძე.

30/VI 90

„ახალგაზრდა ივერიელში“ ჩემი წერილია „ყურადღება“.

სიტყვა-სიტყვით დაუბეჭდავთ, არაფერი შეუცვლიათ.

„თვისტომმა“ უნდა გააკეთოს დიდი ეროვნული საქმე — ქართველების დაბრუნება საქართველოში.

ვიცი, დამესვენია ცრუპატრიოტები, მაგრამ უკან არ დავხვიე.



ნუგზარ წერეთელი

ღამით გამაზირთან

როგორც ღრუბელი წყლით გაჟღერებული, ჩვენი ცხოვრება ისე დამძიმდა, შაერისათვის გარეთ გასული, განდევნილი და ვერაფერს ვაძვირებთ. გამაზირი იყო სავსე სიცილით, დუმილით, შიშით, საშინელებით, ქარიშხალივით ქროდნენ წუთები ახლანდელი და მაშინდელი. საკუთარ თავსაც ვერ ვარიდებდი, სულის გამოთოშვამ მდუმარებას, ნღები ილტვოდნენ მცირე მადლობად და ასჯერ მეტად სამდურავებად. უკაცრიელი ცივი გამაზირი ფიქრებს მისევდა მწარე დარდებდა, მეჩვენებოდა ვიღაც ნადირი მოკვლის სურვილით მოგვივარდებდა. ფიქრში აქაც კი გამომეცხადა ჩვენი მიწების უნდო წამრთმევი, ვინც კართან მდგარი თავს არ გვანებებს არაკაცობის გზებზე ნათრევი. ტვირთივით გვანევს ბნელი ქვეყანა გაავებული, როგორც ცერბერი, ძაფივით მოჩანს გზა გადარჩენის, ვით გაყინული სივრცე ერთფერი. ზოგის სიმტკიცე, თუნდაც ათასის, მილიონს როგორ გადაფარავდა, როს გადამჭრელი დადგნენ წუთები, შიში ზღარბივით დაპატარავდა. მაინც შევებით უკეთურებას, რაც ვირუსებსაც გამორეოდა, გამარჯვებებიც, წინსვლაც, მიღწევაც მხოლოდ მამულის გამო გვჯეროდა. თუმც სამშვიდობოს ვერ ვერ გავედით, კვლავ უდაბნოში დავეხეტებით. აღარ არსებობს ჩვენთვის ქვეყანა, თოვლის და ყინვის მდარე ხედებით, ძალზე ძნელია დათვების ჯგროდან თავის დახსნა და გამორიდება, თუმც შერკინება ახალგაზრდული მძიმე ზვავივით გადმოდინდება... ასე მრავალი კუთხით გადმოსულ ღვარებს ვიხილავთ, როგორც ენგურებს, ქუდზე კაცობა თუ განახლდება, ერთიანობა თუ გვიერთგულებს, თუ არ გამოგვყვა მეძვიდრეობად, შური, ლალატი, შუღლი, დაყოფა, არ მოსცილდება ზიზღი იმათაც, ამნაირ დღეში ვინაც გვაყოფა. ვერ შეგვაჩერებს ვერც ეს ვირუსი, ვერც ეს კორონა, ვერც ეს ებოლა, მუდამ ვცდილობდით ჩვენს სამოთხეში გადამწვარ სახლებს რომ არ ებოლა.

ხალხი ხომ მაინც მიიწევს მაღლა, კი არ ვწერდებით, კი არ ვეშვებით, თუმც ახლოს მოჩანს დათვი ვეება, სისხლით დათხვრილი გრძელი ეშვებით. რთული ცხოვრება, როგორც მრავალჯერ, ახლაც ახალი ძალით დამძიმდა და მაინც ვეძებ იმედს უმცირესს ცივი დუმილით სავსე გამაზირთან.

თებერვალს, მარტსა და აპრილს შიშით იდუმალთ ველით, ცა გარბის ღრუბლების აფრით, ველებიც გარბიან სველი. ამინდი ჯიუტად ურევს, ჰორიზონტს შეღებავს შავად, ან არ გამართავენ ურმებს, აღზევანს არავინ წავა, შევთხოვთ სინანულით უფალს, ქართლიდან განდევნოს ჭირი, ხელთ მახვილს ავიღებთ თუ ფარს, არ გვიჩანს მეზობლის პირი. სიძველე იცვლება ცუდით, რასაც უნოდებენ პროგრესს, გზების გასწორება უნდათ ალგეთზე ლომების ბოკერებს. გზები კი ირევა მეტად, როგორც ნიაღვრებით მტკვარი, დარუბანდს ჰკიდია კარი, ვინ უსმენს დავითს ან თამარს, თუ დარუბანდია ორი, ნაკლს სირცხვილისაგან ვმალავთ, რომ სულ არ დავკარგოთ გონი იმ დღეებს ჭრილობა სისხლავს, აგდია ნაბადი ნაჭრად, იქნება უფალმა გვიხსნას და გზა გადარჩენის გაჭრას, გზას, სამშობლოსათვის მთავარს, უნდა ვუჩვენებდეთ ბრიყვებს, ისევე დავითს და თამარს ვუსმინოთ, მივენდოთ, მივყვეთ.

იმედი მქონდა, ნამდვილად მქონდა, თითქოს შედეგსაც ვგრძნობდი ძიების, ქარი კი ქროდა, შხუილით ქროდა, როგორც ნიშანი შურისძიების, მჯეროდა, ასე სჯერა მორწმუნეს, რომ უკეთესი მოვა დროება და მიწა წმინდა სისხლით მორწყული აბიზინდება ყაყაჩოებად. იმედს ისეთი პირი უჩანდა, ვით სექტემბერში დაწყებას თოვის, ან კაცს ჩაკეტილს სიგელ-გუჯართან, რომ ეუფლება შეგრძნება გლოვის. დღეებს ნიშნები ამაოების ეკრათ დროშებზე წარწერის დარად, არეულობას გამაოგნებელს ვერ ახვედრებდი ფარივით არას.

გთელავდა ჟამის რუხი ღვარცოფი, ვერდაწყობილი წესად და რიგად, თავს კვლავ ირჩენდი შენი კაცობით და ირიდებდი მოვარდნილ გრიგალს. არც მითიური გქონდა ხალათი, როს ლოდებივით წლები გეცემა და საკუთარი ხალხის ლალატი დარდს შემოსეულს გათკეცებდა. ჟამი ქრებოდა იმედზე ფიქრით, სევდას რომ ცრემლად გაყრის თვალებთან, კრისტალებივით ცვიოდა ფიფქი და ქალაქს ველარ აკრისტალებდა. შავბნელ იმედებს ეკვროდა თეთრი, ვით სითბო ჯერაც გაუმქრალ გულთან, ნისლში არ ჩანდა იმედი მკვეთრი, რაც უფრო მეტად გაუფერულდა.

სევდიანი გაზაფხული

მძიმედ მიდის თებერვალი და გიჟურად შემებრვალი მარტი კართან დგება, ეს წუთებიც ჰქრიან ქარად, თან ძახილიც ისმის - ჩქარა, რომ აღსრულდეს ნება. ძლივს მოიწევს გაზაფხული, ფერმკრთალი და დათალხული, ნოემბერის დარი, კარგი შორსაც კი არ მოჩანს და ველარ წმენდს ჰორიზონტსაც სუსხიანი ქარი. როგორც ხროვას რუხი მგლების, მომსკდარ წუხილს ისე ხვდები, რომ გაგრძელდეს შებმა. რატომ უნდა გადაგთელონ შენც და დიდი საქართველოც სისხლისმსმელმა მგლებმა. დღეთა რიგი მოჰგავს ნათრევს, უძრაობა ძალას გართმევს, იკეტებით, გზებო, გადაგვარდა ეს სამყარო, ველარ გიცქერთ გადამხმარო, ქედებო და მთებო, არც ხალისი, არც სტუმარი, ქალაქიც კი დგას მდუმარი, თითქოს ნაომარი და მთანმინდის მაღალ ზღუდეს, რალაც გაშმაგებით უტევს უხილავი ქარი. ცივ ფანჯრებსაც ის აწყდება და ჰგავს ახლის ცუდ დაწყებას, როს ზეციდან წვიმაც ასხამს ძაბრით, ვერ ვშორდებით მაინც ფიქრებს, შორ სავალსაც მათით ვიგნებთ და ეჭვებით ველოდებით აპრილს.

პირუნი ბორჯღაძინის ფონზე

აპრილი გაცივდა, უბანი აშმორდა, კაცი ქალს დაცილდა, ქალი კაცს დაშორდა. გაისმის ვირუსი,

გაისმის კორონა, ძალს მტერს ვინც მიუსევს, გვყავს თითო-ოროლა. ამ დროსაც არ გვტოვებს წუხილი ქართლიდან, არ ძალგვიძს მარტოებს წინ წასვლა მართლითა. გარჩევაც ძნელია ვინ ოსი, ვინ რუსი, არ გამოგველია მკვლელი და ვირუსი. ჭირს ბნელში შევყავართ, როგორაც გვირბიში, ეს აკლდა ქვეყანას ჩაძირულს პირადში. ვუყურებთ უნდობლად ამ ქვეყნის ძლიერთა. ვინც მიჰყვა ქურდობას, მიწებიც იერთა. ამას ვინ ელოდა, ნალექვა დაძრულა, მთლად საქართველოსაც ყიდიან ვაჭრულად. დამთავრდა მიგნება, ისეთი დრო მოდის და მალე იქნება დაცემა ბომონდის. უქმდება ნაღვანი ცაზეც და ნიაღვრეც, გარეთ რას აღწევდი, სახლში რას მიაღწევ. ვერ გახვალ ბინის წინ, გაძლება გართულდა და რჩები პირისპირ ამ მრავალ სართულთან.

ოთხმოცისანი

მომავლის გზები მძიმედ გაიყო, ქრება კაცური, ქრება ქალური, თქვენ რომ არ იყოთ, თქვენ რომ არ იყოთ, რას ემსგავსება ჩემი მამული. გადარეცხა სისხლით ნაწერი, ვერც სულიერი ძლებს ხელუხლებლად, მამულს უხდება თეთრი თმა-წვერი, ვით კავკასიონს თოვლი უხდება. ვინც დამარცხებას ჟამისას შეძლებს მიყვარს, თუმც გზები უღრანში შედის, თქვენს დალილ მხრებზე, თქვენს დალილ მხრებზე, ჰკიდია ტანჯულ მამულის ბედი. ბედი, რომელიც ველარ გადაწყდა, რასაც განაგებს ვიღაც ახვარი, რაც უნდ გვანამონ, გვტანჯონ, გადაგვწვან, ქვეყნად ვერ გავძლებთ ქედანახარი. მამულს სჭირდება სისხლის გაცემა, მუდამ გვმოძღვრავდა, როგორც მისანი, დავრჩეთ მცველებად, დავრჩეთ კაცებად, სულით ძლიერნი ოთხმოცისანი.

თამარ ბურნაძე

ლოცვად მიხდოდა

არ ვიცი, რა მჭირს, ამ სიბერის ჟამს ნოსტალგიამ ისევ შემიპყრო... ოხვრით გაცქერი შენკენ მომავალ გზებს და ბილიკებს. ისე მწყურისხარ, როგორც ტყის შუაგულში მორაკრაკე წყარო ანკარა. იქნებ არც იცი, პირბადრ მთვარეს რომ ვუამბობ შენზე არაკებს და ნიავს ვატან გუნებაში შეთხზულ ბარათებს... ო, რომ იცოდე, რამდენჯერ მსურდა, მზის სხივებზე დაგფარვებოდი!..

გასულა ხანი... ყაყაჩოები სიც-ილ-კისკისით იკლებენ ალბათ მწვანე ველ-მინდვრებს და შემოგარენს უდის ყვავილების ნაზი სურნელი, სიყმანვილის ტკბილ მოგონებებსაც დაჰკრავს ისევ ღვთიური სინმინდის ფერი... დილის საარზე არემარეს უხმობს გუგული და სიყვარულის სადიდებელს გალობს ბულბული. ვხედავ თვალნათლივ, ქედზე გადმომდგარ წმინდა გიორგის, როგორ სტუმრობენ ანგელოზები...

ღმერთს გეფიცები, მე შენს ყორეზე მიდგებელი უბრალო კენჭიც კი ლოცვად მიხდოდა!..

თუნდაც...

თუნდაც ფრთები შევისხა და ცად დავსახლდე, ცხრა მთას იქით გადავიკარგო თუნდაც, აალებულ ცეცხლში გადვიბოგო, აზვირთებულ ზღვას შევერწყა თუნდაც, ქარბორბალა დავაურვო თუნდაც, მინა ხელით ვავთხარო და დავსამარდე ცოცხლად, ჩემი გული დარდს ეკუთვნის მაინც, მისი ტყვეა და მონაა მისი... ვერ შეიძლო მისგან თავდაღწევა, სამუდამოდ მასთან დარჩა...

ვნატრობ...

წამებულ ფიქრებს ვერ ვიტყვ, ვერა... მძვინვარებს ისე, ისე ბობოქრობს, რომ გულისპირი ამგლიჯოს ლამის. დავდივარ მთა-მთა და მინდორ-ტყე-ტყე... ვეძებ სიმშვიდეს, სამყოფელს ისეთს, სადაც თავს ისე დამათენდება, რომ არა მქონდეს არავის დარდი... ვნატრობ მეგობრად მე ისეთ ვინმეს, ვინც უფლისმიერ გზა-კვალზე დადის და სული აქვს ზურმუხტისფერი...

ვუნაპლე ვერც რით

ფეხის ხმა მესმის, ვერავის ვხედავ... ჩამესმის ოხვრა, ვენამლე ვერც რით... დამეფერფლა სული დარდით და ჯავრით... ვმასპინძლობ ისევ იდუმალ ღამეს... მას ჩემი ესმის, მე მისი მჯერა...

ნუ გეპინია!

კარი გამიღე, გამიღიე, რა დაგაკლდება!? იქნებ მინამლო ტკბილი სიტყვით და ტკივილებს დამიამებდე. სულ მცირე ჟამით შეგაყოვნებ, თავს არ შეგანყენ და მერე ნავალ, ვივლი ისევ, ჩემი გზით ვივლი... ნუ გეპინია, სახლიკაცად არ შეგეყრები!.. არცა მშია, არცა მცივა და არც მწყურია, დარდ-ტკივილების გამზიარებლად მჭირდები მხოლოდ...

მი ნუ ღამილა ბრალს

რალარ ვცადე, ერთგულ მეზობლად რომ დაგეგულე, მაგრამ ვერ დავდე შენთან ზავი, მე ნუ დამდებ ბრალს!..

მამა-პაპათა საფლავებთან ველ-არ მივსულვარ, ხსოვნის სიმბოლოდ სანთელიც კი ვერ დამინთია... შენ ვით გამინევე მასპინძლობას ჩემსავ მინაზე, როს მისასვლელი წმინდა ტაძრამდე მავთულხლართებით გადამიღობე. ვნუხვარ, ისე ხარ დაგეშილი უცხო ტომისგან, გულში რა გიდევეს ბოლმით ნასამხრალს, ვერ გამიგია.

რა გაენყობა, მოთმინების ფიალა თუკი ამევსო, მოგიტევებ კვლავ, თუ სამუდამოდ თვალხილული ბრმად არ დარჩები... დაგელოდები მეგობრობით ნაგებ ბოგირთან, სიყვარულით აბჯარასხმული... მაგრამ იცოდე, შენს მონობას მე არ ვაპირებ და ვერც იქნები ჩემი სულის ზედამხედველი!..

...და ბოროტებას ღუელში ვინჯავ

სადაც გავივლი, ერთურთ ქიშპობა, შური და ღვარძლი მახედ მეგება. ანდა რად მიკვირს... სად გაგიგია, სიბილნე სულში სინმინდეს შობდეს...

მერე რა, თუ ძალა არ მეყო, დარდს რომ შევჯახებოდი... სამაგიეროდ კვლავ ვმტრობ სიძულვილს და ბოროტებას ღუელში ვინჯევ.

ჩემს გულში სახლოვ

მიჰქრის დრო-ჟამი... ჩამოვიტოვე დღენი და წლები... შენ ჩემო სიყრმე, წრფელი გრძობების სინმინდით სავსე, მესიზმრები და დაგეძებ სანთლით!.. რა ვქნა, ვერ შევძელ მთვარიანი ღამის გადავიწყება, მე მას შევიცნობ, ვით ცოცხლად აღქმულს... მოგონებებში ყაყაჩოებს სამოსს ვუკოცნი და გვირღვების გვირგვინებს ვქარგავ... ხან წყაროს ვსტუმრობ, დაბურულ ტყეში ცივს, მორუხჩუხეს. წყურვილს ვიკლავ და ვუამბობ შენზე სევდიან ზღაპარს... დამაბზრიალა ბორბალზე ბედმა, რომ ვერ დავუგდე გულისთქმას ყური...

ო, რომ იცოდე, გნატრულობ რარიგ, თვალდარჩენილო ფიქრის მთებს იქით!.. მიკვირს, ზამთარმა გაჯობა როგორ... მაგრამ იცოდე (შენს მზესა ვფიცავ!), რომ სიკვდილამდე ჩემს გულში სახლობ და ანგელოზის ფრთებითა გხატავ!..

არ მოგატყუოს სიმრავლე შენმა

რაც თავი მახსოვს, ზემოდან დამმზერ. მგონი სამყარო გგონია შენი!.. გსურს, ვიყო შენი მორჩილი მონა... არ დაგავინწყდეს, რომ მე მყავს დავით, თამარი, დემეტრე... სხვანი და სხვანი... შვილშენირულნი ზვარაკად მამულს... იქნებ არც იცი, რომ მე მყავს შოთა, მე მყავს ილია, ვაჟა... მყავს საბა... მე ვარ ნილხვედრი ღვთისმშობლისა... ჩემია ოპკი, ხახული, ხანძთა... მალე ზეავნევთ დაშვებულ აფრებს... და სამაჩაბლოც იმზედლიანებს...

არ მოგატყუოს სიმრავლემ შენმა, თორემ ღვთის რისხვას დაიმსახურებ!..



ნათია გოლეთიანი

წილა ნინოს ნაკვალევ გზაზე

მართალი გზები ცხოვრებად მყოფნის, ხელთუქმნელ ფერებს ლოცვები ფარავს, ვეხები ტაძარს მადლსავსე მზერით, ნაკვალევ წარსულს, უხილავ ძალას.

როგორ ახლოა ვარსკვლავი უხმო, გულისცემაში მივყევი სათქმელს, წმინდა ალაგის ნიშასვეტები მინიშნებებით გზებს მიადვილებს.

ცაზედ არა ჩანს ღრუბელის ფთილა, პურის კალოზე თავთავი მნიფობს, მთისა თუ ბარის უბრალო შვილი ამოგზაურებს ფიქრებში სითბოს.

გზაჰნილი

ზეცაა მშვიდი, ვით შროშანების ფერი უძირო. უზღვავე სხივი გაბრწყინდება ღვთიურ ძალიდან, მზიანი დარი უსათუოდ გამანებვირებს, სიცოცხლის მადლით სათქმელს ვამბობ ისევ თავიდან. დღეს ფერადების გალერეაში მზე თავს იწონებს...

ცისფრად მორთული კესანები გაიშლებიან... აკიაფებენ ჩვეულ ხიბლით სიკეთის ფერებს...

განთიადები მტრედისფერ ღრუბლებს ვერ ელევიაან...

ბაბუანვერებს დაუხრიათ თავი რიდებით, თითქოს ფიქრებში უპოვიათ სულის სიმშვიდე...

როგორ იცვლება დრო და წუთები ამ სამყაროში...

საყრდენის პოვნა საკუთარ თავში გზებს მიადვილებს...

გესაუბრებით აზრებს რჩეულებს ჩემი წიგნიდან...

წინსვლით აპრილი მიპროფილებს დროთა გასაღებს...

ბიძგებს ნაგავს გზავნილები ახალ ლექსებში...

გულის კუნჭულში ისევ ვპოულობ მზისფერ ლეგენდებს.

ფარისცვალება

მშვიდი მზე იდგა დაისის თალთან. გარდაისახა სხივები რიდით, ცის ყვითელ ხატებს ლოცვები ფარავს, წარინჯისფერმა შემოსა ბინდი. გესაუბრები, უშენოდ ვინ ვარ...

ფერმკრთალი მზერა კართან მიწვევს, ყვავილო ნორჩო, გულს რად იფარებ, ქარის ხელებით შემოჭრილ ნისლებს. ფერიცვალე...

ნუთუ ვერა მცნობ? ფერთა ცვლილებას განიცდი რატომ...

წინ დაგიფინე ფარდაგი მზით და... დღეთა ამალით გაპირდები ამბორს. ყოველთვის მინდა სიმშვიდეს გრძობდე...

არაფერს ვითხოვ, სიკეთით ვივლი... ოლონდაც მითხარ, თუ რამ განუხებს, რით დაგამშვიდო, პატარავ, სული. შემოდგომისპირს...

ისევე ვერ გთმობ მოგვისწრეს მთაში ცივმა ქარებმა, ხელისგულები დაგითბე რიდით, შემოგაფარე ფოთლებთა წყება...

ლაჰანდების ველი

ლილისფერი აქვს ამ დილით ზეცას, მხელავანდების ველზე საფარით, ცის გარემოდან დაეშვა სხივი, უჩვეულოა ელვის სადარი.

ამოვსებულა ციური სივრცე, მონატრებებით ღვივის ლადარი იქ ზღვასთან... ახლოს აფხაზეთია! ემოციების მადლი სხვაგვარი...

განახლდა კადრში წარსული წლები, სინათლის წყარო მომავლის ხედვა, სიცოცხლესავით ფარფატა ფრთები...

ახლო და შორით გადებულ გზებად. ვერ გაახუნა მრავალწლის დარდმა, ნატვრის თვალავით ანათებს ედემს, თილისმასავით თან დაატარებს გულზე დაბნეულ მშობლიურ ფერებს.

მზიანეთს ქალი სიფრთხილით ვერ თმობს... გაირინდება თვალებზე ბინდი... წარმოსახვაში თავს მისცა ძალა, შორ გზას მიანდო უსაზღვრო ფიქრი.

ნიავი ლალად ეხვევა მინდვრებს და ქალის სევდას ოცნებით ძირავს, ზღვისფერ სივრცეებს... ლავანდის ველი...

ვერ დაატოლა ძალიან დიდხანს... ***

დღესაც ისევ იმედებმა მძლიეს, კვლავ აპრილმა მოელვარე სხივით, გაზაფხულის მოფერადე გზებზე...

სიკეთით და სიყვარულით ვივლი. ფერებს ერთვის სიჭარბე და სითბო, ოცნებებმა ამომალღეს ქერი, სურვილები ამისრულე, ღმერთო, რასაც ასე გამუდმებით ველი...


სიმსუბუქით შემომყარი სულში უთეტრესი ყვავილნარის ფანტელს, შენ ხომ ჩემი საოცარი დღე ხარ უსაზღვრო და უსასრულოს მსგავსი...

ყველაფერში იმედებმა მძლიეს, გზას მივყევი მშვენიერი დარით, მზეს გაფიცებ, ყვავილივით ერთო, გულით ლოცვა მშვიდია და წყნარი.

ზეცის სხივით მოლივლივე თვალთ გიმზერ... გაზაფხულის მოელვარე ფერი მჭირდა, თქვენთვის ვპოვე...

გულწრფელობის სიტყვა ბევრი, იმედები უხმო ხმებით შვებით მზრდიდა...

ურჩად მომყვა ჩუმი მუზა ფურცელ... ფურცელ... თვალკრილა გვერდით მშვიდად ჩამომიჯდა... მოსხივოსნემ ყველა სტროფი შთამაგონა, ლოცვასავით ნათელი და აზრი წმინდა.



აკაკი ბიძინაშვილი

აქ იყვნენ

აქ იყვნენ იმისთანები,
ჰქონდათ სამყაროს სმენა...
ვარსკვლავს უგავდათ თვალები,

ისევ ისე

ისევ ისე ტრიალებს,
დედამინის ღერძი...
ვერა ვნახეთ სიამე,

მტერმა გაიგო

გული მევესება გლოვითა,
სიხარულს ვედარ ვედირსე,

კავკასიონი ნისლს იხვევს,
მზის მცხუნვარება არ ეყო,

ველარ მიჭრის

ველარ მიჭრის ეს მარჯვენა,
იალბუზზე როგორ ავალ!?
ამ ცხოვრებამ დამაჯერა,

ჰანგი არაულა

ჰაერში სიკვდილის ჰანგი არაულა,
ქართველთა მამული როგორ გალეულა,
როგორ დაშლილა და როგორ დაკუნულა,

ურჩხულმა სცადა

ურჩხულმა სცადა ჩემზე შეტევა,
ქაოსი მფარავს სრული,
სხეულში უკვე ვედარ მეტევა

მჯერა!

გადავლილია სიკვდილის სეტყვით,
კაცობრიობის მძლე ისტორია,
რაც გინდა, მითხარ, მე მაინც გეტყვი,

ერთი არის

დასტრიალებს მშობლის ტკივილს,
მამულისთვის ღამეს ათევს,
ქართველში ზის ასი გმირი,

ატყვიანე

ვპრიალებ ვერხვის ტოტივით,
ხან მზე, ხან მთვარე მაშუქებს,

პასპორტი

არც ლოთი იყო, არც შოთი,
სინმინდით ჰგავდა სანთელს,

გონება ფანტასტიკური
დღემდე ჩვენს სხეულს ანთებს.
ფარნავაზმა და ვახტანგმა

ალარც მინა...

ალარც მინა, ალარც ზეცა,
მხურვალე მზით ნაშუქი,
შუშასავით დაილენა
წინაპართა ფარ-შუბი.

არის ნათელი

ასე ურწმუნო ნეტავ რადა ვარ
ან იმედს რატომ ვკარგავ?
ხელიდან ხელში რომ არ გადავა



ომარ მარგველაშვილი - 80

ოთხმოცი წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი ომარ მარგველაშვილი. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა.

მისალმებაში ნათქვამია: ომარ მარგველაშვილი დაიბადა 1942 წლის 6 სექტემბერს, ქ. თბილისში. 1959 წელს დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1965 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. ინსტიტუტში სწავლის პარალელურად მუშაობდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს გაერთიანება „თბილქალქმშენში“ ჯერ რედაქცია „სამშობლოს“, მერე სპორტის სასახლის მშენებლობაზე მუშად, ბრიგადირად, შემოწმებლად, ათისთავად, მის დასრულებამდე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამშენებლო ტრესტ „ამიერკავკასმეტალურგმშენში“ ოსტატად, ინჟინრად, უფროს ინჟინრად, სამუშაოთა მწარმოებლად, უბნის უფროსად, ზოოვეტერინალური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების მშენებლობებზე, მათ ექსპლუატაციაში შეყვანამდე. 1970 წელს დაინიშნა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქმახტმშენის“ „მადნეულმშენის“, შემდეგ „საქმახტამონტაჟის“ სამმართველოს უფროსად, მერე ტრესტ „საქმახტმშენის“ მმართველად. 1977 წლიდან იყო საქართველოს მშენებლობის მინისტრის მოადგილე.

1983 წელს მოსკოვში წარჩინებით დაამთავრა საკავშირო მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის აკადემია ეკონომიკის, ორგანიზაციის, დაგეგმვისა და მართვის სპეციალობით. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და დაინიშნა საქართველოს მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ.

1993 წლიდან იყო საქართველოს მატერიალური რესურსების მინისტრის პირველი მოადგილე. შემდეგ საქართველოს ტერიტორიული კურორტების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 2008 წლიდან სს „თბილდენის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

ხელმძღვანელობდა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის, იმირის სამსხვერვე-დამხარისხებელი ქარხნის, ტყიბულისა და ტყვარჩელის ნახშირის მომპოვებელი შახტების, ჭიათურის მანგანუმის მომპოვებელი მადაროების, კვაისი ტყვია-თუთის, ტყვარჩელის დოლომიტების, ურავის დარიშხნის და რაჭის ბარიტის გადამამუშავებელი კომბინატების, საბაგირო გზების ტყვარჩელში, ჭიათურაში და რაჭაში, რომლის სიგრძე არის 3460 მეტრი. კახეთის სარწყავი სისტემის, ტყვარჩელში მინისქვეშა 1100 მ. სიღრმეში ჰიდროელექტროსადგურის (საბჭოთა კავშირში პირველი), მარნეულის და ბოლნისის ნავთობის ბაზების, ტყიბულში, ბოლნისსა და დმანისში საავადმყოფოების, დმანისში, ბოლნისში, ონსა და ამბროლაურში ადმინისტრაციული შენობების, სასტუმროების, დმანისში ონსა და ამბროლაურში, ღვინის ქარხნების ყვარულსა და თბილისში, საქართველოს მინისტრთა

საბჭოს სასტუმროს მოსკოვში, ქორწინების სასახლის თბილისში, საკავშირო მინისტრთა საბჭოს დასასვენებელი კომპლექსის „ივერიის“ ქობულეთში და სხვა მრავალი სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას. პარალელურად მუშაობდა საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის საინჟინრო ქვედანაყოფების ხელმძღვანელად.

კურირებდა ბამის (ბაიკალ-ამურის მაგისტრალი) და სლავუტიჩის (ჩერნობილის ტრაგედიის შემდეგ), საბჭოთა კავშირის გემთმშენებელი სამინისტროს ფოთის „ალბატროსის“ და ლანჩხუთის გასაიდუმლოებული ქარხნების მშენებლობებს, თბილისის ვაგონმშენებელი, რუსთავის აზოტისა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების რეკონსტრუქციას.

ხელმძღვანელობდა სომხეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის შტაბს. აღადგინა თბილისის საპატრიარქოსთან მდებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.

1985 წლის 23 იანვარს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიწვია საპატრიარქოში და თითქმის მთელი სინოდის თანდასწრებით სთხოვა ლევილში ქართველთა სასაფლაოზე ეკლესიის აშენება. ის ჩავიდა ლევილში, მაგრამ მიწა, სადაც ეკლესია უნდა აგებულიყო, საქართველოს საკუთრებაში არ აღმოჩნდა.

საქართველოს მთავრობაში დაარეგისტრირა პირველი ერთობლივი სანარმო უცხოელ პარტნიორებთან (ისრაელი). 1985 წელს იერუსალიმში შეხვდა არიელ შარონს, მაშინდელ ისრაელის მშენებლობის მინისტრს მისივე მიწვევით.

მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით მოსკოვში საკავშირო ორგანოებში მიაღწია საქართველოში ტყის სამრეწველო ჭრის აკრძალვას და ყველა ადგილობრივი ფონდის ციმბირში გადაამარგებას.

საბჭოთა საქართველოში ერთადერთი ლომბარდის არსებობის დროს წლების მანძილზე ურიცხვი ძვირფასი ისტორიული და ანტიკვარული ნივთი მოსახლეობის მიერ გამოუსყიდველობის გამო იგზავნებოდა მოსკოვში, საკავშირო ფინანსთა სამინისტროს სპეციალურ საცავებში. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის შესწავლის შემდეგ მან მიაღწია აღნიშნული ეროვნული საგანძურის საქართველოში დატოვებას და მუზეუმებისათვის გადაცემას.

წლების მანძილზე იყო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება „სამთოელის“ პრეზიდენტი ნეკრი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სადიპლომო კომისიის წევრი.

მთავრობის დავალებით აფხაზეთიდან დევნილებს, უმცაგრეს კლიმატურ პირობებში ეხმარებოდა საკენსა და ჭუბერზე გადმოსვლაში და მათ დაბინავებაში ქუთაისსა და წყალტუბოში.

იყო საქართველოს სამეზღვის ჩემპიონი აკადემიურ ნიჩბოსნობაში.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

საგურამოში, სადაც ცხოვრობს, ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 680 წიგნი.

პრესაში გამოქვეყნებული აქვს მრავალი წერილი საქართველოს საჭირობოტო საკითხებზე.

არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების საბჭოს წევრი.

არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკის, ორგანიზაციის მართვისა და ტექნოლოგიური კომპლექტაციის საკითხებზე გამოქვეყნებული 18 სამეცნიერო ნაშრომისა და 5 წიგნის ავტორი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

ჰყავს მეუღლე ბელა ლოლაძე, ფილოლოგი და ხელოვნებათმცოდნე. ორი დაოჯახებული ვაჟი - ზურაბი და გიორგი, წარმატებული

ბიზნესმენები. შვილიშვილებიდან ქეთევანი დაოჯახებულია, ჰყავს ქალ-ვაჟი, დამთავრებული აქვს სორბონის უნივერსიტეტი პარიზში, ალექსანდრე, ანი და ნატალი სწავლობენ ლონდონში და მილანში.

ბატონ ომარ მარგველაშვილმა საკმაოდ დაძაბული, რთული, მაგრამ საინტერესო ცხოვრებით იცხოვრა. როგორც ბიოგრაფიიდან სჩანს მტკივნეული დამარცხების გარეშე, რაც გონიერი და მშრომელი კაცის ხვედრია.

მთავარი უნარი, რომლითაც ბატონი ომარი გამოირჩევა, გახლავთ უმაღლესი პროფესიონალიზმი, დაფუძნებული სახალხო მეურნეობის აკადემიაში მშენებლობის ეკონომიკის, ფინანსების, ორგანიზაციის, დაგეგმვის, კომპლექტაციის და მართვის თეორიების მიღებულ ცოდნაზე და მშენებლობის ყველა საფეხურზე მუშაობით დაგროვებულ უკიდევანო პრაქტიკულ გამოცდილებაზე. თუმცა საქმის როგორი სიღრმისეული ცოდნაც არ უნდა ჰქონდეს, ვერცერთი ხელმძღვანელი დასახულ მიზნებს ვერ მიაღწევს თუ ვერ ფლობს ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას.

ბატონი ომარი მის შესანიშნავ ნიგნში „როცა უკან მოხედვის არ გეშინია“ იგონებს: „მე სამშენებლო საქმის შესანიშნავმა, უდიდესმა ორგანიზატორებმა და უმაღლესი კატეგორიის პროფესიონალებმა აღმზარდეს და ჩამომაცალიბეს, როგორც მშენებელი ინჟინერი - ქედს ვიხრი მათი ხსოვნის წინაშე. უსაზღვრო მადლიერების გრძნობით ვარ განმსჭვალული მათ მიმართ - შალვა გარდაფხაძე, ზურაბ ჯაფარიძე, გრიგოლ ვაშაყიძე, ელიზბარ მინდელი, თედო კინწურაშვილი, არკადი ლობოცკი, ილია ვინერი, ალბერტ ფიშერი, ვლასი მანჯგალაძე და სხვ.

მეგობრობდა ისეთ ღირსეულ და ღვანლმოსილ პიროვნებებთან, როგორც იყვნენ: სულმნათი ჭაბუა ამირეჯიბი, ირაკლი ყორღანი, ვლადიმერ ბურაკოვსკი, ევგენი ხარაძე, ომარ გოგლიძე, ნოდარ ხეთისიაშვილი, გიმიერ ბილანიშვილი, ვიქტორ ჩხიკვაძე, ევგენი პრიმაკოვი, ნიკოლოზ ესაკია, ანდრო იაკობაშვილი, დევი სტურუა, ზურაბ ჩხეიძე, ნიკოლოზ ცხაკაია, ბორის ადლიბა, რეზო სალუქვაძე, ოთარ ზუხბაია, ოთარ ლოლაშვილი, ოთარ ხატიაშვილი, შალვა მალაქელიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ სულაძე, ფრიდონ თოდუა, დამირ მანჯგალაძე, რეზო მიშველაძე, გოჩა ჩოგოვაძე, ნაპოლეონ ქარქაშაძე, ნოდარ ჭითანავა, გურამ მირიანაშვილი, ოთარ თუხარელი, ამირან კაკასიძე, გივი ანჩაბაძე, სანდრო გლურჯიძე.

ბატონი ომარი კარიერისტი არასდროს ყოფილა. ის წმინდა წყლის სამეურნეო ხელმძღვანელი იყო. მას უარი აქვს ნათქვამი მთელ რიგ მალალ თანამდებობებზე, საქართველოს მშენებლობის მინისტრის მოადგილეობაზე, საბჭოთა კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილეობაზე, საქართველოს სოფლის მშენებლობის მინისტრის მოადგილეობაზე, საბჭოთა კავშირის მშენებანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეობაზე, ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნობაზე, სახელმწიფო პრემიაზე, პარლამენტის წევრობაზე, სამთო გენერლის ჩინზე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხზე, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ექნის თანამდებობაზე.

მის მიერ გამოცემულ შესანიშნავი ნიგნი „როცა უკან მოხედვის არ გეშინია“, რომელიც ფენომენალური მეხსიერების და წარმოსახვის ნყალობით არის დაწერილი, მართლაც ერთი ამოსუნთქვით იკითხება. ავტორისეულ წინამძღვარში ვკითხულობთ: „ვუძღვნი ჩემს უსაყვარლეს, უსათნოეს და უგანათლებულეს მეუღლეს, რომელმაც უსასტიკესი საბჭოთა რეჟიმის საშინელება ჯერ კიდევ მცირეწლოვანმა გადაიტანა ოჯახთან ერთად. ორი ემელონის, 35 000 მეტი-ზე მეტი ქართველი, უმთავრესად ინტელიგენცია სატვირთო ვაგონებით 1951 წლის 31 დეკემბერს ახალი

წლის ღამეს გადაასახლეს ყაზახეთში. ორი თვე ყინვაში, ჯოჯოხეთურ პირობებში მგზავრობდნენ. გზად იხოცებოდნენ ბავშვები, ხანდაზმულები, ავადმყოფები. ვაგონში გვამების გაუსაძლისი სუნი დგებოდა, ბადრაგი მატარებელს აჩერებდა და ხალხს აიძულებდა მიცვალებულები ვაგონებიდან ჩაეტანათ და თოვლში ჩაეფლათ, ვინაიდან მინის გათხრა ყინვის გამო შეუძლებელი იყო“.

ასეთი დრამატული და მძაფრი ცხოვრებით იცხოვრა ბატონი ომარის ოჯახმა და ამგვარი უანგარო რუდუნებით ნაბიჯ-ნაბიჯ დაიგდო ყელამდე მართალი კაცის ავტორიტეტი, რომელიც ყველა მხრიდან ჩანს. ახლახან ღირსეულად მიენიჭა ნიკო ნიკოლაძის პრემია.

ახალ შემოქმედებით წარმატებებს და ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ, ბატონო ომარ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ძვირფასო ომარ!

ამ თხუთმეტოდე წლის წინათ, შენი მძაფრი პუბლიცისტური წერილები რომ ერთბაშად გამოჩნდა გაზეთების ფურცლებზე („ასავალ-დასავალი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველო და მსოფლიო“, „მწერლის გაზეთი“...). მახსოვს, მირეკავდნენ და მეკითხებოდნენ, „ეს ის ომარ მარგველაშვილია?!" ის არის-მეთქი, რომ ვუდასტურებდი, უფრო უძლიერდებოდათ შენს მიმართ მოწინება და სიყვარული.

ძვირფასო ბატონო ომარ, სულითა და გულით მოგესალმებით თქვენ, სახელოვან მამულიშვილს, სამაგალითო პიროვნებას, სამშობლოს დედოფარის დამრისხებელ მეციხოვნეს.

განუზომებელია თქვენი ღვანლი ქართული პუბლიცისტის განვითარებისა და მეცნიერთა თაობების აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

მკითხველს ორიოდე სიტყვით შევახსენებთ თქვენს ბიოგრაფიას.

ვინ არის „ის“ ომარ მარგველაშვილი, ვისაც მთელი საქართველო იცნობს, როგორც ერთ ვაჟკაც თბილისელ ბიჭს, სახელოვან სპორტსმენს, მერე გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, ალალმართალ კაცს, უზადო ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს, წმინდა ოჯახის პატრონს, ცნობილ თამადას და ბეჭის დამჭერს...

და რა მიუმატა თავის ამ ტიტულებს ამ ბოლო დროს ომარ მარგველაშვილმა? რა მიუმატა და საქართველოსთვის დღეს ერთ-ერთი ყველაზე საჭირო რამ - მწერლის მართალი სიტყვა.

ამ დიახაც გახმაურებული პუბლიცისტური წერილების ავტორს შეუძლია მარჯვედ მოქნეული კალმით ძილი დაუფრთხოს სამშობლოს სხეულზე ვადაგასული ყაჭივით მოფუთვით მატლებს; ვადა მოყიპიპე ოპოზიციას შესძახოს, რომ ხალხს ყელში ამოუვიდა მათი ნაჯექ-უკუჯექობა, ამერიკის ელჩს უსაყვედუროს, რომ ზედმეტად ერევა საქართველოს საქმეებში, ციხეში გამოკეტვით „პრეზიდენტს“ ურჩიოს, თავი გაანებოს სიმულაციას და საზღვარგარეთ „სამკურნალოდ გადაყვანის უნაშუალოდ მოთხოვნას...“

წერთ ხომ მოხდენილად და ლაზითანად წერს, ომარ მარგველაშვილის წერილებს თან ახლავს საოცარი მოქალაქეობრივი გაბედულება და პრინციპულობა, რასაც ასე სავალალოდ მოკლებული არიან დღეს ერთ „თბილ აკადემიაში შეყუყუული, „მე ხომ არაფერი მა მივას“ ანდაზის მიმდევარი აკადემიკოსები ელიზბარ ჯაველიძის გარდა.

მე ადრე დაბერებული ფერმკრთალებიც მინახავს და 80 წლის „ბიჭებიც“. ამ უკანასკნელთა რიგს ამშვენებს 80 წლის ომარ მარგველაშვილი.

გილოცავ სიჭარბაგის ასაკს, ძვირფასო მეგობარო.

რევაზ მიშველაძე

დომენტი სოზაშვილი

იყოს ვენახი?

ვენახი - ვაზისა და კაცის ერთობა. ვაზის და კაცის ხელჩაკიდებული სვლა მრავალ ათას წლებში არის საქართველო, კახეთი.

ვენახი - ყველას ფუძე, ყველას თვალის გასახარი, მინა ყველასი ყველასთვის, მაღლა მოღურჯო ცა, დაბლა იმისი მრუმე სიმწვანე. ჩვენ ვიცით როგორ ნავიყვანოთ ის გამოცდილებით, ცოდნით - ჩვენ თუ სხვები. უჩვენოდ რას იზამს. რას გახდება, საით წავა. ვუწოდებ. მიგვყავს ის მეთობისკენ, ღონიერებისკენ. ვმართავთ მოსავლელად მისადგომ მწკრივებზე. გზადაგზა ვურემონტებთ შედგომილებებს, ვუმუშავებთ მინას, შებურულში ვფურჩნით: ძალიან რომ მაღლა წავა, მოიხრება - თავებს წავაჭრით (ციხე გახსნა!). ვუტარებთ წამლობებს. ვუთიბავთ შემომდგარ ბალახს, ვრწყავთ გვალვიანში. სეტყვის რაკეტებს იმედით ავაც-ილებთ ღრუბლებში აფეთქებამდის... და მაინც უფალს ვევედრებით, დაგვიფაროს. რა ძნელია მინის შევლია! არ ძალისხმება, შრომა უნდა... მაგრამ რა კარგია სიცოცხლე, შეძლება... სურვილებს რომ ისრულებს... ეს აქ, მევენახეებისთვის, ჩვენთან, სხვაგან, სხვაგან სხვა... სასიცოცხლოდ მოსულისთვის სასიცოცხლოდ შრომა-გარჯა ბუნებრივად რომ ეგებოს მერე ეს ბუნებისგან ართმულ-მიღებული საზოგადოებაში ზოგი ვისა, ზოგი ვისია. ზოგს კანონიერად (ხალხის წესით) ეკუთვნის, რომ იღებს შუბლდასწორებული; ზოგი ძალადობით იკუთვნებს (შრომის, გარჯის მოძულე მტაცებელი), ზოგიც იპარავს (ფარულად ეუფლება ქურდი). ზოგს კოსმოსში მიაქვს, ზოგი 149-ე სართულზე იღებს, ზოგი გემის კაიუტაში აგემოვნებს და ა. შ. და ა. შ. მაგრამ ყველას უნდა მინის წარჩო, ყველა იმითაა.

ოღონდ ახლა, ისტორიის ამ დროში, საქართველოს რომ უჭირს, მე სახლში გამომეცხადა - დაამთავრე ეგ შენი ვენახი, რაც შენ მაგას უფლი, უნდები, ახარჯებ და აბა, რა მოგაქვს! თქვი, რო იქით მივაქვს. აჰ, ეს სხვა ვენახი ვითომ რომ მიიმატე, იმ შენი ამერიკაში წასული ძმაკაცისა - გამორჩევი რამე? საში წელი გაქვს და ჯერ იქ შენ ტონამდე ყურძენი არ დაგიკრფა?! შარშან შენთან-იმასთან ტონანახევარი არ დაგიდგა!.. დიდი ზოლი კი იქირავა! და კაი 14 მკრეფავი, მზიდავი, ჩამყრელი დაიყენა. აბა, ეგე, მოგვყავთ: 10 მკრეფავი - 300 ლარი; 3 მზიდავი - 105; 1 ჩამყრელი - 45 ლარი და ეს შენი - 450 ლარი არის?! მიუმატე ამას წამლებს 550 ლარი! შენამგლის (3 ჯერ) - 270 ლარი, მოხენის (2 ჯერ) - 400 ლარი და აბა, რა გამოდის ამათი ჯამი 700+550+270+400=1360 ლარისა, ჰა, ერთი 600 უ კინა ვენახისა დაწურე, ანუ 480 ლარისა და სულ შემოსავლი გამოგდის 1360+480=1840 (ლარი) და გვექნება ბოლოში თანხობრივი ნაგება: 1920-1840=80 (ლარი) ანი (-80) ლარი წაგება გამოდის ართმეტიკითაც, მხოლოდ გაცემულ-მიღებულ თანხებს შორის. ახლა ეს ამოდენა შენი მთელი წლის მუშაობა კიდევ ვინ დათვალა! მონაგრების ნაცვლად რა გაქვს, კაცო? მუშებს, ტრაქტორიტებს ასაკმებ თურმე ნორ-მალური ანაზღაურებით, ვენახის წამლებს გასაყიდა არ უტოვებ მაღაზიებს და მენთვის ვინ არი? ეს ერთი ბენვა პენსია მაგისთვის გდომებია და რაღას დადინხარ მაინც?! - სახლში იყავ და აქედან გაუგზავნე. და ამნაირებით... მე ვიცავდი და ვიცავდი, ისინი მართალი არიან შედეგების ჩამოწერით, - რა არის, იმით. მე მართალი ვარ იმედიათობით, გადაშვებულობით - რა იქნება, იმით.

ეს ვენახი ეს წლები ცოტა გამოვაკეთე. წელს მგონი უნდა ივენახოს ძველბურად - 3-4 ტონამდე შეიძლება, ხოლო მერმის უკვე როგორც ადრე, 6-ზე მეტისთვის იქნება მზა. ჩემი ვენახი რომ მეჩხერიანი შემხვდა, არახალია. იქედან მოყოლებული სულ ვანგუნდი, თავიდან ვამყნობდი მწარეზე, ახლა 6 პლანი ხომ ვაკეთებ. თავიდან ვაკეთებ და წელს იმისგან სერიოზული მოსავალი უნდა მოვიდეს. ერთი სიტყვით, აქაც 3-4 ტონამდე უნდა მოგვცეს და ორივეგან 6-7 ტონა უნდა მოვინით. 80 თეთრობაზე, ხარჯები რომ გავაკლოთ, ეს 3500-4000 ლარია და მომდევნო წლებში კიდევ ხომ უფრო მეტი უნდა იყოს. ახლა გაკაჭე ამდენი, ამას რა ხარჯი არ უნდა? მეოთხე წელს უნდა მიიღო მოსავალი - მოსავალი რასაც ჰქვია და იქამდე მარტო მუშაობა და გასვენება; რა იქამდე რა მოხდება მანამდე - უკვე პენსიის წლებია...

მოსავლის გადიდება ერთადერთი გზაა იმისთვის, რომ შენი ვენახების მეურნეობა რენტაბელური, მოგების მომცემი იყოს, რომ ღირდეს ქარხანაში მიტანა-ჩაბარება. თორემ მართლა რად გინდა, ეს შინა ვენახი გააკეთე კარგად, მაინც შენთვის დასაწურს ხომ აქა ჰკრეფ ხოლმე. იქ ბევრს ეჭიდები და ბევრი კი არ მოგაქვს - ბევრი მიგაქვს. ქვეყანა გაჭირვებულია, ფასს ვერ უმატებენ. ამას რომ მიუმატონ, ხვასაც უნდა მიუმატო ყველაფერს. სახელმწიფო თუ არ ჩაერი, თუ არ მიხმარა ქარხნებს ყურძნის ჩაბარებაში,

ისინი თავის თავზე ვერ იღებენ ამდენი ყურძნის ჩაბარებას. ამიტომ სახელმწიფო წყვეტს ყურძნის ფასსაც და როგორც გამოდის, სწრაფად-მარდი, ქაფონა - ხან ოთხ ვედროსაც რომ მიავლევებს, მე ბოლომდე მაძიებელი მევენახე მივყვებით-მივუძღვით ამათ. ყველა ჩქარობს ერთგვარად, თან საქმეში ჭკუიანობა. საბოლოოდ მანქანა გადაადგილდება ქვეითი და ქვეითი.

-მართლა რა კარგი მტევნებია, რამსიგრძე, მსხვილმარცვლა, იმიტოა ვედრები ეგრე ხელად ივსება...
-რა ივსება, ერთი ა აგე, გზის იქითა ვენახში, აზურბაიჯანელები რომ ჰყავთ, უკვე კამაზი გაავსეს, ჩვენ ჯერ ალბათ წესიერად ძირი თუ მოვუმაღლე ზილს.

-მართლა ისინი არიან, თან უკვე 6 საათზე აქ იყვნენ. ჩვენ ათნი ვართ, თან როდის მოვედით...
-მართლა ისინი არიან, ქალი და კაცი იმათებურად ჩაცმული, მოჭრიამული.

-ხო, ხო, გუუბნებით, მაგათ დაიჭირეს აქაური სამუშაოები. აქაურ ცხვარში, ძროხაში სულ გვე-ნი არიან. ფერმაში სახლობენ დედა-წული. მითომ ჩვენი საქმე კეთდება, რა ვიცო. ამ საქმით ეგები არიან - მრავალდებიან!
ტაფონამ მაგნიტოფონის ნაცვლად პატარაობაში ტაფონი რომ თქვა, იქედან დაიჩქრა ტაფონა... ხალხის განწყობა იმათნაირობას რო ცდილობ - სიცლში, მზიარულებაში სასაცილოა და აციხებით. აი, მწუხარებას ვერა ჰყვება მთლად. ბაბოს დაკრძალვაზე ყაზუ ხელიც კი შემოირტყა... მაგრამეგრა, ცრემლი ვერ გვივადებინა. აქ ხო ვერ იცნობენ ისინი, კაი ხანს ვერ ირთობენ ლაპარაკებში, მაგრამ თანდათან აუღეს ალღო და მალე ცოლის მოყვანაში დახმარებას სთავაზობენ. თუ ის იმათ მხარეზე გადავიდოდა ზიდავში.

ნაშუადღევს გადავივიარე იქით, მართლა ჩვენ ვენახში 2,5-3,0 ტონამდე იქნებაო, ალბათ, რაც აქ დაეკრეფათ. მე მეტი მეგონა, მაგრამ შუა ტახტი მაინც სუსტი იყო. მთლად ვერ გამოკეთდა. არადა სასუქი შარშან ამას უფრო საგულდაგულად დაუყვარე, როგორც უფრო სუსტ რქიანს, მესამე მართლამდე ჰადა მისულს, მაგრამ ვერ გაჭრა. ეტყობა, ახლა შედარებით ძლიერად მოჩანს, მემრის უნდა თავისი სიტყვა თქვას.
პირველი სიძეც მოგვივიდა თავისი ბიჭი-გორგი. მე-4 კლასში გადასულმა უცებ რომ ორი ვედრო ჩამოკრიფა, პაპის სიხარულმა ამიტანა! დიანა და მარიაში რატომ არ ჩამომიყვანეთ-მეთქი და პატარა ვენახის დაკრეფაზე წამოვალთო, მართლა რთველში, უთქვამთ. ჩემი ბიძაშვილებიც შემოგვემატნენ, ზაზა თავისი სტუდენტობიჭებით - ზაზუკა, საბა შემოგვიდგნენ. ვუტყვევებ ფრონტებით, ხანდახან მამქანის გადმობისას უკვე ყურძენი გამოჩნდება ხოლმე ბორტების იქით. ცამყრელი ყველა ვედროს იღებს, უფლის 0 დგას ძალუმადა. ახალი ჩათავდა. ძველს ვუვლით თავიდან ბოლომდე, არაფერი დადგარჩენს. სალ-ამომდე მივსულივართ კიდევ და ბოლო ვედროები იკრიფება და დამტავრდა ეს სერემა. რას ამბობთ, იქნებ 6 ტონაც გამოვიდეს, ამ ჭანჭყარში ხომ რამდენი დაინია, ნახე მაინც როგორ ბლომად ჩანს.

-რას ამბობ, ვალერ, თუკი ეგრე იქნება, ყველაფრისთვის მზადა ვარ-მეთქი.
და თვენახევარში დადგა ეს დღე. წელს ადრე მომწიფდა ყურძენი აქ და 4 სექტემბერს თბილისიდან ხუთის ნახევარზე გამოსულები შეიღის ნახევარზე სოფლის ქვემოთ, მტავარ გზასთან დამკვიდრებულ ყურძნის ბირჟასთან მომლოდინე ბორტიან ზილ-130-ს და კაი გავლექტით, მაგრამ ყოჩაღად მყოფ გაზ-69-ს მოგვივიდნენ ერთი მაგარი ლექსული და ერთი ევროპაში დამთავრებული, აქ გაყოფილი მერსედეს-ბენცი. გავიხარეთ, გავიხარეთ! პირველად ბირჟასთან ახლოს მდებარე ჩემს, ახლა ამერიკულ, სასწაულს გამართლებით ნიუ-იორკის მანჰეტენზე მცხოვრებ მეგობრის ვენახში ავედით. აქ რო იყო ჩამოსული ორი წლის წინ ამერიკიდან ნუგზარი, ნამოტირასაც: „როგორ მიყვარს ვენახი, რო იცოდეთ...“ თავილების მოწყობანებით. და მე არ დავაცადე (სტუდენტობისას ერთ ოთახში, ერთად ვცხოვრობდით). რა გიყვარს, ერთი, თუ ძმა ხარ, ამერიკაში მაგას არ გაექცი, პირველ რიგში? მოდი, სიმართლე ვთქვათ, - და ჩაიხივებით, პირის მოკუმედი მიყურა, - ეჰ, აქ რო ცხოვრება იყოს, იქ რა მინდა, ამერიკაში ცხოვრობ, მაგრამ ხარობ? - ისევე მხოლოდ მიყურებდა.

ჰოდა, რო არ არის, ვის ვუყუროთ, ჩვენ არ უნდა შევქმნათ? როგორც ერთმა ვენახის კაცმა გვითხრა, ვაზი მაყვალვით არიო, ცოტა წყალი რომ მოჰხვდება, პატარა მოუვლი, უკვე მიმკვდარი რო იყოს, გაცოცხლებება, ახლიდან წამოვაო. მართლაც ეგრე, პატარა წკრებიანილა იყო ეს საცოდავი ვენახი წინა მეპატრონეს ხელში დარჩენილი და იქედან ჩემი მოვლით (მოხვებით, შენამგვით, მორწყვით) ისევე გამოიხედა, ამ წელს ძველებურად დაისხა. რა ასაკი, ისევე იდგამს ღონეს, ისევე ახალივით ხდება, ისევე გამოაქვს კარგად ყლორტები.

სატვირთო მანქანა დავაყენეთ ვენახის პირველი ტახტის თავში (სამტახტიანია. ტახტში 9 ასმეტრიანი პლანი. სულ 27) დავდექით ჩვენი „ვედროებიანი“. ტახტის ნახევრიდან ვინცები კრეფას. მანქანისაკენ 4-5 პლანზე რომ მოვრჩებით გადავინაცვლებთ ქვემოთ. მანქანა მოგვეყვება. მზე

ჭიატობს, მტევნები ოქროსფრად იყურებიან.

ვასიკო ამ შრომებში გამოუჯიკილი, კახა ამისი კრეფა-გაზიდვაში მაგალითი, სწრაფად-მარდი, ტაფონა - ხან ოთხ ვედროსაც რომ მიავლევებს, მე ბოლომდე მაძიებელი მევენახე მივყვებით-მივუძღვით ამათ. ყველა ჩქარობს ერთგვარად, თან საქმეში ჭკუიანობა. საბოლოოდ მანქანა გადაადგილდება ქვეითი და ქვეითი.

-მართლა რა კარგი მტევნებია, რამსიგრძე, მსხვილმარცვლა, იმიტოა ვედრები ეგრე ხელად ივსება...
-რა ივსება, ერთი ა აგე, გზის იქითა ვენახში, აზურბაიჯანელები რომ ჰყავთ, უკვე კამაზი გაავსეს, ჩვენ ჯერ ალბათ წესიერად ძირი თუ მოვუმაღლე ზილს.

-მართლა ისინი არიან, თან უკვე 6 საათზე აქ იყვნენ. ჩვენ ათნი ვართ, თან როდის მოვედით...
-მართლა ისინი არიან, ქალი და კაცი იმათებურად ჩაცმული, მოჭრიამული.

-ხო, ხო, გუუბნებით, მაგათ დაიჭირეს აქაური სამუშაოები. აქაურ ცხვარში, ძროხაში სულ გვე-ნი არიან. ფერმაში სახლობენ დედა-წული. მითომ ჩვენი საქმე კეთდება, რა ვიცო. ამ საქმით ეგები არიან - მრავალდებიან!
ტაფონამ მაგნიტოფონის ნაცვლად პატარაობაში ტაფონი რომ თქვა, იქედან დაიჩქრა ტაფონა... ხალხის განწყობა იმათნაირობას რო ცდილობ - სიცლში, მზიარულებაში სასაცილოა და აციხებით. აი, მწუხარებას ვერა ჰყვება მთლად. ბაბოს დაკრძალვაზე ყაზუ ხელიც კი შემოირტყა... მაგრამეგრა, ცრემლი ვერ გვივადებინა. აქ ხო ვერ იცნობენ ისინი, კაი ხანს ვერ ირთობენ ლაპარაკებში, მაგრამ თანდათან აუღეს ალღო და მალე ცოლის მოყვანაში დახმარებას სთავაზობენ. თუ ის იმათ მხარეზე გადავიდოდა ზიდავში.

ნაშუადღევს გადავივიარე იქით, მართლა ჩვენ ვენახში 2,5-3,0 ტონამდე იქნებაო, ალბათ, რაც აქ დაეკრეფათ. მე მეტი მეგონა, მაგრამ შუა ტახტი მაინც სუსტი იყო. მთლად ვერ გამოკეთდა. არადა სასუქი შარშან ამას უფრო საგულდაგულად დაუყვარე, როგორც უფრო სუსტ რქიანს, მესამე მართლამდე ჰადა მისულს, მაგრამ ვერ გაჭრა. ეტყობა, ახლა შედარებით ძლიერად მოჩანს, მემრის უნდა თავისი სიტყვა თქვას.
პირველი სიძეც მოგვივიდა თავისი ბიჭი-გორგი. მე-4 კლასში გადასულმა უცებ რომ ორი ვედრო ჩამოკრიფა, პაპის სიხარულმა ამიტანა! დიანა და მარიაში რატომ არ ჩამომიყვანეთ-მეთქი და პატარა ვენახის დაკრეფაზე წამოვალთო, მართლა რთველში, უთქვამთ. ჩემი ბიძაშვილებიც შემოგვემატნენ, ზაზა თავისი სტუდენტობიჭებით - ზაზუკა, საბა შემოგვიდგნენ. ვუტყვევებ ფრონტებით, ხანდახან მამქანის გადმობისას უკვე ყურძენი გამოჩნდება ხოლმე ბორტების იქით. ცამყრელი ყველა ვედროს იღებს, უფლის 0 დგას ძალუმადა. ახალი ჩათავდა. ძველს ვუვლით თავიდან ბოლომდე, არაფერი დადგარჩენს. სალ-ამომდე მივსულივართ კიდევ და ბოლო ვედროები იკრიფება და დამტავრდა ეს სერემა. რას ამბობთ, იქნებ 6 ტონაც გამოვიდეს, ამ ჭანჭყარში ხომ რამდენი დაინია, ნახე მაინც როგორ ბლომად ჩანს.

-რას ამბობ, ვალერ, თუკი ეგრე იქნება, ყველაფრისთვის მზადა ვარ-მეთქი.
და თვენახევარში დადგა ეს დღე. წელს ადრე მომწიფდა ყურძენი აქ და 4 სექტემბერს თბილისიდან ხუთის ნახევარზე გამოსულები შეიღის ნახევარზე სოფლის ქვემოთ, მტავარ გზასთან დამკვიდრებულ ყურძნის ბირჟასთან მომლოდინე ბორტიან ზილ-130-ს და კაი გავლექტით, მაგრამ ყოჩაღად მყოფ გაზ-69-ს მოგვივიდნენ ერთი მაგარი ლექსული და ერთი ევროპაში დამთავრებული, აქ გაყოფილი მერსედეს-ბენცი. გავიხარეთ, გავიხარეთ! პირველად ბირჟასთან ახლოს მდებარე ჩემს, ახლა ამერიკულ, სასწაულს გამართლებით ნიუ-იორკის მანჰეტენზე მცხოვრებ მეგობრის ვენახში ავედით. აქ რო იყო ჩამოსული ორი წლის წინ ამერიკიდან ნუგზარი, ნამოტირასაც: „როგორ მიყვარს ვენახი, რო იცოდეთ...“ თავილების მოწყობანებით. და მე არ დავაცადე (სტუდენტობისას ერთ ოთახში, ერთად ვცხოვრობდით). რა გიყვარს, ერთი, თუ ძმა ხარ, ამერიკაში მაგას არ გაექცი, პირველ რიგში? მოდი, სიმართლე ვთქვათ, - და ჩაიხივებით, პირის მოკუმედი მიყურა, - ეჰ, აქ რო ცხოვრება იყოს, იქ რა მინდა, ამერიკაში ცხოვრობ, მაგრამ ხარობ? - ისევე მხოლოდ მიყურებდა.

ჰოდა, რო არ არის, ვის ვუყუროთ, ჩვენ არ უნდა შევქმნათ? როგორც ერთმა ვენახის კაცმა გვითხრა, ვაზი მაყვალვით არიო, ცოტა წყალი რომ მოჰხვდება, პატარა მოუვლი, უკვე მიმკვდარი რო იყოს, გაცოცხლებება, ახლიდან წამოვაო. მართლაც ეგრე, პატარა წკრებიანილა იყო ეს საცოდავი ვენახი წინა მეპატრონეს ხელში დარჩენილი და იქედან ჩემი მოვლით (მოხვებით, შენამგვით, მორწყვით) ისევე გამოიხედა, ამ წელს ძველებურად დაისხა. რა ასაკი, ისევე იდგამს ღონეს, ისევე ახალივით ხდება, ისევე გამოაქვს კარგად ყლორტები.

სატვირთო მანქანა დავაყენეთ ვენახის პირველი ტახტის თავში (სამტახტიანია. ტახტში 9 ასმეტრიანი პლანი. სულ 27) დავდექით ჩვენი „ვედროებიანი“. ტახტის ნახევრიდან ვინცები კრეფას. მანქანისაკენ 4-5 პლანზე რომ მოვრჩებით გადავინაცვლებთ ქვემოთ. მანქანა მოგვეყვება. მზე

ჭიატობს, მტევნები ოქროსფრად იყურებიან. ვასიკო ამ შრომებში გამოუჯიკილი, კახა ამისი კრეფა-გაზიდვაში მაგალითი, სწრაფად-მარდი, ტაფონა - ხან ოთხ ვედროსაც რომ მიავლევებს, მე ბოლომდე მაძიებელი მევენახე მივყვებით-მივუძღვით ამათ. ყველა ჩქარობს ერთგვარად, თან საქმეში ჭკუიანობა. საბოლოოდ მანქანა გადაადგილდება ქვეითი და ქვეითი.

-მართლა რა კარგი მტევნებია, რამსიგრძე, მსხვილმარცვლა, იმიტოა ვედრები ეგრე ხელად ივსება...
-რა ივსება, ერთი ა აგე, გზის იქითა ვენახში, აზურბაიჯანელები რომ ჰყავთ, უკვე კამაზი გაავსეს, ჩვენ ჯერ ალბათ წესიერად ძირი თუ მოვუმაღლე ზილს.

-მართლა ისინი არიან, თან უკვე 6 საათზე აქ იყვნენ. ჩვენ ათნი ვართ, თან როდის მოვედით...
-მართლა ისინი არიან, ქალი და კაცი იმათებურად ჩაცმული, მოჭრიამული.

-ხო, ხო, გუუბნებით, მაგათ დაიჭირეს აქაური სამუშაოები. აქაურ ცხვარში, ძროხაში სულ გვე-ნი არიან. ფერმაში სახლობენ დედა-წული. მითომ ჩვენი საქმე კეთდება, რა ვიცო. ამ საქმით ეგები არიან - მრავალდებიან!
ტაფონამ მაგნიტოფონის ნაცვლად პატარაობაში ტაფონი რომ თქვა, იქედან დაიჩქრა ტაფონა... ხალხის განწყობა იმათნაირობას რო ცდილობ - სიცლში, მზიარულებაში სასაცილოა და აციხებით. აი, მწუხარებას ვერა ჰყვება მთლად. ბაბოს დაკრძალვაზე ყაზუ ხელიც კი შემოირტყა... მაგრამეგრა, ცრემლი ვერ გვივადებინა. აქ ხო ვერ იცნობენ ისინი, კაი ხანს ვერ ირთობენ ლაპარაკებში, მაგრამ თანდათან აუღეს ალღო და მალე ცოლის მოყვანაში დახმარებას სთავაზობენ. თუ ის იმათ მხარეზე გადავიდოდა ზიდავში.

ნაშუადღევს გადავივიარე იქით, მართლა ჩვენ ვენახში 2,5-3,0 ტონამდე იქნებაო, ალბათ, რაც აქ დაეკრეფათ. მე მეტი მეგონა, მაგრამ შუა ტახტი მაინც სუსტი იყო. მთლად ვერ გამოკეთდა. არადა სასუქი შარშან ამას უფრო საგულდაგულად დაუყვარე, როგორც უფრო სუსტ რქიანს, მესამე მართლამდე ჰადა მისულს, მაგრამ ვერ გაჭრა. ეტყობა, ახლა შედარებით ძლიერად მოჩანს, მემრის უნდა თავისი სიტყვა თქვას.
პირველი სიძეც მოგვივიდა თავისი ბიჭი-გორგი. მე-4 კლასში გადასულმა უცებ რომ ორი ვედრო ჩამოკრიფა, პაპის სიხარულმა ამიტანა! დიანა და მარიაში რატომ არ ჩამომიყვანეთ-მეთქი და პატარა ვენახის დაკრეფაზე წამოვალთო, მართლა რთველში, უთქვამთ. ჩემი ბიძაშვილებიც შემოგვემატნენ, ზაზა თავისი სტუდენტობიჭებით - ზაზუკა, საბა შემოგვიდგნენ. ვუტყვევებ ფრონტებით, ხანდახან მამქანის გადმობისას უკვე ყურძენი გამოჩნდება ხოლმე ბორტების იქით. ცამყრელი ყველა ვედროს იღებს, უფლის 0 დგას ძალუმადა. ახალი ჩათავდა. ძველს ვუვლით თავიდან ბოლომდე, არაფერი დადგარჩენს. სალ-ამომდე მივსულივართ კიდევ და ბოლო ვედროები იკრიფება და დამტავრდა ეს სერემა. რას ამბობთ, იქნებ 6 ტონაც გამოვიდეს, ამ ჭანჭყარში ხომ რამდენი დაინია, ნახე მაინც როგორ ბლომად ჩანს.

-ყველას გაგიმარჯოთ! დიდი მადლობა პაპას ვენახის დაკრეფისთვის!

-გაგიმარჯოს! - იჭექეს და დაიწყო.

-ყველას დიდ მადლობას გიხდით დღევანდელი საქმისთვის, მთელი წლის ჩვენი მუშაობის დაგვირგვინებისთვის, - მივმართავ მე, - განსაკუთრებული მადლობა ჯარიდან ხალხს! თქვენ თქვენი მეგობრის, ამხანაგის სიყვარულითა და პატივისცემით ჩამოხვედით აქ და საბოლოოდ ყველა ძალიან გაგვახარეთ. იქ, ვენახში ნათლად დაგვანახეთ, რომ სამშობლოს დამცველებს დიდებულად ძალუთ უძველესი ქართული საქმის კეთება, როცა მედგრად, თავდაუზოგავად, უკანდაუხეცლად იშრომეს-იბრძოლეს გამარჯვებამდე. თქვენ გენაცვალეთ! და ვალერის ვთხოვ, ნაიყვანოს ეს სუფრა. ვალერიმ შესთავაზა მესუფრეთ, ამდგარიყვენ და შესულიყვენ მამა-პაპისეულ მარანში, რომელიც ჩემი მეღვინე დალის მეოხებით გამოხატულ ქართულად რესტავირებულია. მშვენიერი იყო ვენახში ომგადახდილი ქართველებისაგან დალოცვა შეღმართული კაი სიდიდის თიხის სავეს თასებით, კედელზე რომ სურათებია, ამ ლამაზ მღვდლის, გოგია მასწავლებლის სახით ყველას, ყველას წინაპარი მამა-პაპისა ხომ იმათი არდავინყებით, იმათი პატივისცემით ყოფნა ჩვენი უკვდავება, ისევე სამშობლოს გმირულად შეწირული ვაჟკაცებისა ვაუთქმევინებს, ისევე ჩვენი სამშობლოს... ჩვენი უჭულ-ბუჭულებისა ვთქვავთ - შეილები-სა და შეილიშვილების, ვინც მოსული და ვინც მოვლენ! ჩვენი ქალბატონებისა, იმათი სიმშვენიერე-სიპეტაკისა, ჩვენი პატივისცემისა... ჩვენი ვაჟობისა, კაცობისა... და ა. შ. და ა. შ.

დარეკეს ჩვენი მანქანიდან - კარგა წინ წავინით. დროა წამოხვიდეთო. აქაც კარგა წინ წავსულვართ! ზოგი უკვე მეგველიენ, უკვე სიმღერაშიც გადავიჭრებით. მაგრამ წასვლა აუცილებელია. ყურად ვიღებთ ძახილს მანქანიდან. ახლა მხოლოდ ჯარიდანა დადარჩნენ, სრულად ერთმანეთში, თავისში ქეიფობენ. ვალერის ესაყვედურებიან ერთი-ორი, აქ რომ არა ვყოფილვართ, აქამდე როგორ არ მოვიყვანებო. უნდა დავაკანონოთ შემდეგში აქ, რთველში ჩამოსვლაო. საერთოდ, ჯარი რომ ეხმარებოდეთ მევენახეებს, თუ ისეთი არაფერია, როგორიაო. თავის ქვეყანა, იმისი დამცველი იმისი ცხოვრებით არ უნდა იყოსო.

და გამოვთხოვთ სასიამოვნოდ.

-ნახევადის, სიკეთეში მოგხმარებდეთ დახმარება. გმადლობთ მშვენიერი სუფრისთვის. გაუმარჯოს მევენახეებს თქვენი სახით! კარგობა ვენახს!

-დიდი მადლობა. კარგი, კეთილი გზით იარეო. ეს აქაური ცოტაოდენი ყურძენი ტკბილად იგემონ თქვენმა ცოლ-შვილმა...

ამათი ექიმი არა სვამდა. სამაგიეროდ, მას სვამენ ახლა საჭესთან (ერთი ადრევე წავიდა თავისი მანქანით). ის კიდევ რეკავს - ძალიან ახლოს მივდითო, მაგრამ ალარა ვასუსებო - გამოვთხოვე თითქმის ჩაძინებულებს ლექსუსში და ავედი ზილ-ზე, შეპირებული ხორაგით.

7 მანქანა ვყოფილვართ თურმე, მაგრამ მაინც დაბოლოებამ კინლა 3 საათი კიდევ დასჭირდა აქაურ პროცედურებს და როგორც იქნა, დავიჭირე ხელში ყურძნის შესყიდვის აქტი. 4-5 ტონა! ჩვენ 6-ზე მეტი გვეგონა... მიახლოებულია სახლში იმათ დათქმულ 5 ტონასთან, შემოსავალი (თანხა) 4000 ლარამდის მივიდა, ახლა ასეთი დიდხმარების შემდეგ კიდევ რაღა უნდა თქვან. ხომ არ იტყუებიან სასწორზე, ხომ არა გვპარავენ. ახლა არა მგონია, ასე გავვიმეტონ, თანაც ასეთი სიმკაცრეა ამისთვის ყველგან. საქართველოს მშრალი სუბტროპიკული ზონის უფრო მშრალი ადგილი ვართ, აღმოსავლეთის აღმოსავლეთი და ჩვენი ყურძენი მაღალმეტეოანია. მეღვინეებმა კარგად იციან ეს, რომ აქედან მიტანილი ყურძენი კომპენსაციას უკეთებს სხვების დაბალმეტეოანობას. ჩვენი რაღა მოტყუება იქნება.

ისევე ვენახში ვარ. დიდხანს ვერ გავძელი უიმისოდ. ვაზო შენ სიმაგრეს და მადლიანობას ვენაცვალე. ძვირი ფასი არა გაქვს, ყურძენო, მაგრამ ყველაზე ძვირფასი ხარ! ახლა სახლის ვენახზეც ხელი მომცა. კაი ტონანახევარი ჩავგაბარა და გადავიკო მარანი, ქვევრები.

მართალი უთქვამს დალოცვის - შემოხვალ, შემოგვევლიო და გახვალ და გამოგვევლიო. პირნათელია წელსაც დალოცვილი და როდისღა არა ყოფილა, როდისღა არ არის! სულ ჩემთან იყავით და სულ თქვენთან ვიქნებო... როგორცა ვყოფილვართ ათასი წლობით ვაზი და ქართველები. ის რომა დგას მთელი წელი დარი-ავღარში, სიცხე-ყინვაში ერთგულად, ეგრე უნდა ვყავდეთ სულ უღალატო ერთობაში. დიან, ვენახივით წმინდა, სპეტაკი, როგორც ჩვენი ძველი გლეხკაცობა, ვენახთან, ვაზთან ყურძნისა და ღვინის საერო მომყვანებით, სიკვდილის წინ ვენახის ნახვას რომ ნატრულობდნენ და შეეუძახებ: „ყოჩაღად, ჩემო ვენახო, ისევე სიკეთე გვენახოს!“

რას ქვია იყოს - ვიყოთ და ვიყოთ!



ისტორიული რომანი

ამირან ხაბაზის პოეტური თუ პროზაული კრებულები: „შვიდფერი“, „ჩურჩული“, „მინიდან ცისკენ“, „ლექსის ფარდაგი“, „სულ საქართველო მეძახდა“, „ავტოპორტრეტი ფორთოხლებით“, „ლექსის ქვეყანა“, „ღმერთით, საქართველოვ, ღმერთით“, „ვაზა-ავაზა“, „ჯიშის სიმღერა“ შეიყვარა გემოვნებიანმა ქართველმა მკითხველმა.

იყო ლაურეატი მემედ აბაშიძის, აკაკი წერეთლის, ზურაბ გორგილაძის სახელობის სახელმწიფო პრემიებისა. ქართულ-სომხურ ურთიერთობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის კი წმინდა მესრობ მაშტოცის მედლით დაჯილდოვდა, იყო ღირსების ორდენის კავალერი.

და აი, აღიარებული მწერალი ამჯერად ისტორიული რომანით „თამარ ივერიელი“ წარსდგა მკითხველის წინაშე. რა გულსატკეპია, რომ ამ რომანის დასტამბვას თავად ვერ მოესწრო.

როგორც ცნობილი პოეტი, ქალბატონი ცისანა ანთაძე წინასიტყვაობაში წერს: „აღიარებული ქართველი პოეტი და პროზაიკოსი, ამირან ხაბაზი, ამჯერად ისტორიული რომანით („თამარ ივერიელი“) წარსდგა მკითხველის წინაშე.

რომანი დაწერილია ჩვენი წარსული ისტორიის სიღრმისეული ცოდნით. კონკრეტულად კი მასში ასახულია ჩვენი სასიქადულო მეფე თამარის ცხოვრება და მოღვაწეობა. აქ გაცოცხლებულია მე-11 - მე-12 საუკუნეების ქართული სახელმწიფოებრივი ყოფა-ცხოვრება, ტრადიციები, ისტორიული ცხოვრების უმთავრესი პროცესები.

რომანში, რომანტიკული სევდის საბურველშია გახვეული თამარ ივერიელის მომხიბვლელი სახე. სახე, ბრძენი სახელმწიფო მოღვაწისა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების განუმეორებელი დედოფლისა, სტრატეგისა, გამირისა...

მწერალი წარსულის აჩრდილებს ისეთი ცოცხალი სახით წარმოგვიდგენს, იფიქრებ - ჩვენს გვერდით სუნთქავენ და მოქმედებენო. აი, ღირსი დედოფლები - ბურდუხანი და რუსუდანი, გამორჩეული დიდგვაროვანი ქალბატონები - ხუაშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელი.

მკითხველის თვალწინ ცოცხლდება ან საუკუნეთა სრბოლაში - დღემდე შემორჩენილი ისტორიული სახელები: მეფე გიორგი მესამე, რაჭის ერისთავი კახაბერი, ლიპარიტ ერისთავი, დემნა უფლისწული, ივანე ორბელი (მირიანისძე), ბექა სურამელი, ზაქარია მხარგრძელი, ბასილი ეზოსმოდვარი, იოანე მნიგნობართუხუცესი, ჭიაბერ მეფინიბეთუხუცესი, მიქაელ კათოლიკოს, ამირსპასალარი ორბელი, ყურთლუ არსლანი და მრავალი სხვა. მაგრამ მწერალი სულ სხვაგვარი შემოქმედებითი წვით გვიხატავს სულიერ პორტრეტს გენიალური შოთა რუსთაველისა. გვიხატავს მისი სიყვარულის ისტორიას - საფუძველთა საფუძველს უკვდავი „ვეფხისტყაოსნისა“.

მწერალი თავისუფლებას ანიჭებს



თავის მხატვრულ ფანტაზიას, მაგრამ დაუსაბუთებელ ვერსიას როდი სთავაზობს მკითხველს. ამაში კი ხელს უწყობს ის, რომ პროფესიით იურისტი და იცის სად უნდა დასვას წერტილი.

მაშ ასე, მკითხველის წინაშეა ამირან ხაბაზის ისტორიული რომანი, რომელიც ელოდება თავის დროსა და ჭეშმარიტ შემფასებელს“.

ვიცი, ამ ახალ ნაწარმოებსაც დიდი სიყვარულით მიიღებს წიგნის ჭეშმარიტი შემფასებელი, მე კი გული იმაზე მტკივა, რომ ამ უნიჭიერეს მწერალზე წარსულ დროში მიხდება საუბარი.

მაყვალა გონაშვილი



მაია ზარდიაშვილი

ღმერთო, ამრავლე ქართველი ერი!

ღმერთო, ამრავლე ქართველი ერი! ისმინე ჩვენი ლოცვა-ვედრება, ყველა ოჯახში შეაღე კარი, მიმოაბნიე ბედნიერება.

გამოაღვიძე დიდი-პატარა, რომ ვერ წალეკოს ნაკადმა მღვრიემ, სიკეთე მისხალ დაათვლევინე და აღმასებად ცას მიაბნიე.

რომც თავად ვიყოთ გაჭირვებულნი, მაშვრალ მოძმეებს ლუკმას ვუყოფდეთ, რომც თავად ვიყოთ გულ-სევდიანნი, სევდიანთათვის ნუგეშს ვუხმობდეთ.

სიკეთე არის ქართველთა ჰიმნი... ერისთვის ლოცვად გვიმრავლე ბერი, ღვთისმშობლის ნილხვედრ საქართველოში გვიბედნიერე, გვიმრავლე ერი.

ენა, მამული, სარწმუნოება - თაობებისთვის შემოგვრჩეს განძად. გვიმრავლე კეთილგონიერება და ერთიანი სამშობლოს განცდა.

თვალეზში დანახული სევდა

ნეტავ, რას ჩიოდა? ნეტავ, რა სტკიოდა? ნეტავ, რად ტიროდა? ცრემლი დასდიოდა, თანაც ლაპალუპით გულში ჩასდიოდა.

თითქოს, ქვითინებდა სევდამორეული, მთვარეს უცქეროდა გრძნობამორეული, თითქოს, ტიროდა და თითქოს, იღიმოდა, ღიმილის მიღმა კი წვიმა დასდიოდა, ქალაქს წვიმის შხეპით ბული ასდიოდა...

თავზე დაათენდა, მზე ამოდიოდა, ფიქრებარეული სევდა მოდიოდა. შველას ითხოვდა და მაშველი არ ჩანდა, ასე ფიქრობდა: სამყარო დამთავრდა!

მთვარე ჩადიოდა, მზე ამოდიოდა, ოჯახს ღია ცის ქვეშ წვიმა დასდიოდა, მტერის და წვიმის ბული ქალაქს ასდიოდა... როცა ეგონა, რომ სამყარო დამთავრდა,

ღიახ, ზუსტად მაშინ! ღიახ, ზუსტად მაშინ! ღიახ, ზუსტად მაშინ განათდა!

ჩაფი ქალაქი

მიყვარს ყვარელი ჩემი ვარდების სურნელით სავსე. და ხალხიც მიყვარს ჩვენი - ლხინით, სიკეთით მავსებს.

დილის სურნელი მატკობს, მზეც სხვანაირად მათობს, კახური ღვინო ტკბილი მე სიყვარულით მათობს.

მიყვარხარ ჩემო მხარე, ძველი ამბებით სავსე. შენი მინა და წყალი რწმენით, სიცოცხლით მავსებს.

დღეს მოვეფეროთ ერთმანეთს, ხვალ იქნებ იყოს გვიან. ღიახვი აღიდებულა, ზვირთები მოაქვს კლდიდან.

სოფლის თავს ნორჩი ბიჭები დარაჯად დგანან კალოს, სოფლის ბოლოში თავკაცნი ხმლებსა ღესავენ ჯვალოს.

ქართველებს შეგნის აბჯარი, ხელთ ხმალი აღმასისა, გული აქვთ ვაჟკაცისა და სიმარჯვე გულოვნისა.

ვერ შეგვაშინებს ჩვენ მტერი, სიბრძნე გვსდევს დავითისა. ილიას ლოცვა გვიცავს და მინა ნაკურთხი ღვთისა.

ერეკლემ ზეცა გვიკურთხა, მთა-მდელი ნარინჯისა. ვაჟამ ლექსები ღამაზი ტომებად აგვიკინძა.

მტერო, შეჩერდი! ხომ იცი, გენი გვაქვს თამარისა?! სამშობლოს არვის დაუთმოთ, წილნაყარია ღვთისა!



ივეტა პავლიაშვილი-დობნაძე

როცა გარდასულ წლებზე ფიქრი მომეძაღება, ფანჯრიდან თბილისის ხედების დათვალიერებას ვინყებ და სულიერად ვმშვიდდები. ვაკვირდები სამყაროს მრავალფეროვნებას და მადლობას ვწირავ მის შემოქმედს, ეს ქვეყანა რომ მაჩვენა. ქვეყნიერებაზე მშვიდობაზე და სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია. მართალია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დავიბადე, მაგრამ ჩვენი ერის ცხოვრებაში ძნელად თუ მოიპოვება თვითდამშვიდებისა და განცხრომის წლები. სამშობლოს მომავლის ბედი ყოველთვის მალეღვებს, ჩემთვის მთავარი და უზუნაესი ჩემი ქვეყნის ინტერესებია. მიუხედავად იმისა, რომ ხილული და უხილავი მტრის შემოსევამ ქვეყანა უკან დანია, მაინც ბევრი რამ კეთდება ხალხის საკეთილდღეოდ. ქვეყნის განაშენიანება სიმხნევეს მმატებს, მახალისებს და იმედის თვალთ შევეყურებ მომავალს. ცხადია, ასაკის მატებასთან ერთად ოცნებები თანდათან უფერულდება და წარსულის მოგონებებით აგრძელებ ცხოვრებას, მაგრამ სამშობლოს წინსვლით გამოწვეული სიხარული, ისევე როგორც საკუთარი შვილების არასოდეს ნელდება. უფრო მეტად გესურვილება შენი ქალაქის ნაცნობი ქუჩები შემოიარო, ფეხით ახვიდე მთანმინდაზე, თაყვანისცე, მოეფერო მამა დავითს, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა წმინდა საფანეს...

მეორე წელია ფანჯრიდან გავცქერი მოსიარულე ადამიანებს და ვფიქრობ: ნეტავი ამდენი სასიარულო რა აქვთ? სახლში ჩაკეტილობამაც იმდენად გადამაჩვია ღია ცის ქვეშ ყოფნას, სულ გამიქრა გარეთ გასვლის სურვილი. 26 წლის მუშაობის სტაჟი მაქვს და ახლა მიკვირს, როგორ დავდიოდი ყოველდღე სამსახურში. არ ვიცი ეს რამ განაპირობა — ასაკმა, ზედიზედ ახლობლების გარდაცვალებით გამოწვეულმა ტკივილმა თუ შიშმა, რომელიც კოვიდმა დამიტოვა. გაზაფხულის მოსვლას ველოდები. იქნებ ვინმემ მარტო „სახლში დარჩით“-ო კი არ მიკარნახოს, არამედ რაღაც პოზიტიურიც მომანოდოს, ეგება თავი ვიხსნა დაძაბულობისაგან და საკუთარი თავიდან რაღაც უკეთესი გამოვიძერწო, მეც გამიჩინეს რაღაც ახლის წამოწყების სურვილი. მომენტრად გარემოსთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა. ბედნიერებაც ხომ

მაშინ მოდის, როცა ვიღაცას რაღაცას გაუზიარებ?! ახლა კი მგონია ავტობუსის გაჩერებაზე ვდგავარ და არ ვიცი, რომელში ჩავეჯდე და საით წავიდე.

სახლში ჩაკეტილობამ ფანჯრიდან ყურებას მიმაჩვია, რომელიც თანდათან მოთხოვნილებად მექცა. ბუნება ძალიან მიყვარდა და შორიდან ვეფერებოდი, მუდამ მეხმარებოდა დაბრკოლებების დაძლევაში და ჩემს განზრახვებს ყოველთვის კეთილ მიმართულებას აძლევდა. „ბუნება ერთადერთი წიგნია, რომლის ყოველი გვერდი სავსეა ღრმა შინაარსით“ (გოეთე).

თებერვლის მეორე ნახევრიდან თანდათან იცვლებოდა სამყაროს ვიზუალი. ნელ-ნელა მწვანდებოდა და ცოცხლდებოდა არე-მარე. გონებაში რა აზრი აღარ მომდიოდა. დეპრესია კი მქონდა, მაგრამ არასოდეს ვაშენ-

ქაო, ქმითა ხარ ქლიერი!

ებდი ისეთ ხიდებს, რომელზედაც არ დადიან. უხილავი მტერი (კორონა) თანდათან გვეშორებოდა, მაგრამ ახლა ხილულმა მტერმა გაგვიჩინა სადარდებელი. რუსეთი მშვიდობიან უკრაინაში გაუფრთხილებლად შეიჭრა და მასიური დაბომბვა დაიწყო. რამაც მთელი მსოფლიო შეძრა და საგონებელში ჩააგდო. ახლა უკვე ყოველ არხზე დაბომბილ ქუჩებს და ნანგრევებში მოყოლილ ადამიანებს აჩვენებენ. მტერმა სამშვიდობო გზებიც გადაკეტა და დარბეულ მოსახლეობას თავდაცვის საშუალებას არ აძლევს. საშინელება ტრიალებს, არავის ინდობენ — არც ბავშვს არც ქალს და არც მოხუცს. ქუჩები ცხედრებით არის მოფენილი. ზოგი ტყვედ მიყავთ, ზოგსაც ადგილზე ხვრეტენ. ჩვენც ხომ ვიგემთ ასეთი განუკითხაობა, სისასტიკე და ძალადობა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში?! ამიტომ უკრაინელების ტკივილი ყველაზე კარგად ჩვენთვის არის გასაგები.

ძილშიც კი კომმარო მესიზმრება, დარბეული და ნანამები ბავშვები მიდგანან თვალწინ. მათ ადგილზე ჩემს პატარებს წარმოვიდგენ ხოლმე და გული საშინლად მტკივა. პატარა ხმაურზეც ცისკენ ვიყურები, დაძინებულ ბავშვებს შიშით ვაკვირდები, მეშინია არავინ მომტაცოს. ვინ იცის ომი რამდენ ხანს გაგრძელდება. არცერთი მხარე დათმობაზე არ მიდის. ყველა პატარა ხნით ვცხოვრობთ. ყველაზე ფასეული ხომ ადამიანის სიცოცხლეა?

დღეს უკრაინას მილიონობით ლტოლვილი ჰყავს. ჩემმა ქვეყანამ ბევრ უკრაინელს გაუწოდა დახმარების ხელი, მისცა საცხოვრისი და მათი სოციალური დაცვაც თავისთავზე აიღო. ახლა ქალაქში უამრავ უკრაინელს შეხვდებით. ისინი მშვიდობიან გარემოში არიან და საქართველოს მეორე სამშობლოდ მიიჩნევენ. მადლიერები არიან ქართველების ზნეკეთილობით. მოხიბლული არიან ჩვენი ტრადიციებით, ზნე-ჩვეულებით, ისტორიით, მთებში ჩასმული თბილისის ბუნების მრავალფეროვნებით და არქიტექტურით. დიახ,

მე ამაყი ვარ, ამაყი ვარ ჩემი ქვეყნის გმირული წარსულით, მისი კულტურული მემკვიდრეობით. მეამაყება რომ ქართველი ვარ, რომ პირველი ჩემი სიტყვა დედა იყო, რომ მოყვასის სიყვარულით გავიზარდე და ჩემი რწმენა ურყევეა.

ამაყი ვარ, როცა ვხედავ ჩემს ნამუსს და სინდისს, ქართველის დედას ფარ-ხმალით რომ გადმოჰყურებს თბილისს.

უკრაინელი ხალხი მამაცი ხალხია, როგორც ქართველებს, მათაც სხვაგან განცხრომით ცხოვრებას თავიანთ მიწაზე სიკვდილი ურჩევნიათ. როგორც ჩვენი საქართველოს დევნილების, მათი ოცნებაც საკუთარ კერაზე დაბრუნებაა. ჩვენ ერთი საერთო მტერი გვყავს და ერთი ტკივილი გვაერთიანებს. თუმცა:

ნუ შეგვაშინებს მტრების სიმრავლე, მომხდური არც ისე მამაცია.

ამიტომ, ისე უნდა ვიმოქმედოთ, როგორც უფალი გვასწავლის: „სიბრძნით“!..

ტელევიზორი სულ ჩართული მარჯვს, კარგ ამბავს ველოდები, მაგრამ ამოდ. მტერი უკრაინას გააფრთხილებს ებრძვის. არ მესმის ამ წარმავალ ნუთისოფელში სიცოცხლეს რატომ უსწრაფებენ ადამიანები ერთმანეთს. ნუთუ რუსის ჯარისკაცებს დედამ მოყვასის სიყვარული არ ასწავლა. მათმა სისასტიკემ და არაადამიანურობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ბავშვებს იტაცებენ და სად მიჰყავთ კაცმა არ იცის. ასობით ტყვეით თუ წამებით მოკლულს ერთ სამარხში ყრიან. ათასობით ადამიანი უკვალოდ ქრება. მკვდარსაც კი არ ინდობენ და სწვავენ სისასტიკის კვალის დასაფარად. ათზე მეტი ქართველი მეომარი დაიღუპა უკრაინაში მტერთან შერკინებისას. შექმნილია მოხალისე ქართველ მეომართა რაზმები, რომლებიც უკრაინელებთან ერთად იბრძვიან და სამშობლოს ღირსების დასაცავად.

დიდი დანაკლისია რუსეთის მხრიდანაც, მაგრამ მტერი ძალადობას არ იშლის, ტყვედ მიყავს მშვიდობიანი მოსახლეობა და თავის შხამს ბოლომდე ანთხევს. უკან დახვეისას დატოვებულ ტერიტორიებს ნაღმავს, ან უხილავ მომაკვდინებელ ნივთიერებას ავრცელებს. საიდან მოდის ამდენი აგრესია? ქრისტიანმა ადამიანმა როგორ უნდა დაივიწყოს ქრისტეს მცნებანი?! „თუ კაცთა შორის ბრწყინავს ღვთაებრივი ნათელი, მაშინ ყოვლისფერი ამ ქვეყანაში ადიდება ღმერთს, და თუ კაცთა შორის ჩაქრა ეს ნათელი, მაშინ არც თვით კაცი ჩანს ადამიანად. იგი ითვლება ცხოველად და უბრალო ნივთად. კაცი შექმნილია ღვთის მიერ იმიტომ, რომ მან ცხადყოს დიდება ღვთისა“.

(მელქისედეკ მესამის ქადაგებიდან).
2022 წლის მაისია. შებინდებისას ჩვეულებისამებრ შემოგარენს გადავხედე და ფანჯარაზე ფარდა გა-

ვასწორე. მოპირდაპირე კორპუსის ერთერთი ბინის აივანზე უკრაინის დიდი დროშა იყო დამაგრებული. ვიცოდი, რომ იმ ბინაში არავინ ცხოვრობდა. გამიხარდა ანთებული შუქი რომ დავინახე. მინდოდა მალე გათენებულიყო და უკეთ დამენახა ყველაფერი.

ერთ დღესაც, ეზოში ბავშვებთან ერთად ის ორი ქალბატონი შევნიშნე, ფანჯრიდან რომ ვაკვირდებოდი. ახალგაზრდა ქალი რაღაცას უხსნიდა პატარა გოგონას, მეორე კი (ალბათ ბებია) პლედშემოხვეულ ჩახუტებულ ჩვილს აქეთ იქეთ დაატარებდა. ცნობისმოყვარეობამ მძლია და პატარა შვილიშვილთან ერთად ეზოში ჩავედი. ბავშვმა ბურთი წამოიღო სათამაშოდ. მიუახლოვდით თუ არა მისალმების ნიშნად უნებურად წამომცდა: „სლავა უკრაინი“. „სლავა გეროემ“ — მიპასუხეს ღიმილით. მივინყებულნი რუსულით რაც შემეძლო გავაგებინე, რომ მათ მოპირდაპირე კორპუსში ვცხოვრობდი და საჭიროების შემთხვევაში, აუცილებლად დავხმარებოდი, მანამ ჩვენ ერთმანეთს ვეცნობოდით, ჩვენი გოგონებიც დამეგობრდნენ. პატარა ალექსანდრემაც გამოიღვიძა ბებიას უბეში და ლულუნი დაიწყო. ახლად გაცნობილები გულთბილი ადამიანები აღმოჩნდნენ საერთო ენაც ადვილად გამოენახეთ, ხოლო როცა სკოლაში ნასწავლი უკრაინელი პოეტის ტარას შევჩენკოს ლექსიდან „ანდერძი“ს რამდენიმე სტროფი რუსულად წარმოვთქვი და დავით გურამიშვილის პოემის — „დავითიანი“ს მთარგმნელი ნიკოლა ბაჟანიც ვახსენე ცრემლები ვეღარ შეიკავეს. მე მხოლოდ ერთი მიზანი მამოძრავებდა. მინდოდა მათთვის ჩემი გულის სიტბო მეჩუქებინა, მოვფერებოდი, რომ თავი უცხოოდ არ ეგრძნოთ. საბედნიეროდ, ბევრ საჯარო სკოლაში უკრაინელი ბავშვებისათვის გაიხსნა სპეციალური ჯგუფები და ჩემი ნატალიც და მათი ნატაშაც სექტემბერში ერთ სკოლაში შევლენ პირველ კლასში.

ძნელია დღევანდელ სიტუაციაში ხვალინდელი მომავლისათვის ფიქრის რეალიზაცია, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ კეთილგონიერება გაიმარჯვებს ჩვენი ხალხის მეგობრობა მომავალშიც გაგრძელდება და ჩვენც ვენვევით მათ თავისუფალ, გაბრწყინებულ უკრაინაში. არ დამიჯერებთ, მაგრამ გარემოსთან და ადამიანებთან ურთიერთობამ დეპრესიისგან ისე გამომიყვანა, ვერც კი შევნიშნე. აღარ მიკვირდა ადამიანები როგორ დადიოდნენ, გარეთ გასვლის შიშით დავძლიე და ხალხსიც დამიბრუნდა.

მეორე კვირას ისევ შევხვდით ერთმანეთს. ამჯერად, შესანახად შეფუთული ნატალის ეტლი ლამაზად გავანყვეთ და შიგ ბავშვისთვის სჭირო ნივთები ჩავანყვეთ. ჩემი ნატალი ხტუნვა-ხტუნვით მიუძღოდა ეტლს, თავისი ხელით ნაკეთი ხუთფერიანი დროშის ფრიალით.

უკრაინელი ალექსანდრე ეტლში თავს კომფორტულად გრძნობდა და გულუბრყვილო თვალებით მისჩერებოდა საქართველოს კამკამა ზეცას.

როდამ თევდორაშვილი

გვემეხს უცხოურ ჰანგებზე აგებთ, ხალხს კი არწმუნებთ, რომ ეს კარგია, არა მგონია, თქვენს გვერდით დადგეს, ვისაც ჭკუა არ დაუკარგია. ვთქვათ და, წავიდა ხელისუფლება, მისი ვადები ისეც ითვლება, იგი წავიდა, თქვენ კი – მოხვედით, ვითომ ამითი რა შეიცვლება? უკვე ისხედით იმ სავარძლებში, ხელისუფალი გერქვათ თვითონაც, ფული დაგროვდა ბლომად თქვენს ხელში, ხალხისთვის – სიღარიბემ ითოვა. ძალი და ღონე რაისთვის გერჯით? ეს გაოცებას, მართლაც რომ, იწვევს, პატრიოტია ვინც თავის ქვეყნის, სკამ-სავარძლისკენ ის არ მიიწევს. გეყოფათ, მგონი სულ შეიშალეთ, ის გსურთ, პირადი მხოლოდ აინყოთ, ეროვნება რომ ამოგვიშალებთ, ქვეყნის დაღუპვა მაშინ დაიწყოს. უნდა შევცვალოთ ეს ყრუ სისტემა, კაცი კაცისთვის სადაც მგელია, კმარა, ფანდები აღარ გჭირდებათ, "ნამუსიც კარგი საქონელია"... მტერს ამწვავებთ, რომ ომი გაჩაღდეს, დროა, მოგაგოთ საგები ერმა, ცოტაც და, ეგებ, თქვენი დროც დადგეს, ეს შეგიკვეთათ მეორე მტერმა. ნადით, ყველა ხართ მატყუარები და ეს მთავრობაც გაიყოლიეთ, გთხოვთ, დაადუმოთ ეგ ცრუ ზარები, თქვენ ერთი ხელი გმართავთ ორივეს. დროა, სულ ყველა მოეგოთ გონზე, დროა გვიძლოდეს ნაღდი ქართული, მტრობა და შუღლი გადავდოთ განზე და არავისგან ვიყოთ მართული. უფლის შეწევნით დავძლიოთ მტერი, გადავივიწყოთ ყველამ პირადი, ღმერთმა დალოცოს ქართველი ერი, მზეო ქართველისავ, ამომზიანდი!!!

ნათია ჯიქურაშვილი

მშვიდობა უკრაინას! არა მოს!

როდესაც ტკივილი ძვლებსაც კი გისერავს და ყურში სიკვდილის სისინი ჩაგესმის, ცა თავზე გემსხვრევა უთვალავ ჭურვებად და გრძნობ, რომ არსაით არ გაქვს გასაქცევი. მუხლებზე ეცემი, მუშტს ზეცას უღერებ, ყვირი და ყელიდან ხავილი ამოგდის მე უნდა გადავრჩე! იცოდე, უფალო! სხვა გზა არ არსებობს, უკან დასახვევი... ყურში სულ ჩაგესმის დედის ჩუმი მოთქმა, პირობა სიკვდილის წინ ჩამორთმეული: შენ უნდა იცოცხლო, ჩემთვის და ყველასთვის

და დასცე ყიჟინა, ხმა ან გამარჯვების! თითქოსდა დაცემულს დედა ხელს გაშველებს, სიკვდილი ცელივით შენ თვალწინ სისინებს, არ დრკები, ცრემლები სიმწრისგან გაფხიზლებს, ჩურჩულებ, დავპირდი დედას, გადავრჩები!

მელანი ბერაძე-თურქმენ

მთვარემ გაშალა ვარსკვლავთა ცვენა, ოცნებისფერი მანტია მაცვია, ნარცისისმგვანი ვიყავი მაშინ, არ მანალვლებდა სევდა და დარდი. ვითვლიდი დღეებს, ვინწავდი გვირგვინს, დედოფლის სამოსს - ქალწულის კაბას, გზა ეკლიანი და შორეული, ემიგრანტული ბედია ალბათ...

სიცრუისა და სიცივის ხარჯზე, გაზაფხულებმა დამცინეს ალბათ, გადაიკარგა, ვისაც ვუყვარდი, მთვარეს ამოჰყვა ახლახანს დარდად.

ვიგლოვე მაშინ და დღეს არ ვტირი, ჩემგან ღიმილით წავიდა სადღაც, დღეს უეცარი მოგონებებით, გამახსენდები ისევე ახლაც...

რა ხდება ნეტავ, ნუთუ წარსული დამდევს და ფიქრობს ისევე თუ მიყვარს, ...ისევე მიყვარხარ!..

თამარ იასეშვილი

დიდება უკრაინას

ალიონზე ეს რა მესმის, მინას ფერი რად უცვლია? საუკუნის დასაწყისში, მტერმა ეს რა მოინდომა? დიდებული ხალხი იბრძვის, გვერდი-გვერდით მამაცურად, თავის მინას არვის უთმობს, რწმენა აძლევს შემართებას, ტარას შენსა შთამომავლებს, თურმე ეს რა შესძლებიათ, ცარიელი ხელითაც კი, ტანკს აჩერებს უმალ პანას, მთელ სამყაროს მათ აჩვენეს, თვის სამშობლოს ერთგულება, კაცია თუ ქალი არის, ყველა იქცა ქვეყნის გმირად, თქვენი დროის ფართოდ გაშლა, ფარად ექცა თვით ევროპას, და დიდების შარავანდით საუკუნოდ შეიმოსა!

თენგიზ პაპაშვილი

რამ დამავინყოს...

რამ დამავინყოს, ვით დავივინყო, ვნებით მიმქრალი გიშრის თვალელები. ეს შემოდგომაც ადრე დაიწყოს, ჩემი ხორცის და სულის წვალეების.

ლექსად მელვრები სულის რაფაზე, ლოდინმა გახრა სულის დილემა, არ ვერიდები მტანჯველ ნაფასებს, მომისაკლისა შენმა ჩრდილებმა.

რა სანუკვარი მიზანი გვექონდა, როგორ ნამლობდი ლექსის იარებს, ასგზის გვემული ხორცი მომქონდა შენსკენ, დამენყრილ გზებით ვიარე.

თავს დატეხილი ვნებების დელგმა, ანგრევს სტრიქონებს- სულის ნაპირებს, უძღური არ ვარ, უზომოდ შლეგმა, შემოვიძარცვე სულის საპირე.

დღეს უშენობა ეკლად მესობა, გამიასკეცა სულის დირენი, გათვალულია უმეტესობა, არ მოსწონს ჩემი "ნანადირევი".

დრო-ჟამი მიწერს ილბალს დაფაზე და უშენობის მწარე დილემას, ვისრუტავ ტკივილს, სულის რაფაზე, კვალი დატოვებს შენმა ჩრდილებმა...

გიგა გორგიშელი

რა ნაღვლიანად მიცურავს მტკვარი, ნუთუ გაბზარულ გულს მიასვენებს? - ასე მგონია თითქოს ვარ მკვდარი და მტკვრის წუხილი აღარ მასვენებს.

მტკვრის სიეშმაკეს არ ვიცნობ არა, არ ვიცნობ, არც შენს იდუმალ სახეს, არც ღმერთმა იცის რამ შემაყვარა, ის რაც ოცნების გზად დავისახე.

შეშლილ ზვირთებში მწარე ფიქრები, კვლავ სიზმარულ მორევს ერთვიან. ვგრძნობ, რომ ამალამ აღარ ვიქნები და ეს ტალღები, მაინც მეტრძვიან.

რა ნაღვლიანად მიცურავს მტკვარი, ნუთუ გაბზარულ გულს მიასვენებს? - ასე მგონია თითქოს ვარ მთვრალი და მტკვარს წუხილით აღარ ვასვენებ.

მამუკა ოჩიაური

ამაჟლო, როგორ გინამლო?!

ცივ ზამთრის დღეში მესამედ სივრცე გაივსო ქარებით, ძველ ადათს გამოვესალმეთ, უფსკრულში მივექანებით.

მიმბაძველობით სნეულნი ავმა დრომ დღემდე გვატარა, ფიტულად გვექცა სხეული, მოძმედ გაგვიხდა სატანა.

და გაყალბებულ გუშინდელს, მასწავლის მამათმავალი, ამას რომ ვინმე უშლიდეს, გულმწუხარეა არავინ.

სულ დაცლილია სოფლები, ხატისკარს შამბი ედება, დაემრჩალვართ მწირი ობლები, ვით მიატოვეს დედებმა.

ვაიმე, ჩემო ქვეყანავ, ათასი ტანჯვის მნახველო, რა ჯანლი გადაგეფარა, ბარო, ველო და მთა-ხევო.

ქვეყნის ომებში ნაჩეხი, ბევრი გვეყავს ვაჟი მაგარი, რა ვუყო ვენახს აჩეხილს, მუხას მუმლი სპობს მზაკვარი.

მამულო, როგორ გინამლო, მტერი რომ შემოგვესია, ვდუმდით, გაყიდეს მიწა რომ... ვერ დავიცავით მესია.

სულგაყიდულთა, ცვედანთა გახშირდა ქვეყნად თარეში, წინაპრებს, მაგარ მხედართა, როგორ ჩავხედოთ თვალეში.

როგორ გავზარდოთ შვილები, გადავირჩინოთ სულები, დაღუპვის ზღვართან მივედით, მოძმისგან განწირულები.

მამულო ნაჭრევიანო, არ გიღალატოს სხეულმა. მე მშვიდად როგორ ვიარო, ამ ამბით გადარეულმა.

მაგრამ იმედი ხვალისა არ გამქრობია აროდეს, მსურს ამ კურთხეულ მიწაზე, მუდამ ქართველი ხარობდეს.

ისევ დაირწეს აკვანი, ჩვილს ჰყავდეს დედაც, მამაცა, მტერი დაგვიპყრობს მზაკვარი, გულმა თუ არ იმამაცა.

თუ არ ლაპლაპებს ხმალ-ხანჯლის, დაჟანგებული პირები, სამყაროს ორომტრიალში, თუ შეცბი, გაინირები.

ერო ამაცო, ძლიერო, რა სენი შემოგჩვევია, მგლის ფერო, ჩვენო იერო, რად შეგიცვლია ფერია.

რად დავივინყე წინაპრის, საქმენი საგმირონია, სარწმუნოების სინათლის ჩაქრობა კარგი გგონია.

მამულო სხეულშიშველო, ამ შავბნელ დროში მყოფელო, იქნება რამე გვიშველო, მარიამ - ქრისტეს მშობელო!

იაკობ პაპიაშვილი

ჭაჭმარიტაპის ქიქაპი ათასი წლის ტილისნაგაბა

ეს იყო ტელეკომპანია "იმედის" ღამის შოუს სტუდიაში 2022 წლის თებერვალში. საავტორო შოუს წამყვანების ვინაობას არ ვასაჯაროებ. ისინი ფრიად ნიჭიერი ადამიანები არიან, თავიანთი საქმის კარგი მცოდნეები, რომელთა გადაცემებს საიმოვნებით ვუყურებ და რასაც ვერ მხოლოდ შევცდომების გასწორების მიზნით.

მამ ასე: 2022 წლის 11 თებერვლის საავტორო შოუსში გაუფრდა შემდეგი კონტექსტი:

"...როგორც იქნა შალვაძე მოეგო გონებაზე, მაგრამ თუ გაამართლა ჩვენი შაილოკის ამბებმა მერე უკვე დადასტურებულად მეცოდინება, რომ მისი ინსპირაცია ეს პანანინა, მაგრამ დიდიპირიანი ნიანგუჟა ყოფილა".

"შაილოკი?!"

პიროვნება ვისაც შაილოკი უწოდეს შეუძლებელია იყოს ცნობილი პიესის "ვენეციელი ვაჭარის" მთავარი გმირის შაილოკის პროტოტიპი. ეს პიროვნება საქართველოს ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარეა და არაერთი მსგავსება არა აქვს დასახელებული პიესის მთავარ გმირთან - შაილოკთან.

იმისათვის, რომ საავტორო შოუს წამყვანის შედარება არასწორია უნდა გავიხსენოთ ვინ იყო შაილოკი.

პიესის მიხედვით შაილოკი არის ებრაელი მეცხვარი, მკვლელი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რომელსაც სურს თამასუქის ვადის გადაცილების გამო გული ამოჭრას პატიოსან იტალიელ ვაჭარს ანტონიოს. მოვიყვან რამდენიმე ამონარიდს პიესიდან:

"ზასანიო (შაილოკს): "ნეტავ რად ლესავ დანას ასე გულმოდგინებით?"

"შაილოკი: იმად, რომ ხორცი ამოვაჭრა მოვალეს ჩემსას."

და კიდევ: "შაილოკი: ჰო, გული, გული! ასე სწერია თამასუქში, - არა მსაჯულო?! რაც შეიძლება გულთან ახლოს - ასე სწერია."

საყურადღებოა რომ ანტონიოც და შაილოკიც ორივენი ვაჭარია, ერთი და იგივე საქმიანობას ეწევიან. თუმცა მათ შორის არის განსხვავება, ანტონიოს აქვს "პატიოსანი იტალიელი ვაჭარის სახელი" ხოლო შაილოკის ფეხქვეშ მინა იწვი, როგორც "წყველი მკვლამე".

აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, საინტერესოა როგორ დაავროგო ანტონიომ ქონება რომელსაც ფლობს: სამი სავაჭრო გემი, უძრავ-მოძრავი ფასეულობები, ვრცელი მიწის ნაკვეთები.

ამ კითხვაზე პასუხის იძლევა ისტორია:

ელისაბედ I ტიუდორის (1558 - 1603) მმართველობის ხანაში საფუძველი დაედო დიდი ბრიტანეთის იმპერიას. ინგლისის სამხედრო - საზღვაო ფლოტი ესპანელის "უძლიერესი არმადის" განადგურების შემდეგ (1588) დედამიწის ზღვების და ოკეანეების მფლობელად იქცა. ამ ბრძოლაში თავი ისახლება "დედოფლის მეკობრეებმა": ფრბიშერმა, ხოუკინსმა და "ესპანელების რისხვამ" ფრენსის დრეიკმა, რომლებსაც დედოფალმა ელისაბედმა მიანიჭა "უშიშარი და უმნიველო რაინდის" ტიტული. სინამდვილეში კი ეს მეკობრეები ძარცვავდნენ და აზიანებდნენ საფრანგეთის და პოლანდიის კოლონიებს, ესპანეთს, ინდოეთს, მუდმივ შიშში ამყოფებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. "დიდსულოვანი ვაჭარი" ანტონიო სწორედ მათი პროტოტიპია.

პიესაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთ უმნიველოვანეს პასაჟზე: შაილოკს პირდებიან რომ სასამართლოში მას დაიცივს ვექილი, მაგრამ მას მოატყუებენ, პიესაში ვექილი არ ჩანს, რადგან ის იტყობდა სიმართლეს, რაც ზემოთ ვთქვით.

ისმის კითხვა: რატომ ცდილობდა დიდი ბრიტანეთის სამეფო სახლი ებრაელების შევიწროებას და აბუჩად აგდებას?

ინგლისის მეფის ედუარდ I პლანტაგენეტის ბრძანებით 1290 წელს ებრაელები გააძევეს ინგლისიდან. ებრაელთა დიდი ნაწილი უსიტყვოდ დაემორჩილა ბრძანებას, ისინი გაიხიზნენ სხვა ქვეყნებში, ძირითადად პოლონეთში. ეს ის პოლონეთია სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს უფრო მეტი კრემატორიუმები იყო ვიდრე გერმანიაში, სადაც გაზის კამერებში დახოცილი ებრაელების გვამებს წვავენ. ინგლისის სამეფო ხელისუფლებამ გაიზიარა ებრაელების უძრავ-მოძრავი ქონება დაუქვემდებარა კონფისკაციას. თუმცა ლონდონში დარჩა ებრაელთა მცირე ნაწილი, რომლებიც ცხოვრობდნენ ნახევრად არალეგალურად და აგრეთვე ის ებრაელები, რომლებმაც მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება. მათ შორის იყო ესპანელი როდრიგო ლოპესი, სამეფო კარის ექიმი, ელისაბედ I მთავარი მკურნალი, რომელიც ლორდ (გრაფ) ესექსის დასამენი, 1594 წელს ჩამოხარჩეს ციურ ბრალდებით, თითქოს მას დედოფლის მონაგმა სურდა. პიესა "ვენეციელი ვაჭარი" შექმნა სწორედ ამ პროცესთან დაკავშირებით. პიესაში არსებობს მინიშნება აღნიშნულ სასამართლო პროცესზე, კერძოდ პიესის ერთ-ერთი გმირის გრაციანოს ფრაზა შაილოკის მიმართ: "შენი ქოფაკი სული ალბათ კაცთ უფლებებისათვის ჩამოხრჩობილი მგლისაგან მოდის". ლათინური ლუპუს ნიშნავს მგელს.

"გლობუსის" თეატრის დასი ინოვებოდა როგორც "ლორდ კამერპერის მსახურნი". ეს ის

დროა როცა ახალგაზრდა უილიამი თეატრის ხელმძღვანელობამ მეჯინებედ აიყვანა, სპექტაკლებზე დასასწრებად მოსული ინგლისელი ლორდების ცხენების მოსაწველად. ახალგაზრდა კაცი პირმოთინე აღმოჩნდა და მალე სუფლიორად დააინაურეს, რადგან მსახიობად ვერ ივარგა, მალე კი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ქრისტოფერ მარლოს სიკვდილის თუ მკვლელობის (საკითხი გაურკვეველია) მერე, მისმა კეთილსიმყოფელმა ლორდებმა (რობერტ სესილი, საუტგემპტონი, ბერლი, ფრენსის დევისონი) მას დაავალეს "გლობუსის" რეპერტუარში არსებული ძველი პიესების გადაკეთება. ახალგაზრდა უილიამი უყოყმანოდ ასრულებდა მათ ყოველ სურვილს. ძველი პიესების გადაკეთების პარალელურად იგი დასადგმელად ამზადებდა ისეთ პიესებს, რომლებსაც ლორდები ინკოგნიტოდ აწვდიდნენ მას ებრაელთა აბუჩად აგების მიზნით, რისთვისაც მას უხვად აჯილდოვებდნენ ფინანსურად. ცნობილია რომ ინგლისელმა ლორდებმა შექსპირის მამას თავადაზნაურის ნოდება მიანიჭეს. ასე გახდა შექსპირი "გლობუსის" რეპერტუარში არსებული ძველი პიესების და სონეტების ავტორი.

1594 წელს, ლოპესის ჩამოხრჩობის მერე ლორდებმა გადაწყვიტეს დედოფალ ელისაბედ I პრესტიჟის დაცვის მიზნით, ძველი პიესების გამოყენებით, შექმნათ ისეთი ნაწარმოები, რომელიც გამოადგებოდა ყოველი რიგითი ებრაელის დასაცინად და აბუჩად ასაგდებად. ამგვარად "ვენეციელი ვაჭარი" შექმნილია შემდეგი ძველი პიესების ურთიერთშერწყმით: კრისტოფერ მარლოს "მაღტელი ებრაელი"; ჯოვანი ფიორენტინოს "ცხვრის თავი", ალექსანდრე სილვანის "სიტყვაკაზმულობის სახელმძღვანელო", დეკერის "ვენეციელი ებრაელი".

ის რომ პიესა "ვენეციელი ვაჭარი" შექმნილია 1594-1596 წლებში ამტიკიცებს სწორედ გრაციანოს ზემოთქმული ფრაზა, რამეთუ ზემოთჩამოთვლილ პიესებში ეს ფრაზა შეუძლებელია არსებულყოფი, რადგან ისინი დაწერილია ლოპესის ჩამოხრჩობამდე. მაშასადამე პიესაში "ვენეციელი ვაჭარი" ინგლისელი ლორდების და შექსპირის კალამს ეკუთვნის ერთადერთი ნინაშენი, გრაციანოს ფრაზა: "შენი ქოფაკი სული ალბათ კაცთ უფლებებისათვის ჩამოხრჩობილი მგლისაგან მოდის". აი ამ ფრაზით ეპოქიდან ეპოქას გადაეცემა ცილისმამებლური ხმა ებრაელთა სისხლისმსმელ ბუნებაზე.

საკითხით დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოიპოვოს იაკობ პაპიაშვილის ნიგნიდან "აღსდგა ვითარც ფენიქსი თავისი ფერფლიდან" (ერუსალიმის ზღვები) ნიგნი იმყოფება თბილისში, საჯარო ბიბლიოთეკაში.

2017 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა

იაკობ პაპიაშვილის შემოქმედებითი საღამო, სადაც შესავალი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სახალხო მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფ. რევაზ მიშველაძე, რომელმაც ყურადღება გაამახვილა "ვენეციელი ვაჭარის" პრობლემატიკაზე, ზემოაღნიშნულ ნიგნი შეტანილი ნაშრომის "Пасквиль тысячелетия" პრობლემატიკის შესახებ. ნაშრომი აგრეთვე გამოქვეყნდა ისრაელის საერთაშორისო მნიშვნელობის ყოველკვირეულ გაზეთში "Новости недели" - "Еврейский камертон"-ის ორ ნომერში (07. 12. 2006 და 04. 01. 2007).

ვერცხლის ღურსნეებით?

ახლა რაც შეეხება 2022 წლის 12 თებერვლის ინტელექტუალურ-გასართობ შოუს "თავიდან ბოლომდე". აქ მოქმედება სხვა რაკურსით განვითარდა. შოუს წამყვანმა ჭაში ჩავარდნილ მოთამაშეს დაახლოებით ასეთი ფრაზა ჩასძახა: სწორი პასუხია ვერცხლის ღურსნეები... იოდა ხომ იცი ვინ არის... "ოცდაათი ვერცხლი" გაგიგონია? ის ღურსნეები რომლებითაც მაცხოვარი ჯვარზე გააკურს 99 პროცენტ ვერცხლიდან იყო დაზნადებული.

ღურსნის გამოგონებას ხუთი ათასი წლის ისტორია აქვს. თავდაპირველად ღურსნის ამზადებდნენ თევზის ძაღლისაგან, თიხისაგან, ხისაგან და ითვლებოდა ფუფუნების საგნად, მაგრამ ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთში და რომში უკვე ფართოდ გავრცელდა რკინისა და სპილენძის ღურსნეები; მათი დამზადების პროცესი რთული და შრომატევადი იყო. სამუშაოს ასრულებდნენ ხელით და მაშინაც კი როცა მე-18 საუკუნის ბოლოს შექმნეს ღურსნეების დამამზადებელი მანქანა, მისი ფასი ძალიან ძვირი იყო.

ღურსნის დამზადების ტექნოლოგია ძველ რომში და ისრაელში (დავით მეფის ეპოქა) უკვე ცნობილი იყო: რკინის ღურს (проволка) ახურებდნენ ძალიან მაღალ ტემპერატურაზე და მისი შენადნობი ნახშირბადთან (2,2%) აძლევდა ღურსმანს სიმტკიცეს (თუჯი, ფოლადი). ნახშირბადი ცნობილი იყო ანტიკურ ეპოქაში.

თქორ, ვერცხლი და პლატინა მდგრადი მეტალებია და ქიმიურ შენაერთებთან რეაქციის დროს ნაკლებად რეაგირებენ, რის გამოც ეს მეტალები ინოვებთან როგორც კეთილმოძობილ მეტალებად და ამის გამო მათი გამოყენება ისეთი ღურსნეების დასამზადებლად რომელიც გამოიყენება ხის ჯვარზე ადამიანის გასაკრავად არ შეიძლება.

იუდას კოცნა

ლექსის შექმნის პროცესში ავტორმა ზოგი რამ ისესხა ალექსანდრე ბლოკის პოემიდან "თორმეტი"

ეს ლექსი შევიდა ჩემს სამივე პოეტურ კრებულში. რუსულ თარგმანში მე ლექსს დაავურთე კომენტარი; მოვიტან რამდენიმე ამონარიდს კომენტარიდან:

ჯვარცმა - სიკვდილით დასჯის ისტორიული სახეობაა. დასჯის ამგვარი ზომა არსებობდა ეგვიპტეში, კართაგენში, სპარსეთში, ფინიკიაში, ბაბილონში, საბერძნეთში და რომის იმპერიაში. ძველი და ახლი ალექსის თანახმად ებრაელები დამნაშავეებს სჯიდნენ (ქოლავდნენ) ქვეით, თუმცა შესაძლებელია ჯვარცმა, როგორც დასჯის სახეობა ისრაელი არსებობდა ზოგიერთი მეფის დროს. ასეთი სახით სჯიდნენ მეამბოხეებს, მოღალატეებს, სამხედრო ტყვეებს, მძარცველებს, გაქცეულ მონებს. დასჯის ეს ფორმა ფართოდ იყო გავრცელებული ძველ რომში. სპარტის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, მარკ ლიცინიუს კრასის ბრძანებით აპიენის გზაზე კაპუიდან რომამდე ჯვარზე გააკრეს ექვსი ათასი აჯანყებული. როგორც წყაროები იტყობინებია, ვიდრე ჯვარცმული არ მოკვდებოდა ჯვრიდან არ ხსნიდნენ.

ჯვარცმა დამნაშავის დასასჯელად დღემდე შემორჩა ირანში და საუდის არაბეთში. დასჯა ხდება შემდეგი სახით: სიკვდილ მისჯილს აკრავენ ხის ჯვარზე ზურგით ჯვრისკენ, სახით მექისკენ, ფეხებით ვერტიკალურ მდგომარეობაში, მინისაგან საკმაოდ დაშორებით.

იესო ქრისტე ჯვარცმულ იქნა რომაელების მიერ გოლგოთას ბორცვზე "თან მიჰქონდა თავისი ჯვარი, და მივიდა იმ ადგილას, რომელსაც ერქვა გოლგოთა - სიტყვასიტყვით ნიშნავს "თავის ქალას" (სახარება იოანესაგან 19, 17 - 18...) დასჯის ადგილი ძველ იერუსალიმში. გადმოცემის თანახმად ეს ადგილი მიჩნეულია ჩვენი პლანეტის ცენტრად, სადაც ნოეს უფროსმა შვილმა სემმა, მამის სურვილის შესაბამისად, მიწას მიაბარა ადამის ნეშტი.

ტერმინი "იუდას კოცნა" - "იუდას ამბორი" აღწერს ეპიზოდს ევანგელიიდან (სახარებიდან), რომელიც მიიჩნევა გამცემის, მოღალატის სინონიმად. ევანგელიის ავტორები წერენ, რომ იოდა ისკარიოტმა გაყიდა მოძღვარი 30 ვერცხლად.

ევანგელიაში (ლუკა, 22, 43-44) აღწერილია მესიის ლოცვა ზეთისხილის მთაზე, გეთსიმანიის ბაღში, რომელიც მდებარეობს იერუსალიმის აღმოსავლეთით კედრონის ხევში. აქ გაიხიზნა დავით ნინასწარმეტყველი, როცა აბესალომი აუჯანყდა. გეთსიმანიის (ნიშნავს კარიბჭეს) ბალი მდებარეობს ელიონის მთის ძირში. ზალი ხილის ხეებში იყო ჩაფლული. აქ უყვარდა უფალს განმარტოება მონაფებთან ერთად. საიდუმლო სერობის შემდეგ სწორედ აქ მოვიდა და მოციქულებს უთხრა: "და ჰრქუა მათ დასხედით მანდა, ვიდრემღი მივიდე იქი და ვილოცო", რათა ცოდვები მთელი კაცობრიობისათვის თვითონ ეტვირთა (განკურნება მინისა - ისაია): "მამაო ჩემო, თუ შესაძლოა, ამარიდე ეს სასმისი; მაგრამ არა როგორც მე მსურს, არამედ როგორც შენ" (თვითმქინრვა). "ხოლო მისმა გამცემმა მისცა მათ ნიშანი და უთხრა: "ვისაც მე ვეამბორები, ის არის და შეიპყარი" (სახარება მათესი).

ეს ეპიზოდი ლუკას სახარების ძველ ხელნაწერებში არ არის, რაც მეცნიერებს შორის დავის საგანია. ამის გამო ახალი ალექსის ახალ გამოცემებში ფრჩხილებშია ჩასმული ან ზოგჯერ შენიშვნებშია გადახანილი. შუა საუკუნეებში და აღორძინების ეპოქაში ბევრმა ცნობილმა მხატვარმა შექმნა ტილო "იუდას ამბორი", მათ შორის აღსანიშნავია ლენინარდო და ვინჩის "საიდუმლო სერობა".

თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს სცენა გეთსიმანიის ბაღში საიდუმლოებრივით არის მოცული, რადგან იესოს ბრძანება (მოთხოვნა) იუდასადმი: "რასაც აკეთებ, გააკეთე ჩქარა" (იოანე, 13, 27) ორანზონი არ არის და მიუთითებს მექისის მტკიცე გადაწყვეტილებას თვითშენიშვნაზე.

იუდა თორმეტ მოციქულთაგან ერთადერთია, რომელიც იუდეის ოლქიდან არის წარმომობით, დანარჩენი თერთმეტი მოციქული გალილიიდან არიან. გალილეა ისტორიული მხარეა ჩრდილოეთ ისრაელში.

იუდა იყო აგრეთვე მოციქულთა შორის ის ერთადერთი მონაფე რომელმაც იცოდა ქრისტეს მისია დედამიწაზე, რამეთუ იესომ მხოლოდ მას გაუხსნა

"ცათა სასუფევლის" საიდუმლო (ესქატოლოგიური ტერმინია, ეხება იმ სამეფოს, რომელსაც მაცხოვარი დაამყარებს ცის ქვეშეთში მეორედ მოსვლის დროს; ალბათ, მაშინ ჯვარი მოსაპოვებს სვასტიკას).

აქ უნდა დავაფიქსიროთ: "და მოიყვანეს ორი ავაზაკი და გამჩენი ამ ორს შორის ჯვარს აცვეს. იგი კი დუმდა, თითქოს ტკივილს არ გრძობდა" (პეტრეს სახარება, აპოკრიფი, 4.10). მართალია ეს აპოკრიფი ეკლესიის მიერ უარყოფილია, მაგრამ იგი ნათლად მიანიშნებს რომ იესო ღვთის შვილია.

თორმეტ მოციქულთა შორის, იესო მხოლოდ იუდას ესაუბრებოდა განმარტოებით, და ერთხელ იუდამ მას შეპბედა: "მე ვიცი ვინ ხარ შენ და საიდან მოხვედი".

იუდა იყო პირველი მოციქულთა შორის ვისაც უფალმა პირველს დაბანა ფეხები და ამით აგრძნობინა მას, რომ მოახლოვდა ჟამი მისი ჯვარზე გაკერისა და ცად ამალეებისა. ამ ეპიზოდს ევანგელისტები განმარტავენ არასწორად. პინაქში ხელის ჩაყოფა მაცხოვართან ერთად მიანიშნებს მათ ურთიერთ თანხმულ შეთანხმებაზე.

ძველი ალექსის თანახმად შესაძლოა იყოს აბრაამის, ისააკის და იაყობის შთამომავალი, ამასთანავე დავით ნინასწარმეტყველის შთამომავალიც, რომელიც იყო იუდას ტომიდან (მესამე მეფეთა, 2:4). ახალი ალექსის თანახმად იესო ქრისტეს გენეალოგიური-საგვარეულო წარმომავლობა ზუსტად შეესაბამება ამ მოთხონებს. აქედან გამომდინარე იესო ქრისტე და იუდა ისკარიოტი იუდას ტომიდან იყვნენ და ერთ-ერთი წყაროს თანახმად ბავშვობიდან იცნობდნენ ერთმანეთს.

იუდას ტომი ისრაელი ერთ-ერთი ძლიერი ტომი იყო. ამ საგვარეულოს მამამთავარი ძველი ალექსის მიხედვით არის იუდა, პატრიარქ იაყობის მეოთხე შვილი ლიადან (დაბადება, 29:35).

ზემოთქმულის გათვალისწინებით ცხადი ხდება: საკუთარ გადაწყვეტილებაში ღრმად დარწმუნებულმა მაცხოვარმა კარგად იცოდა, რომ იუდას დამხარების გარეშე ის ვერ შეძლებდა "ცათა სასუფეველში" დაბრუნებას: "რასაც აკეთებ გააკეთე ჩქარა".

ეს ბრძანება ღვთის კაცისა იმ ადამიანისადმი, რომელიც მისი ტომიდან იყო, მიგვანიშნებს იუდას ძალისხმევაზე, რაც განარჩევდა მას დანარჩენ მოციქულთაგან, რადგან იუდა უბრალო გალილეელი კი არ იყო, არამედ წარმომავლად იუდას ტომის წარმმართველ ძალას - მამამთავარს.

დასკვნა ასეთია: რომ არა იუდა, ქრისტეს ჯვარზე გაკერა და შემდგომ მისი ტომიდან იყო, მიგვანიშნებს იუდას ძალისხმევაზე, რაც განარჩევდა მას დანარჩენ მოციქულთაგან, რადგან იუდა უბრალო გალილეელი კი არ იყო, არამედ წარმომავლად იუდას ტომის წარმმართველ ძალას - მამამთავარს.

დასკვნა ასეთია: რომ არა იუდა, ქრისტეს ჯვარზე გაკერა და შემდგომ მისი ტომიდან იყო, მიგვანიშნებს იუდას ძალისხმევაზე, რაც განარჩევდა მას დანარჩენ მოციქულთაგან, რადგან იუდა უბრალო გალილეელი კი არ იყო, არამედ წარმომავლად იუდას ტომის წარმმართველ ძალას - მამამთავარს.

ალბათ, ჩემი აზრით, ეს საიდუმლო გახდა იმის მიზეზი, რომ 265-ე რომის პაპმა ბენედიქტ XVI მის მიერ გამოქვეყნებულ ნიგში ("გნების კვირა", მეორე ტომი, თეოლოგიური ანალიზი - 2011), რომელშიც ქრისტეს ბოგარადია არის აღწერილი, ებრაელი ხალხისაგან მოხსნილია ყველა ბრალდება მესიის მკვლელობაში. უფრო ადრე, 1965 წელს ვატკანში, რომის პაპმა პავლე VI გამოცხადო ფიციალური დეკლარაცია, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ებრაელ ხალხს არავითარი ბრალი არ მიუძღვის ქრისტეს მკვლელობაში.

და ბოლოს შეუძლებელია არ აღვნიშნოთ საქართველოს სახალხო მწერლის რევაზ მიშველაძის ახალი შემოქმედებითი ამაღლება: რომანი "ქრისტე". მე ეს რომანი ნაკითხული არა მაქვს, მაგრამ დიდი ყურადღებით გავცანდი მწერალ ავთანდილ ნიკოლეიშვილის რეცენზიას: "ახალი თემატური მიმართულება რევაზ მიშველაძის პროზაში" ("მწერლის გაზეთი" 3 (287), 1-31 ივლისი, 2021). მოვიტან რამდენიმე ამონარიდს ამ რეცენზიიდან:

"თავისი რომანის მეშვეობით მან ღრმად შთამბეჭდავი ფორმით მოგვითხრო ჩვენი მაცხოვრის - იესო ქრისტეს მინიერი ცხოვრების ამბავი. აქედან გამომდინარე რომანის სოფეტი ნაწილობრივ ემთხვევა სახარებისეულ ტექსტს. ამ გარემოებას თავად მწერალიც აღნიშნავს ნაწარმოებისათვის წამოღებული ნინათქმის მეშვეობით: "შომიტყვოს უფალმა, რომ გაგებდე მე, მართლმადიდებელმა ქართველმა მწერალმა, თანამედროვე თვალთ დამენახა სახარებისეული მოვლენები და ერთხელ კიდევ გამესვა ხაზი იმ ქმნილებებისათვის, რომ ახალი ალექსის იდეები უკვდავია".

ბატონი ავთანდილ ნიკოლეიშვილი დაკვირვებით მიყვება რა რომანის სოფეტურ ქარგას მკითხველს აწვდის რევაზ მიშველაძისეულ მიგნებას იმის შესახებ რომ ქრისტეს მცენებელი და ქადაგებები არსებითად ცვლის მოსეს უზუნაეის სამართლის მცენებებს: "კბილი კბილისა ნილ!" და "თვალი თვალისა ნილ!". ამ მხრივ უნდა გავიხსენოთ ეპიზოდი მეძაფე ქალის გასამართლებიას: "მაგრამ რაკი დაევიხებით ეკითხებოდნენ, წამოიმართა და უთხრა მათ: ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად იმან ესროლოს ქვა" (იოანეს სახარება, თავი მეხუთე, 7).

და კიდევ: "მე კი გაუზნებთ თქვენ: ნინ ნუ აღუდგებით ბოროტს, არამედ, თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში გავაწანას, მეორე ლოყაც მიუშვირე" (მათეს სახარება, თავი მეხუთე, 39).

ვფიქრობ რომაში "ქრისტე" ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

იაკობ პაპიაშვილი
გალაქციონ ტაბიძის და ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი ნობელის პრემიის ნომინანტი



აზა ბასლანიძე - 70

70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი საბავშვო პოეტი აზა შოთას ასული ბასლანიძე...

დვირფასო ქალბატონო აზა! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები...

ფამთა სიავემ, ბედისწერის უკუღმართობამ სიყვარულისთვის, ბედნიერებისთვის დაბადებულ პოეტს...

მოზარდი თაობის სულიერი ფორმირების უკეთესობილეს საქმეს ახმართ თქვენს ნიჭს, ძალასა და შემართებას...

ამ კრებულებმა თვალნათლივ ცხადყო თქვენი პოეტური ძალმოსილება, ის, რომ თქვენი სახით...

თქვენი ლექსები მოზარდ თაობას ღირსეულ მოქალაქეებად ზრდის, უღვივებს სამშობლოს სიყვარულს...

პროფესიით მუსიკოსი ბრძანდებით და დიდხანს მოღვაწეობდით სოხუმის პირველ სამუსიკო სკოლაში...

თქვენი ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. მონიჭებული გაქვთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია...

ქალბატონო აზა! კიდევ ერთხელ გულთადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი სანუკვარი ოცნებების განხორციელებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ნინო სიხარულიძე - 60

60 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი ნინო ვაჟას ასული სიხარულიძე...

ქალბატონო ნინო! ჩვენო საყვარელო კოლეგა! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები...

ქართულ სალიტერატურო სამყაროში ან უკვე შორეულ 1977 წელს შემოაბიჯეთ, როდესაც თქვენი პირველი ლექსი „ჩვენი თაობა“ გამოქვეყნდა...

თქვენს პოეტურ კრებულებს, ისეთებს, როგორცაა „მარადიული კარნავალი“, „შორს“, „ირიბი ბლუზი“...

თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი ხომ უნიჭოდ დარჩენილი ნაწივით ეხეთქება ამ დედინაცვლად ქველ ცხოვრების ნაპირებს და არაქათამოცლილი გადარჩენას...

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, რომლებიც თარგმნილია უცხოურ ენებზე, შესულია ქართული პოეზიის არაერთ ანთოლოგიაში.

ათწლეულების განმავლობაში აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობას ეწეოდით. იყავით ჟურნალ „ცისკრის“ ლიტერატურული მუშაკი, საქტელეფონის სასცენარო განყოფილების რედაქტორი...

ქვირფასო ნინო! კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩინებულ პოეტს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი სანუკვარი ოცნებების განხორციელებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



რობერტ ადარი - 80

80 წლისა შესრულდა ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე რობერტ ადარი...

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ბატონო რობერტ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები...

საქართველოში დაბადებულმა ებრაელმა ვაჟაკმა სრულად გაითავის თქვენი მშობელი ქვეყნის მადლისა და მირონის ფასი...

თქვენი პოეზია, თქვენი თითოეული ლექსი ხომ საქართველოს უსაზღვრო სიყვარულითაა გამთბარი და აშკარად ეტყობა...

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები შესულია ისეთ ანთოლოგიებში, როგორცაა ქართული პოეზიის ანთოლოგიის ორტომიანი და საქართველოს ებრაელთა პოეზიის ანთოლოგია.


თქვენი მრავალნობიანი ღვაწლი და რედაქციური საქმიანობა დაფასდა. დაჯილდოებული ხართ ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიითა და ოქროს მედალით, ქართული კულტურის ამაგდარის ნოდებით...

ყველა გავგახარე ცნობამ იმის თაობაზე, რომ თქვენს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა დააჯილდოვა თქვენს ალმაცხედს...

ჩვენს კატაკლიზმებით სავსე, მოულოდნელად მეტრისმეტად პირქუს და პრაგმატულ საუკუნეში ძნელად საპოვნია თქვენნაირი პიროვნებანი, რომლებიც თავიანთ სულში...

ჩვენს კატაკლიზმებით სავსე, მოულოდნელად მეტრისმეტად პირქუს და პრაგმატულ საუკუნეში ძნელად საპოვნია თქვენნაირი პიროვნებანი, რომლებიც თავიანთ სულში...

საქართველოს მწერალთა კავშირი



შალვა საბაშვილი - 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და მეცნიერი შალვა ალექსის ძე საბაშვილი...

ბატონო შალვა! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან...

მრავალმხრივი და მრავალნაზნაგოვანია თქვენი პიროვნული ნიჭიერება, თქვენი ინტერესების სფერო...

თქვენ ხომ უპირველესად ღრმადგანსწავლული ასტროფიზიკოსი ხართ და საკუთარი წვლილიც გაქვთ შეტანილი...

თქვენი მრავალნობიანი ღვაწლი და რედაქციური საქმიანობა დაფასდა. დაჯილდოებული ხართ ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიით...

ჩვენს კატაკლიზმებით სავსე, მოულოდნელად მეტრისმეტად პირქუს და პრაგმატულ საუკუნეში ძნელად საპოვნია თქვენნაირი პიროვნებანი, რომლებიც თავიანთ სულში...

ჩვენს კატაკლიზმებით სავსე, მოულოდნელად მეტრისმეტად პირქუს და პრაგმატულ საუკუნეში ძნელად საპოვნია თქვენნაირი პიროვნებანი, რომლებიც თავიანთ სულში...

ჩვენს კატაკლიზმებით სავსე, მოულოდნელად მეტრისმეტად პირქუს და პრაგმატულ საუკუნეში ძნელად საპოვნია თქვენნაირი პიროვნებანი, რომლებიც თავიანთ სულში...

ჩვენს კატაკლიზმებით სავსე, მოულოდნელად მეტრისმეტად პირქუს და პრაგმატულ საუკუნეში ძნელად საპოვნია თქვენნაირი პიროვნებანი, რომლებიც თავიანთ სულში...

ჩვენს კატაკლიზმებით სავსე, მოულოდნელად მეტრისმეტად პირქუს და პრაგმატულ საუკუნეში ძნელად საპოვნია თქვენნაირი პიროვნებანი, რომლებიც თავიანთ სულში...

ჩვენს კატაკლიზმებით სავსე, მოულოდნელად მეტრისმეტად პირქუს და პრაგმატულ საუკუნეში ძნელად საპოვნია თქვენნაირი პიროვნებანი, რომლებიც თავიანთ სულში...

საქართველოს მწერალთა კავშირი

ლიტერატურული კონკურსი

გაზეთის „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში.

საკონკურსო მასალა იგზავნება დევიზით:

ერთი კონვერტით - საკონკურსო ლექსები, მეორე კონვერტით - ავტორის გვარი და სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების სათაურები (კონვერტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოსა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

საკონკურსოდ იგზავნება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ლექსები არაუმეტეს ხუთისა.

ღანასაგულია პრემიები:

- გრან-პრი — 3000 ლარი — ასპინძის საპატო მოქალაქის ემზარ ასპინძისაგან;
- პირველი პრემია — 1500 ლარი — ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისაგან;
- მეორე პრემია — 1000 ლარი — კერძო პირ ელდარ ალიევისაგან;
- მესამე პრემია — 600 ლარი — სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან.

საკონკურსოდ იგზავნება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ლექსები არაუმეტეს ხუთისა.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება სოფელ რუსთავეში, ტრადიციულ „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე“ - შოთაობაზე.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2022 წლის 10 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქ.3.
გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.
საკონტაქტო ტელ. 599979524

ლეგენდარული ქართველი

ვინ იყო ქართველი ექიმი, რომელიც რუსეთში მენდელეევის გვერდით დაკრძალა, შესულია მსოფლიოს ყველა ენციკლოპედიაში და თანამედროვე სახელმძღვანელოში, როგორც პირველი ქირურგი, რომელმაც ოპერაცია მუშა გულზე გააკეთა.

მსოფლიო კარდიოქირურგიის ერთ-ერთი პიონერი, აკადემიკოსი, მედიცინის სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი, სოციალისტური შრომის გამირი იუსტინე ჯანელიძე - მან, 30 წლის ქირურგმა, 1913 წელს, პირველმა დედამიწის ზურგზე, შეძლო გულში ტყვიით დაჭრილი და აორთგავაგლეჯილი ადამიანის გადარჩენა!

ეს ის გაბედული წარსულია, რომლის მხრებზეც ვდგავართ ჩვენ, დღევანდელი მოღვაწეობის კარდიოქირურგები, ახალ გამოწვევათა მიჯნაზე, - ასე მოიხსენიებს ამ ოპერაციას შემდეგ, 2000 წელს გამოქვეყნებულ სტატიამ აშშ-ის ჰიუსტონის გულის ინსტიტუტი და ის უნიკალური ოპერაცია მხოლოდ დასაწყისი იყო...

დაიბადა 1883 წლის 2 აგვისტოს, სამტრედიისში. 1903 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. ჩააბარა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედი-

ცინო ფაკულტეტზე, სამედიცინო განათლების მიღება შეეცარიაში, ჟენევის უნივერსიტეტში დაასრულა და იქვე 1909 წელს ფრანგულ ენაზე დაიცვა დისერტაცია. 1910 წელს რუსეთში დაბრუნდა და ლენინგრადში დაიწყო მოღვაწეობა. სრულყოფილად ფლობდა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებს.

1932 წელს დააარსა ლენინგრადის სასწრაფო დახმარების ინსტიტუტი, რომელიც 1950 წლიდან მის სახელს ატარებს. დღესაც მუშაობს და ყველაზე დიდია რუსეთის ფედერაციაში. სანკტ-პეტერბურგის სამედიცინო ინსტიტუტში დღესაც გაიცემა ჯანელიძის ორი სტიპენდია.

მეორე მსოფლიო ომის დროს იუსტინე ჯანელიძე იყო სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი ქირურგი. მინიჭებული ჰქონდა საბჭოთა კავშირში იმ დროს არსებული ყველა საპატო ნოდება და ჯილდო. იყო საბჭოთა კავშირის ქირურგთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. არ ყოფილა ქირურგიის არცერთი განშტოება, სადაც მას არ ეთქვას თავისი ნოვატორული სიტყვა.

გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მის საპატოვცემულოდ 50-მდე სამედიცინო მანიპულაციას დღესაც ჯანელიძის სახელი ეწოდება, როგორც აღმომჩენისა და პრაქტიკაში დამწერგავის.

უდიდეს ჰუმანისტს ყოველთვის პირობრიტეტად ჰყავდა პაციენტი, რომ-

ლისთვისაც არანაირ სამედიცინო მანიპულაციას არ უნდა მიეყენებინა ტანჯვა.

ექიმი იუსტინე ჯანელიძე მონაფეებთან, როგორც მისი ერთ-ერთი მონაფე, აკადემიკოსი გიორგი ზედგენიძე იხსენებდა, ჯანელიძე, რომელიც უდიდესი პედაგოგი იყო, ვერ იტანდა უღირს საქციელს. ამასთან დაკავშირებით ბატონი გიორგი იხსენებს, როგორ გაათავისუფლა ჯანელიძემ სამსახურიდან ერთ-ერთი თავის მონაფეთაგანი, რომელმაც საგაზეთო სტატიამი უარყო საკუთარი მამა იმიტომ, რომ იგი მღვდელი იყო: „თქვენ დღეს არ დაინდეთ და უარყავით საკუთარი მამა, ვინც თქვენ გაგზარდათ და მოგიარათ. ხვალ თქვენ შეიძლება უარყოთ მეც, თქვენი მასწავლებელი, შემდეგ საკუთარი სამშობლოც... მე და თქვენ ერთად ვეღარ ვიმუშავებთ...“

ვერ იტანდა მამებლობას. ეს კარგად ჩანს ერთი ფაქტიდან, რომელმაც კინაღამ შეცვალა მისი ცხოვრება და ასეც მოხდებოდა, რომ არა მისი ნიჭი და უდიდესი მსოფლიო ავტორიტეტი.

კერძოდ კი, პროფესორი ჯანელიძე მეიოს ფონდის მიწვევით სამი თვით აშშ-ში მივლინებით იმყოფებოდა. იქიდან დაბრუნებულმა შემაჯამებელ სხდომაზე გამოსვლისას გულწრფელად აღიარა - 100 წლით ჩამოვრჩებით ამერიკის შეერთებულ შტატებსო. ამ სიტყვებისთვის მაშინ დასაჯეს იმით, რომ ოპერაციების გაკეთება აუკრძალეს და მხოლოდ საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება დაუტოვეს. ამ ამბიდან 6 თვის შემდეგ სტალინის საყვარელ ქალიშვილს სვეტლანას დახმარება დასჭირდა. გოგონას მუცლის ტკივილები დაეწყო და ზუსტად ვერაინ ამბობდა მიზეზს. ბოლოს, სტალინის მოთხოვნით, ჯანელიძე მიიწვიეს. აპენდიციტი - უყოყმანოდ დასვა დიაგნოზი პროფესორმა ჯანელიძემ და ოპერაციაც გააკეთა. ამის შემდეგ ლეგენდარულ ქირურგს კვლავ დართეს საქმიანობის ნება.

ამბობენ, გაბედული კაცი იყო. უპარტიოს ვერცერთ თანამდებობაზე ყოფნისას ვერ გაუბედეს პარტიაში შესვლის შეთავაზება.

1947 წელს, რკინის ფარდის ჩამოშვების მიუხედავად, იუსტინე ჯანელიძე აირჩიეს საფრანგეთის ქირურგთა საზოგადოების საპატო წევრად, ევროპის ქირურგთა საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილ წევრად. ხოლო ამერიკამ 2000 წელსაც კი გაიხსენა ჯანელიძის ღვაწლი მსოფლიო კარდიოქირურგიის ისტორიაში.

მისი ოჯახის წევრი, ექიმი ცინუკი ჯანელიძე ლეგენდარული ბიძისადმი მიძღვნილ წიგნში წერს: „პრინციპულბითა და პირდაპირობით გამორჩეული

ქართველი კაცი, რომელიც არასოდეს ჩამდგარა კომუნისტური პარტიის სამსახურში, პრაგმატულად მოაზროვნე მთავრობამ, იმდროინდელი ლენინგრადის ინტელიგენციამ და, რაც მთავარია, თითქმის მთელი ქალაქის მოსახლეობამ, 7 კმ-მდე გადაჭიმულმა სამგლოვიარო პროცესიამ 1950 წლის 17 იანვარს ლენინგრადის ვოლკოვის მემორიალურ სასაფლაოზე ფეხით მიაცილა და მენდელეევსა და პიროგოვს შორის მიაბარა მიწას.

ომარ მარგველაშვილი

გიორგი თვალთვალი

საქართველოს

ჩემს საქართველოს ამშვენებს კავკასიონის ქედები, აქეთ ზღვა, იქეთ ფერდები, ცაში მშვიდობის მტრედები. -იქეთ ტბებია ფირუზის, მასში ცურავენ გედები, მწვერვალებს ცაში აღმართულს ამშვენებს თეთრი მანდილი, ვერ შეედრება ამ ხედებს, ძმებო, სამოთხე ნამდვილი. ქართველ გმირებმა დატოვეს ქვეყნის სახელი, დიდება, - და თუ ჩვენ ერთად დავდგებით ქვეყანა გვაგვიბრწყინდება.

რა დაემართა სამყაროს, გახშირდა მგლების თარეში, სიმართლეს ვერსად იპოვი ამ ჩვენს დასუდრულ მხარეში. თუ სადმე სიმართლეს იტყვი ჩატოვლიან ხოლმე მტერადა. პირმოთნეობამ იმატა, შური გადიქცა მთებადა. ჩემი ლამაზი ქვეყანა დარჩა მარტოდ და ობლადა, სიმართლეს ფასი არა აქვს, თითქოს ხალხია ჯოგადა, არ მეშინია არაფრის, თუნდაც წინ მედგას ჯარია, სიმართლეს მაინც ვიპოვი, რომ ვიყო ასგზის მკვდარია.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა მწერალ თინათინ ჭყუიას ძმა

ზურაბ ჭყუია

და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს

